

საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი 2008 წ.  
[http://www.parliament.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=1329&info\\_id=21604](http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1329&info_id=21604)

ქართული პარიამენტი

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის ხელმძღვანელობა:

დავითაია პაატა - თავმჯდომარე

წევრები

1. გაბაშვილი გიორგი
2. გოგორიშვილი ხათუნა
3. გოგუაძე გია
4. ვეფხვაძე ლევანი
5. თარგამაძე გიორგი (გივი)
6. თედორაძე რამაზი
7. ლალიაშვილი ნიკოლოზი
8. ლორთქიფანიძე დიმიტრი
9. მინაშვილი აკაკი

2008-11-26 20:14

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის სხდომის სტენოგრამა

(საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი)

2008-  
11-26  
20:14

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის სხდომის სტენოგრამა

**სხდომას თავმჯდომარეობს დროებითი საგამომიებო კომისიის თავმჯდომარე პ. დავითაია**

**თავმჯდომარე.** მოგესალმებით ყველას. დიდი მადლობა, ბატონო ვანო, მობრძანებისათვის, როგორც ცნობილი არის, პარლამენტის გადაწყვეტილებით შექმნილია დროებითი საპარლამენტო კომისია, რომელიც სწავლობს აგვისტოს მოვლენებს და აგვისტომდე, განვითარებულ მდგომარეობას, თუ როგორ მზადდებოდა აგრესია რუსული, ფედერაციის, რუსეთის ფედერაციის მხრიდან. როგორც ცნობილია ეს აგრესია არ დაწყებულა მხოლოდ და მხოლოდ აგვისტოს თვეს, ეს იყო, ამას ჰქონდა წინაპირობები, ამიტომ კომისიის შესწავლის საკითხი, საგანი გახდა ესეც. აქედან გამომდინარე, ბატონო მინისტრო მზად ხართ თქვენ თუ არა ითანამშრომლოთ დროებით საპარლამენტო კომისიასთან და თქვენ კომპეტენციის ფარგლებში მოგვაწოდოთ ინფორმაცია.

**ი.მერაბიშვილი.** მე მზადა ვარ ვუპასუხო, თქვენს მიერ დასმულ ყველა შეკითხვას, ყველა ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც თქვენ გაინტერესებთ.

**თავმჯდომარე.** როგორც იცით, ჩვენი მუშაობის სტილი მდგომარეობს იმაში, რომ რამოდენიმე შეკითხვა იქნება დასმული ბლოკებისა და მიხედვით და თქვენ გაცემთ პასუხს. ბატონო ვანო, როგორც ცნობილი არის, ხაზი მინდა კიდევ ერთხელ გავუსვა, რომ აგვისტოს, მოვლენებთან დაკავშირებით, როცა დაიწყო საბრძოლო მოქმედებები ამას, ჰქონდა წინაპირობები. თქვენ როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი, რა ინფორმაციას ფლობდით, თუ როგორ მზადდებოდა ეს აგრესია, ვთქვათ, აქედან გამომდინარე, ვის აწვდიდით ინფორმაციას, განხილული იყო თუ არა ეგ საკითხები უშიშროების საბჭოს სხდომაზე. აქედან გამომდინარე, ჩვენ გვაინტერესებს, იყო თუ არა შესაძლებლობა იმ ინფორმაციის

საფუძველზე, რომელიც გააჩნდა შინაგან საქმეთა მინისტრს, შესაძლებელი იყო თუ არა თავის არიდება ამ კონფლიქტის. ჩვენ გვინტერესებს, ჰყავდა თუ არა რუსეთის ფედერაციას მოკავშირეები საქართველოს ტერიტორიაზე ამ აგრესიის განვითარების პერიოდში, იკვეთება თუ არა ასეთი პიროვნებები. აგრეთვე, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა კონკრეტულად, რა პრევენციული ღონისძიებები გაატარეთ ან რა გეგმა გქონდათ თქვენ, შემუშავებული იყო თუ არა საერთოდ ეს გეგმა შექმნილი იმასთან დაკავშირებით, რომ სიტუაცია იძაბებოდა და თუ როგორ უნდა ემოქმედა შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ დამაბულ მდგომარეობასთან დაკავშირებით და ამ გეგმის ნაწილი, იყო თუ არა რაღაც მექანიზმები, კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. ნუ, ჯერ ეს კითხვები, რომელსაც ... ვსვამთ თუ არის დამატებითი კითხვები ამ ბლოკთან დაკავშირებით გთხოვთ, რომ დაუსვათ ბატონ მინაშვილს, ქალბატონო ხათუნა,

**ვ.მერაბიშვილი.** ეხლა, შეიძლება მე წინადადება მექნება ეკა, მგონი, მოხსენება მოვამზადე და იქნებ, მე ამ მოხსენებას წავიკითხავ და შეკითხვები, რაც გამომჩნება იქნებ, შეკითხვები დავაზუსტოთ, თქვენთვის. მისაღებია ....

**თავმჯდომარე.** ბატონო ვანო, თქვენ ამ აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით, ჩვენ ....

**ვ.მერაბიშვილი.** მე ის შეკითხვა, რომელიც, თქვენ დამისვით პრაქტიკულად, ამ შეკითხვას მაგრამ, თვითონ საომარი ოპერაციების და საომარი ოპერაციების შემდეგ განვითარებული მოვლენების შესახებ მაქვს გარკვეული მოხსენება, ნივთმტკიცებები, გარკვეული ნივთმტკიცებები. მე ამას წარმოგიდგინებ დაახლოებით ნახევარ საათში და მერე უფრო შეკითხვები ...

**თავმჯდომარე.** კარგი, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ...დღის რეჟიმში ჩვენ მოვისმინოთ მოხსენება და თუ გაგვიჩნდა ამ ინფორმაციის საფუძველზე და ეს შეიძლება ინფორმაცია ამ მოხსენებაში იყოს ის პასუხი იმ კითხვებზე, რა კითხვებიც ჩვენ გაგვაჩნია, შემდგომ დამატებითი კითხვები დავსვათ ამ მიმართულებით. თქვენ შეგიძლიათ დაიწყოთ.

**ვ.მერაბიშვილი.** დიდი მადლობა. მე, პრეზენტაცია არის წარმოდგენილი აგრ დაფაზე და ჩემს საუბართან ერთად მოხდება დემონსტრირება სხვადასხვა ფოტო, ვიდეო-აუდიო მასალების. მე მაინც ზოგადი ერთი შესავალი მინდა გავაკეთო. მე პოლიტიკურ შეფასებებს, შევეცდები ნაკლები პოლიტიკური შეფასებები მქონდეს, თუმცა მინდა მოვიყვანო ერთი ფაქტი, ძაან საინტერესო. ვლადიმერ პუტინი როდესაც გახდა რუსეთის პრეზიდენტი, ეს მოხდა 2000 წელს, საქართველოს ტერიტორიაზე მხედველობაში მაქვს მე სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ტერიტორიებზე, ვლადიმერ პუტინს ხმა მისცა დაახლოებით, 5500 რუსეთის მოქალაქემ. ზუსტად, 8 წლის შემდეგ, როდესაც რუსეთის პრეზიდენტად არჩეული იქნა მედვედევი, მას ხმა მისცა საქართველოს ტერიტორიაზე 65000 რუსეთის მოქალაქემ, და მოგეხსენებათ, რომ ეს არის ნათელი მაგალითი თუ ამ ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტობის დროს, როგორ გაიზარდა რუსეთის, დრამატულად გაიზარდა რუსეთის მოქალაქეების რაოდენობა საქართველოს ტერიტორიაზე, და მოგეხსენებათ, რომ მიგრაცია, ასე ვთქვათ, რუსეთის მოსახლეობა ყოველწლიურად თითო მილიონით იკლებს, და ნაკლებად მოსალოდნელია აფხაზეთში და განსაკუთრებით ეგრეთ წოდებულ, სამხრეთ ოსეთში რუსეთის მოქალაქეების მიგრაცია, ს რომ ყოფილიყო სერიოზული და ეს იყო მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელიც გრძელდებოდა ჯერ კიდევ ჩვენს ხელისუფლებაში მისვლამდე, მე მინდა შეგახსენოთ, რომ პირველად საქართველო დაბომბილი იქნა სწორედ, პრეზიდენტ პუტინის .ასე ვთქვათ, პრეზიდენტობის პირველი წლის თავზე, 2 წლის თავზე დიდი ხნით ადრე, ვიდრე "ვარდების რევოლუცია" მოხდებოდა. საქართველოს წინააღმდეგ "ესენგე"-ს ერთ-ერთი ქვეყნის წინააღმდეგ შემოღებული იქნა სავიზო რეჟიმი და სხვა და სხვა. რა თქმა უნდა, ეს პოლიტიკა გაგრძელდა .ასე ვთქვათ, უფრო მეტიც ჩატარდა არჩევნები სამხრეთ ოსეთში და, ასე ვთქვათ, ამ არჩევნებში "დემოკრატიული გზით" შედარებით ლიბერალური პრეზიდენტი შეიცვალა რადიკალი პრეზიდენტით სამხრეთ ოსეთში და ეხლა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს არჩევნები ყოფილიყო რაღაც დემოკრატიული და ხალხის აზრი ყოფილიყო გათვალისწინებული, და მოქმედ პრეზიდენტს წაეგო არჩევნები სამხრეთ ოსეთში და ეს მოვლენები გაგრძელდა მანამ, მე ჩემს მოხსენებას უკვე ვიწყებ, უკვე 2008 წლიდან, უფრო კონკრეტული რომ ვიყო და ვიტყვი, რომ პირველი რადიკალური ნაბიჯი ვლადიმერ პუტინის მიერ გადადგმული იყო 2008 წლის 6 მარტს რუსეთის მიერ გადაწყვეტილება, რომ გამოსულიყო 1996 წლის დსთ-ს შეთანხმებიდან, რომელიც აფაზეთისთვის ეკონომიკური სანქციების დაწესებას ითვალისწინებდა და ზუსტად ამ დროიდან იწყება მომენტი, როდესაც იწყებს აქტიურ და ღია ვაჭრობას, "ვაჭრობა" ბრჭყალებში, ანუ ტვირთების შეტანას აფხაზეთის ტერიტორიაზე და ყოველგვარი იურიდიული საფუძველის გარეშე რუსეთი გამოდის ამ შეთანხმებიდან. უფრო მეტიც, 2008 წლის 16 აპრილს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გამოსცა დეკრეტი, რომლითაც მოუწოდებს ფედერალურ მთავრობას, დაამყაროს პირდაპირი ურთიერთობები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობებთან. ყველას ჩვენ გვახსოვს ეს დადგენილება. არ არსებობდა მსოფლიოში არც ერთი ორგანიზაცია საერთოდ, რომელმაც არ დაგმო ეს ხელშეკრულება, ეს დადგენილება, რომლითაც, პრაქტიკულად, აღიარებულ იქნა სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ორგანოები, ბრჭყალებში, სახელმწიფო ორგანოები, როგორც

სრულფასოვანი სუბიექტები ურთიერთობის. ამას ავტომატურად მოჰყვა უკვე სამხედრო კომპონენტების ზრდა აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში და 2008 წლის 29 აპრილამდე ... აფხაზეთში, ჩვენი ინფორმაციით, რუსებს ჰყავდათ 2 000-მდე რუსი სამხედრო, ჯარისკაცი სამშვიდობოების ეგიდით. რუსეთის მთავრობამ 4 მაისს დააფიქსირა, რომ მას ჰყავს, 500 კაცით გაზარდა თავის კონტიგენტი აფხაზეთში. თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, დადასტურებული ინფორმაციით, მინიმუმ, 4 000 სამხედრო მოსამსახურე ჰყავდა უკვე ამ დროისათვის რუსეთს აფხაზეთის ტერიტორიაზე. ეს არის 4 მაისის მონაცემები.

კონკრეტული ფაქტები მინდა გაჩვენოთ და ვიზუალურადაც წარმოვადგინო. აპრილის ბოლოს, ეს გრძელდებოდა 2 დღის განმავლობაში, 26-დან 27-მდე, დაახლოებით 30-32 ვაგონისაგან შემდგარმა ემელონმა გადმოკვეთა რკინიგზის საზღვარი ფსოუსთან და სწორედ მხოლოდ ამ ერთ ემელონში იქნა, 26 შენიღბული ტექნიკა იყო ამ იმაში წარმოდგენილი, მათ შორის, "დ-30" ტიპის ქვემეხები. ემელონების დამატებით შემოდინდნენ ნოვოროსიის სამხედრო ბაზის ჯარისკაცებით დატვირთული 4 ვაგონი. შემოტანილ იქნა ჯავშანტექნიკა, რომელიც გადმოიტვირთა ოჩამჩირეში. ჯარისკაცებისა და შეიარაღების ერთი ნაწილი გაიგზავნა ტყვარჩელის რაიონში, ხოლო დანარჩენი განაწილდა გალის რაიონში. მე ამავე დროს მინდა გითხრათ, რომ აქ, როცა მე ტყვარჩელის რაიონს ვიხილავ, თქვენ იცით, რომ აფხაზეთმა შეცვალეს ადმინისტრაციული საზღვრები და ჩვენ, ასე ვთქვათ, ინფორმაციის მოპოვების დროს ვსარგებლობთ აფხაზეთის მიერ დაწესებული საზღვრებით პირობითად იმისათვის, რომ ჩვენს წყაროებს გაუადვილდეთ ჩვენთვის ინფორმაციის მოწოდება. მოგეხსენებათ, რომ ტყვარჩელის რაიონი არ არსებობდა, ის ოჩამჩირეში შედიოდა, მაგრამ ჩვენ ოპერატიული ინფორმაციის გამარტივებისათვის, ასე ვთქვათ, სამხედრო მიზნებისთვის ვიყენებდით ადმინისტრაციულ დაყოფას აფხაზეთში რუკების შესაბამისად. აფხაზეთში დამატებით შემოყვანილი იქნა ფსკოვისა და ნოვოროსიისკის სადესანტო დივიზიის მებრძოლებისაგან შემდგარი 545- კაციანი შემადგენლობა, რომელიც არის ყოველგვარი ხელშეკრულების დარღვევა იმიტომ, რომ მედესანტეები მანდატით არ ითვალისწინებენ, მედესანტეები არ იყო გათვალისწინებული სამშვიდობო ხელშეკრულებით. მედესანტეები განლაგდნენ ტყვარჩელის რაიონის სოფელ ოხურეში და ოჩამჩირის რაიონის სოფელ რეხში. მათ პატრულირება დაიწყეს სხვადასხვა სოფლებში. აღნიშნული ფაქტი აგრეთვე, დადასტურდა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური გამოცემა "კრასნაია ზვეზდას" მიერ 2008 წლის 9 ივლისს. მინდა გითხრათ, რომ ძალიან ხშირად ის, რასაც უარყოფდა, რასაც უარყოფდა რუსული ოფიციალური მათ სახელმწიფო ბუკდვით წყაროებში ღიად იბეჭდებოდა. იმიტომ, რომ მოგეხსენებათ, ალბათ, მიუხედავად ტოტალური კონტროლისა მედიის, მაინც ხშირად იპარება, იპარებოდა ხოლმე რუსული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სხვადასხვა ინფორმაცია. ამავე დროს აფხაზეთში შემოყვანილი იქნა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ბატალიონ "ვოსტოკის", დაახლოებით 250 ჩეჩენი მებრძოლი, რომლებმაც პატრულირება დაიწყეს გალის რაიონში. ანალოგიური დაჯგუფებები შემოვიდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზეც, რომლებიც განლაგდნენ ....

**თავმჯდომარე.** ბატონო ვანო, მე დავაზუსტებ. აქ არის საუბარი იმ დასტურზე, რომელიც იყო ცხინვალში შემდგომ, ხომ, აი...

**ვ.მერაბიშვილი.** რომელიც იყო ცხინვალში შემდგომ. ეს იყო, ასე ვთქვათ, ეს "ვოსტოკი" ეხლა, ამჟამად "ვოსტოკი" პრაქტიკულად, გაუქმებულია იმიტომ, რომ იქ მიმდინარეობს მის წინააღმდეგ, ასე ვთქვათ, ბრძოლა თვითონ ჩეჩნეთში რადგან ჩეჩნეთის პრეზიდენტი ეს არის დაპირისპირებული ძალებია და რუსეთმა ეს ძალები, რომლებიც დაპირისპირებაში იყვნენ, ასე ვთქვათ, ჩეჩნეთის პრეზიდენტთან ამ ძალების გადმოსროლით შეეცადნენ რამოდენიმე ამოცანა გადაეჭრათ. პირველივე, მოცილებინათ ეს ხალხი იქიდან და, მეორეს მხრივ, მორალური, მორალი აეწიათ თავიანთი ჯარისკაცებისათვის, რომლებიც, ასე, რომლებიც ძალიან არაკომფორტულად გრძნობდნენ თავს აფხაზეთში და ოსეთში. აპრილ-ივლისის განმავლობაში რუსებმა შემოიტანეს დამატებითი სამხედრო ტექნიკა აფხაზეთში. კერძოდ, სამი ბუკის ტიპის თავდაცვის, საჰაერო თავდაცვის სისტემა, 40-მდე დ-30 ტიპის "ჰაუზიგა", 10 "გრადი"-ს სისტემა, 20-მდე ჰაერსაწინააღმდეგო ქვემეხი, 120 ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა და 2 "მი-24". მე მინდა გითხრათ, რომ მე რა ციფრებსაც ვიძახი, ეს არის დადასტურებული, დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია, თუმცა იყო უფრო მეტი, თუმცა მე მიჭირს ამ უფრო მეტზე ამ კონკრეტული რიცხვებისათვის ზუსტი ინფორმაციის მოცემა. ამავე დროს იყო შემოყვანილი ამ ავიაციის და ამ ტექნიკის მომსახურების სპეციალისტები შემოყვანილი. ამავე დროს დაიწყო, რადიკალურად გაიზარდა საკონტროლო გამშვები პუნქტების რაოდენობა. კერძოდ, 2008 წლის 1 მაისს ახალი უკანონო საკონტროლო- გამშვები პუნქტები საჩქაროდ გაიხსნა თითქმის ყველა სტრატეგიული მნიშვნელობის გზაზე ოჩამჩირესა და ტყვარჩელის რაიონში, მათ შორის, ნაკარდალითთან, არსაძიხთან და აკარმარასთან. 94 წლის შეთანხმების დარღვევით რუსეთი საშუალებას არ აძლევდა ქართველ საერთაშორისო დამკვირვებლებს ჩაეტარებინათ ახალი საკონტროლო-გამშვები პუნქტების მონიტორინგი. ასევე გუდაუთაში მდებარე ბომბორის სამხედრო ბაზის ინსპექტირება და მინდა გითხრათ, რომ პრაქტიკულად, 2008 წელს არც ერთ ამ ობიექტზე არ ჩატარებულა მონიტორინგი. კონკრეტული ფაქტებიც იყო აგრესიის, გახსოვთ თქვენ, 20 აპრილს მოხდა ქართული უპილოტო თვითმფრინავის, საფრენი საშუალების ჩამოგდება რუსული გამანადგურებელის მიერ, რომლის ფაქტი დადასტურდა გაეროს სპეციალური გამოძიებით და ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა იმ ინფორმაციის მიღება და გავრცელება მსოფლიოში, რადგანაც ისინი

უხედავ არღვევდნენ შეთანხმებას. ახალი საკონტროლო პუნქტები საზღვართან გაიხსნა შემდეგ დასახლებულ პუნქტებში, როგორც არის: ნაკარლაში, ფიჭორაში, ოტობაიაში, ნაბაკევი, ჭუბურხინჯში, დიხაზურში, საბერიოში და რამოდენიმე სხვა დასახლებულ პუნქტში, რომელიც რუკაზე ამ შემთხვევაში ნაჩვენებია და თქვენ შეგიძლიათ ნახოთ, რომ პრაქტიკულად, ყოველ 5-4 კილომეტრში პრაქტიკულად, უკვე რუსებმა აიღეს კონტროლი საზღვარზე.

ამავე დროს, უკვე 31 მაისს რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ ოფიციალურად შემოიყვანა მინიმუმ 400. მათი განცხადებითვე 400 სამხედრო, რომლებმაც დაიწყეს სარკინიგზო გზის აღდგენა ოჩამჩირეში და მე მგონი, ყველასათვის ნათელი იყო, რომ ოჩამჩირემდე გზის აღდგენა არ იყო დაკავშირებული არავითარ სოციალურ ან სავაჭრო საკითხებთან. ეს იყო მხოლოდ ერთადერთი მიზნით—რუსული სამხედრო ტექნიკის შემოყვანა ოჩამჩირეში და ოჩამჩირე იყო ყველაზე ახლო პუნქტი, ასე ვთქვათ, გალთან და ზუგდიდთან და ეს იყო, პრაქტიკულად, ომისათვის მზადება და მინდა გითხრა, რომ აი ის კადრები, რომელიც თქვენ ნახეთ, რომ ეს არის სოხუმის ქუჩებში მოძრაობენ რუსული ქვემეხები, ეს არ არის გადაღებული არც ჩვენი დაზვერვის, არც ჩვენი კონტრაზვერვის არც, ეს არის რუსეთის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის მიერ გავრცელებული კადრები, თუ როგორ მოძრაობენ სოხუმის ქუჩებში კანონის დარღვევით, ხელშეკრულების დარღვევით ეს ტანკები და მაშინ ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ეს იყო დაგეგმილი პროვოკაცია, რათა საქართველო წამოგებულიყო, ასე ვთქვათ, ამ ანკესზე და გარკვეული სამხედრო ოპერაციები დაწყებული ყოფილიყო აფხაზეთში.

რუსული რეგულარული არმია განლაგებულია აფხაზეთში დღესაც და მაშინაც განლაგებული იყო შემდეგ პოზიციებზე, რომელიც რუკაზეა ნაჩვენები ოჩამჩირეში, ბაბუშერაში, ბომბორაში, აკარმარაში, სოხუმში წებელდაში, ოხურეში, გაგარაში და ლათაში. ეს არის ის ნაწილები, რომლებიც საზღვართან არ არიან განლაგებულები, რომლებიც არ ახორციელებენ პატრულირებას, მაგრამ ეს არის სამხედრო ბაზები სხვადასხვა ზომის. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად გაიზარდა სამხედრო ბაზებისა და ტექნიკის რაოდენობა 2000 წლის ივლისამდე რამოდენიმე ასეული ჯარისკაცით მეტი და 44 ჯავშანტექნიკა დაფიქსირდა "ბომბორას" სამხედრო ბაზაზე, რომელიც 99 წლის სტამბულის შეთანხმების მიხედვით დახურული უნდა ყოფილიყო აქამდე. დაფიქსირდა დიდი რაოდენობით გამანადგურებლების და ავიაგამანადგურებლებისა და რამოდენიმე "სუ-25" და "სუ-27" ტიპის საბრძოლო გამანადგურებლების გამოჩენა "ბომბორას" აეროპორტში და ბაზების მოწყობა მასობრივად ბევრი ბაზების მოწყობა, კერძოდ, ოჩამჩირე ტიპის ავტომანქანა შევიდა ოჩამჩირის პორტის ბაზაზე, წინასწარ იყო გარკვეული შეკეთებითი სამუშაოები. იმავე დღეს ბაზაზე შევიდა ჰაერსაწინააღმდეგო ტყვიამფრქვევის .... დატვირთული რამოდენიმე კონტეინერი, 2008 წლის 3 ივლისს ბაზაზე დაფიქსირდა 5 ერთეული ასოცილიმეტრიანი საარტილერიო სისტემის რამდენიმე ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის ანუ ბუკის შეყვანა ოხურეში 2008 წლის გაზაფხულზე რუსული სპეცნაზის დახმარებით, დასრულდა ოხურეის სამხედრო ბაზის მშენებლობა ტყვარჩელის რაიონში, 2008 წლის 8 ივლისს ბაზაზე განლაგებულ შენაერთებს დაემატნენ სამხედროები, 4 ჯავშანტექნიკა, 4 ჯავშან... , 4 "ბერდეემის" ტიპის სამხედრო მანქანა და რამდენიმე ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა. ეს კადრები გადაღებულია, ოპერატიული კადრებია, რომელიც აჩვენებს, რომ მასობრივი მომზადება მიმდინარეობდა, ასე ვთქვათ, უკვე სავლელ პირობებში რუსი სამხედროების შემოყვანაზე. სოხუმში შუქურას დასახლებაში რუსებმა დაასრულეს სამხედრო ბაზის შეკეთება, აქ არის ნაჩვენები, თუ როგორ მიმდინარეობდა მასობრივად მშენებლობა და მოკლე ვადაში დასრულდა ამ ყაზარმების მშენებლობა. 200.. წლის 30 აპრილს. სოხუმის რკინიგზის სადგურში შევიდა სხვადასხვა ტიპის ... დატვირთული 40-მდე ვაგონი, იგივე ჰაერსაწინააღმდეგო, თავდაცვის სისტემა. პრაქტიკულად, ღიად იდგა, ასე ვთქვათ, სხვადასხვა ტერიტორიებზე და ის ... დაფიქსირდა ჩვენი უპილოტო საფრენი საშუალების მიერ. ამავე დროს აფხაზეთის ოფიციალური პირები ღიად აფიქსირებდნენ იმ ფაქტს, რომ ისინი, მათი გაწვრთნა ხდება სწორედ, რუსების მიერ და რუსეთის თავდაცვის, აფხაზეთის თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები არაერთხელ პირდაპირ აპირებდნენ, აკეთებდნენ მსგავს განცხადებებს. რუსები ღიად, ასე ვთქვათ, ოფიციალურად მონაწილეობდნენ აფხაზეთის, ე. წ. თავდაცვის, ასე ვთქვათ, სისტემების შემუშავებაში და პრაქტიკულად, ის ადამიანები, რომლებიც ხშირად სამშვიდობო კონტინგენტში ან სამხედრო ნაწილებში მსახურობდნენ, ოფიციალურად მონაწილეობდნენ, შემდეგ ხდებოდნენ დროებით ან მუდმივად აფხაზეთის და ოსეთის ოფიციალური პირები და ხელფასს ისინი ხშირად, ხშირად კი არა, ყოველთვის ღებულობდნენ რუსული, თავისი ყოფილი სამსახურებიდან ან მოქმედი სამსახურებიდან, თუმცა წარმოადგენდნენ, ფორმალურად ირიცხებოდნენ აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის ოფიციალურ პირებად. აქ უამრავი ფაქტები არსებობს. მე დაწვრილებით არ დავიწყებ ამაზე საუბარს და უამრავი ადამიანი, მათ შორის, ცნობილი, ზაიცევი, რომელიც იყო გენშტაბის უფროსი, რომელიც წლების განმავლობაში არის გენშტაბის უფროსი და მინისტრის მოადგილე აფხაზეთში და თქვენ გახსოვთ, რომ, ასე ვთქვათ, კოდორის ოპერაციას რუსი ოფიცრები ოფიციალურად, ასე ვთქვათ, უხსნიდნენ, პრეზენტაციას უკეთებდნენ ბალაშს და ისინი ატარებდნენ ამ ოპერაციას მათივე ოფიციალური განცხადების შესაბამისად. რამოდენიმე ფაქტი იყო ჩვენს მიერ დაფიქსირებული ჩვენს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე უკანონო ტვირთების გადაადგილებით. თქვენ გახსოვთ, ჩვენ 20-მდე ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა ამოვიღეთ და სრულიად კანონის დარღვევით ეს

რიგდებოდა უკვე ზუგდიდის და წალენჯიხის რაიონებში განთავსებულ რუსულ პოსტებზე, თუმცა ეს იქნა ამოღებული. სავარაუდოდ იყო სხვა ტიპის ტექნიკა, რომლის ამოღებაც ჩვენს მიერ ვერ მოხერხდა, რადგანაც სხვასხვა შენობა-ნაგებობის ფორმით ამ ტვირთების გადაადგილება ხდებოდა არა მარტო, პირობითად, აფხაზეთის ტერიტორიაზე, არამედ საქართველოს და სხვა ტერიტორიებზეც. იყო რამოდენიმე შემთხვევა, როდესაც დივერსიული ჯგუფების გადმოსვლა მოხდა, თქვენ გახსოვთ, 2007 წლის 20 სექტემბერს 10– კაციანი ჯგუფი განადგურდა და გახსოვთ, რომ განადგურებულ ადამიანებში იყვნენ ოფიციალური რუსეთის თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები და, ასე ვთქვათ, ამაზე დაწვრილებით აღარ გაჩერდები.

უკვე 2008 წლის 15 ივნისიდან, ჩრდილოეთ კავკასიაში დაიწყო ძალიან დიდი სამხედრო წვრთნები. 20 წლის მანძილზე, ჩვენს მიერ ამოღებული სტატისტიკით, 20 წლის მანძილზე, ბოლო 20 წლის მანძილზე, ასეთი სერიოზული წვრთნები არ განხორციელებულა. მასში მონაწილეობდნენ ფსკოვისა და ნოვოროსიისკის სადესანტო ნაწილები და წვრთნები ტარდებოდა როკისა და მამისონის უღელტეხილებთან უშუალო სიახლოვეს რუსეთ–საქართველოს საზღვართან და მიინდა გითხრათ, რომ ეს ინფორმაცია, პრაქტიკულად, ღია წყაროებითაც ხდებოდა ამის დადგენა და აქედან გამომდინარე, ჩვენ ზუსტი ინფორმაცია გვექონდა, თუ რა ძალები ჰქონდა მობილიზებული რუსებს ამ ტერიტორიაზე და რა ახლოს იყვნენ ეს ძალები იგივე, სოხუმთან თუ ცხინვალთან. აქ არის სხვა მონაცემები ამ წვრთნებთან დაკავშირებით. ანალოგიური წვრთნები ტარდებოდა შავი ზღვის ფლოტში და უამრავი რაოდენობის, არნახული რაოდენობის სამხედრო–საზღვაო საშუალება მონაწილეობდა შავ ზღვაში ჩატარებულ სამხედრო ფლოტის.... იგივე სიტუაცია შეგვიძლია ვთქვათ, რომ, იგივე მსგავსი სიტუაცია იყო სამხრეთ ოსეთის მთავრობაში, მე მიინდა ჩამოვთვალო რამდენად, იური მოროზოვი, რუსი ბიზნესმენი, რომელიც გამოგზავნილ იქნა 2005 წლის 4 ივლისიდან სამხრეთ ოსეთში პრემიერ-მინისტრის მოვალეობას ასრულებდა. მიინდა იყო, ასე ვთქვათ, ჩრდილო ოსეთის მილიციის პოლკოვნიკი, 2005 წლის 25 აპრილიდან მუშაობდა სამხრეთ ოსეთში შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე, ანატოლი ბარანკევიჩი 2006 წლის 11 დეკემბრიდან უშიშროების საბჭოს მდივანი იყო, თუმცა იქამდე იყო თავდაცვის მინისტრი სამი წლის განმავლობაში. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც იგივე, ბორის ატოევი რუსეთის უშიშროების ყოფილი თანამშრომელი, ნუ, ყოფილი არა, ალბათ, დღესაც მოქმედი. 2006 წლის 9 ნოემბრიდან იყო ე.წ. უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ვასილ ლუნევი ყოფილი რუსი სამხედრო მაღალჩინოსანი 2008 წლის 1-ლი მარტიდან სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრი, ანუ ყველა თანამდებობაზე, ასე ვთქვათ რუსეთის ოფიციალური პირები იყვნენ სამხრეთ ოსეთში და, პრაქტიკულად, ისინი მართავდნენ ყველას, მართავდნენ სიტუაციას სამხედრო ტერიტორიაზე. მე მიინდა წარმოვადგინო ეხლა ერთი სლაიდი, ძალიან საგულისხმომ სლაიდი და თქვენ ეხლა ხედავთ, 2007 წლის 26 ივლისს გადაღებულ ცხინვალის სამხედრო ბაზის ტერიტორიას, მე მიინდა მიაქციოთ ყურადღება, რომ აქ არის ერთი შენობა და სამი პატარა შენობა. ეს არის, ხაზს ვუსვამ 2007 წლის 26 ივლისს და ეხლა მე მიინდა ვნახოთ, იგივე შენობა ვნახოთ 2008 წლის 10 აგვისტოს. ის უკან დავაბრუნოთ და ისევ ვიზუალურად ... ეს ყველაფერი მოხდა ანუ ერთი წლის განმავლობაში ასეთი, ასე ვთქვათ, თითქმის ქართული მშენებლობის სიჩქარით მოხდა ამ მშენებლობის აშენება. თქვენ ხედავთ. რა სერიოზული მშენებლობა განხორციელდა, ეს ყველაფერი განხორციელდა ბევრი საერთაშორისო დამკვირვებლის თვალწინ ქალაქ ცხინვალში და უბრალოდ, ელემენტარულად აერო-ფოტო სურათით დაფიქსირდა, რომ ერთი წლის განმავლობაში, უფრო სწორად, ვთქვათ 6 თვის განმავლობაში იმიტომ, რომ ზამთარში მშენებლობები ხორციელდება, ასეთი სერიოზული გრანდიოზული მშენებლობა იყო. მე მიინდა გაჩვენოთ ასეთივე ანალოგიური ჯავის სამხედრო ბაზა. 2007 წლის 26 ივლისს გადაღებული ფოტო. ეს იყო ჯავის სამხედრო ბაზა. თქვენ ხედავთ შენობის რაოდენობას 2007 წლის 26 ივლისს და ეხლა გაჩვენებთ 28 აგვისტოს გადაღებულ კადრებს, იგივე ბაზა. თქვენ მანდ ხედავთ, რომ რადიკალურად განსხვავება ამ ბაზების და ეს ყველაფერი გაკეთდა მხოლოდ ბოლო ერთ წელიწადში. მე, უკვე ვუახლოვდები უკვე იმ ეტაპებს, როცა უკვე სიტუაცია იძაბება. ჩვენთვის უკვე ნათელია, რომ მზადდება პროვოკაცია, როგორც აფხაზეთის ისე სამხრეთ ოსეთის მიმართულებით და პირველი ნიშანი ამ ასე ვთქვათ, აგრესიის იყო 3 ივლისს, დაახლოებით 10 საათზე, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, ერედვ-ხეთის შემავალ გზაში, ოსი სეპარატისტები თავს დაესხნენ სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დიმიტრი სანაკოევს, და მის თანმხლებ პირებს, თავდასხმის შედეგად მძიმედ დაიჭრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 3 თანამშრომელი, და ისინი გადარჩნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი, ასე ვთქვათ, კარგად იყვნენ აღჭურვილი, ბრონირებული საშუალებებით. თავად დიმიტრი სანაკოევი გადარჩა, გადაურჩა და მას დაზიანება არ მიუღია იმიტომ, რომ გარკვეული შეყოვნება იყო აფეთქების და მხოლოდ დაცვის მანქანა აფეთქდა და თქვენ ხედავთ დაცვის მანქანის მდგომარეობას. იგივე ივლისის განმავლობაში ოსმა სეპარატისტებმა აგრეთვე გაუხსნეს ცეცხლი ქართულ სოფლებს ნიქოზს, ერგნეთს, ერედვს, ფრიზს, ვანას, თამარაშენს, ავნევსა და ნულს. 2008წ. 29 ივლისს დაახლოებით 22 საათზე ოსმა სეპარატისტებმა ცეცხლი გაუხსნეს ..... განლაგებულ ქართულ სამშვიდობო ჯარებს და მე მიინდა გითხრათ, რომ ეს ეტაპია ის ეტაპი, როდესაც პირველად ხდება ქართული სამშვიდობოების წინააღმდეგ იარაღის გამოყენება. მე მიინდა გითხრათ, რომ მთელი ამ მრავალწლიანი ისტორიის მანძილზე იშვიათი შემთხვევები იყო და ბოლო 4 წელიწადში მე არც კი მახსოვდა იქამდე, ქართული სამშვიდობოების წინააღმდეგ თავდასხმები ამ რეგიონში. სიტუაცია რადიკალურად დაიძაბა 1 აგვისტოსათვის, როცა 8 საათზე და 15 წუთზე ერედვ-ხეთის შემოვლით გზაზე რადიომიმღები, რადიომართვად ნაღმზე აფეთქდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილი "პიკაპის" ტიპის ავტომანქანა, რომელშიც დაიჭრა 6 პოლიციელი. მიინდა გითხრათ, რომ ამ დღიდან შემოვლითი გზა, რომელიც აკავშირებდა დიდი ლიახვის ხეობის 9 სოფელს

დანარჩენ საქართველოსთან, პრაქტიკულად, მოწყვეტილი იქნა საქართველოს, რადგანაც ამ გზაზე გარდა სპეცდანიშნულების რაზმებისა, ვერც ერთი მძლავრი, ვერც ერთი მოქალაქე ვერ ბედავდა გადაადგილებას და ჩვენს მიერ დაგეგმილი იქნა სასწრაფოდ შექმნილი რამოდენიმე ბრონირებული სატვირთო, ასე ვთქვათ, ავტობუსის ტიპის ავტომობილი, რომელიც შეკვეთილი იქნა და შექმნილი იქნა, თუმცა უკვე ეს მოხდა უფრო გვიან განხორციელდა, რათა მოქალაქეების თავისუფალი გადაადგილება ან თუნდაც ნაწილობრივი ევაკუაცია მაინც მომხდარიყო გარკვეული პირების და მინდა გითხრათ, 1 აგვისტოდან ხაზი მინდა გავუსვა .პრაქტიკულად, ეს გზა, გარდა სამხედროებისა, პრაქტიკულად, მოქალაქეების მიერ არ ხდებოდა ამ გზის გამოყენება, იმიტომ, რომ ამ გზაზე იქამდე მოხდა რამოდენიმე აფეთქება და .პრაქტიკულად, სამოქალაქო პირები თავს დაზღვეულად არ თვლიდნენ ამ გზაზე.... და .პრაქტიკულად, 1 აგვისტოდან დე ფაქტო ეს 3, 8 სოფელი დაახლოებით 12,13000 მოქალაქე იყო ალყაში. და ეს ხდებოდა პარალელურად კოკოთის მიერ ყოველდღიური განცხადებებისა, რომ ის აპირებს გაწმინდოს ქართული სოფლები, ასე ვთქვათ, ბანდიტებისაგან. ეს ხდებოდა რუსული მასშტაბის საშუალებებზე ყოველდღიურად. 1 აგვისტოს, საღამოს საათებში, ოსმა სეპარატისტებმა გაუხსნეს ცეცხლი ქართველ პოლიციის სამშვიდობოებს და მოქალაქეების სახლებს ქვემო და ზემო ნიქოზში, ავნევიში, ერგნეთში, ერედვიში, რის შედეგაც დაიჭრა 6 მშვიდობიანი მოქალაქე. 2 აგვისტოს საღამოს ოსმა სეპარატისტებმა სოფლებიდან ხეთაგუროვოდან და უბაიდან, უბაითიდან, ცეცხლი გაუხსნეს ქართველ პოლიციელებს ავნევსა და ნულში და აქედან იწყება ავნევისა და ნულის მასობრივი დაბომბვები. და, ამ დროს პირველად ჩნდება 120 მმ. ნაღმტყორცნები და მე მინდა ყურადღება მივაქციო იმ ფაქტს, რომ ხშირად შეჩვეული იყო ხალხი, რომ ნაღმტყორცნების გამოყენება ხდებოდა, ასე ვთქვათ, კონფლიქტის ზონაში, მაგრამ აქამდე ხდებოდა მხოლოდ 86 მმ. ნაღმტყორცნების გამოყენება და ეს აიხსნება იმით, რომ როგორც სამშვიდობოების მანდატში დაშვებულია 86 მმ.–მდე ნაღმტყორცნის გამოყენება. ამიტომ, როდესაც ოსები იყენებდნენ ამ ნაღმტყორცნებს არ ეშინოდათ ამისი იმიტომ, რომ შემდეგ რუსები ან რუსეთის სამშვიდობოებს შეემლოთ და ხშირად ამბობდნენ, რომ ეს იყო მათ მიერ გამოყენებული. ამიტომ ეს არ იყო, ნუ, რაღაც "ხელშეკრულების დარღვევა", მაგრამ ამ დღიდან იწყება 120 მმ.–იანი ნაღმტყორცნის გამოყენება, რომლის გამართლება საერთოდ არ არსებობს.

მინდა გითხრათ, რომ შეიძლება ციფრებში დიდი განსხვავება არ არის, 86–ს და 120–ს შორის, მაგრამ გამანადგურებელი ძალა 120 მმ.–იანი ნაღმტყორცნის, როგორც მანძილის თვალსაზრისით ისე განადგურების თვალსაზრისით 20–ჯერ და 30–ჯერ აღემატება 86 მმ.–იანი ნაღმტყორცნის ძალას და სწორედ ამ ნაღმტყორცნებით, პრაქტიკულად, მიწასთან იქნა გასწორებული ამ დღეებისთვის, 3 აგვისტოსთვის, ყველა პოლიციის შენობა, როგორც ნულში, ისე ნიქოზში და ნაწილობრივ დაზიანდა სხვა, ასე ვთქვათ, პუნქტებზე, პოსტებზე, სადაც ჩვენი პოსტები გვაქვს განლაგებული პრაქტიკულად, ყველა პოსტი იქნა დაზიანებული.

**თავმჯდომარე.** ბატონო ვანო, მე დავაზუსტებ. ჩვენ გვაქვს ამის მტკიცებულება ფოტოს დონეზე, ვთქვათ, იქ პოსტები დაზიანებული და აფეთქებული?

**ი.მერაბიშვილი.** დიახ. მე მინდა გითხრათ, რომ 5 აგვისტოს, მე ცოტათი გავუსწრებ მოვლენებს, ჩვენ, ყველა ელჩი ჩემი მოადგილის ქალბატონი ეკა ზღულაძის მიერ იქნა წაყვანილი აქ და ყველა საელჩოს, მათ შორის, რუსეთის ელჩიც ესწრებოდა ამ შეხვედრას და ჩვენ ვიზუალურად, ფიზიკურად, გარდა ვიდეო და აუდიო ვიზუალური სურათებისა, ვანახეთ ეს ჭურვები და მინდა გითხრათ, რომ ეს დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა იმიტომ, რომ ბევრი ეს ნაღმი იყო ჩარჭობილი, ასე ვთქვათ, იქვე ადგილზე და ჯერ კიდევ ცხელ–ცხელი იყო, ასე ვთქვათ.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ როდესაც ჩვენ დიპლომატები ან უცხოელები ჩაგვყავდა ხოლმე კონფლიქტის ზონაში, როგორც წესი, ჩაყვანის წინ ცეცხლი წყდებოდა ხოლმე. ეს იყო იშვიათი შემთხვევა, როდესაც ცეცხლი შეწყდა იქ, როდესაც დიპლომატების მისვლამდე 10 წუთით ადრე. ამიტომ ამ დიპლომატებს, თვითონაც მოისმინეს ეს აფეთქებების ხმები და ასეთი გრანდიოზული დაბომბვა არ ყოფილა აქ ასე, ვთქვათ, როგორც მინიმუმ ბოლო 5 წლის განმავლობაში და ყველამ აღიარა, ყველამ დააფიქსირა ეს ფაქტი, ეს განხორციელდება ნულში, ნიქოზში და ასე ვთქვათ, რამოდენიმე პოსტზე.

პრაქტიკულად ყოველდღიურად, როგორც კი მოსახერხებელი იქნებოდა, ჩვენ აღდგენას ვახორციელებდით, ჩვენი პოსტების. ქართული, ფრისის პოსტი მინდა გითხრათ 1–დან 8–მდე, იყო 6–ჯერ აღდგენილი და ჩვენ ყოველდღიურად მიგვქონდა იქ სამშენებლო მასალები, ტომრები და ამით აღდგენას ვახორციელებდით. გარდა ამისა, 6 აგვისტოდან, 2 აგვისტოდან, დაიწყო, ასე ვთქვათ, ცხინვალიდან და მიმდებარე ტერიტორიებიდან მასობრივი ევაკუაცია მოსახლეობის, რომელიც ჩვენთვის სრულიად აუხსნელი მოვლენა იყო. ჩვენ ამოვიღეთ იმ დროს სტატისტიკა და ჩვენ გვქონდა პრაქტიკა, რომ ხშირად რამოდენიმე წლის განმავლობაში იმის მიბაძვით, რომ ჩვენ, ასე ვთქვათ, ოსეთიდან, ცხინვალიდან გამოგყავდა ადამიანები და ბათუმში და გახსოვთ ქობულეთში ვასვენებდით, ასე ვთქვათ, ოს ახალგაზრდებს და ბავშვებს, ამის საპასუხოდ რუსეთის მთავრობამაც დაიწყო მასიური, ხანდახან გაყვანა ადმინისტრაციის მაღალჩინოსნების შვილების დასასვენებლად რუსეთში, თუმცა მათი რაოდენობაც მთელი ზაფხულის განმავლობაში, ვთქვათ, 2007–ში, 2006–ში, 150–200 კაცს არ აღემატებოდა

და როგორც წესი, ეს ხდებოდა რაღაც თანამდებობის პირების, შვილების გაყვანა. მაგრამ ჩვენდა გასაოცრად, 2 აგვისტოდან დაიწყო მასობრივი გაყვანა არა მარტო ცხინვალიდან და მალაღი თანამდებობის პირების შვილების, არამედ ეს გახლდათ მასობრივად, ასე ვთქვათ, და დაიწყო, მათ შორის, არა მარტო ცხინვალიდან, არამედ მიმდებარე სოფლებიდან, რაც აქამდე, ესეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია. მაგრამ ჩვენ შეგვაშფოთა ციფრმა. ჩვენ 6-ში, უკვე დავთვალეთ და აღმოჩნდა 2000-ზე მეტი ბავშვი და ქალი იყო გაყვანილი. საგულისხმოა ის ფაქტი თუ აქამდე, იქამდე მიჰყავდათ, მხოლოდ ბავშვები და მშობლების გარეშე, ამ შემთხვევაში ქალები და ბავშვები გადაჰყავდათ ორგანიზებულად. ჩვენი ინფორმაციით, მინიმუმ 1000 ადამიანი, თავისი, ასე ვთქვათ, სადაცვო საშუალებით გადავიდა ჩრდილო-ოსეთში.

4 აგვისტოს, გვიან ღამით ოსებმა ცეცხლი გაუხსნეს სარაზდკის იმაზე, განლაგებულ ქართულ სამშვიდობო საგუშაგოს, რის შედეგადაც დაიჭრა 2 ჩვენი სამხედრო. მინდა გითხრათ, რომ გამოყენებული იქნა ამ შემთხვევაში გამოყენებული იქნა 120 მილიმეტრიანი ნაღმტყორცნი.

5 აგვისტოს, სოფელ უბიათელ ოსს, სეპარატისტებმა 3 ყუმბარა ესროლეს სოფელ ..... საქართველოს პოლიციის საგუშაგოს და პრაქტიკულად ბოლომდე გაანადგურეს ის და დაჭრეს ჩვენი სპეცდანიშნულების რაზმის უფროსის მოადგილე.

6 აგვისტოს, 16 საათზე, სოფლებიდან ფრინველი, უბიათი და ხეთაგუროვზე, ოსმა სეპარატისტებმა ცეცხლი გაუხსნეს სოფლებს – ნულს, და ავნეს. მე მინდა კიდევ ერთი, ერთ ფაქტს გამოვხატა. ხშირად არის შეკითხვა, ეს საკითხები ფიქსირდებოდა თუ არ ფიქსირდებოდა, ასე ვთქვათ, ეუთოსა სხვა იმის მიერ. მინდა გითხრათ, რომ იყო ასეთი პრაქტიკა ყველასათვის ნათელი გახდეს საეთოდ დაფიქსირება ასეთი აფეთქებების ხდება მეორე დღეს. დაფიქსირება რას წარმოადგენს – ერთი არის, ასე ვთქვათ, ხმა, როცა ხდება ვიზუალურად იმ მომენტისთვის ამის დაფიქსირება, ამის ხმის დაფიქსირება და მეორე დღეს მხარეები მიმართავენ ეუთოს ექსპერტებს, ... წარმომადგენლებს. მეორე დღეს ხდება ადგილის დათვალიერება, ექსპერტიზის ჩატარება, სინჯების აღება და ყველა ამ მოვლენის დაფიქსირება, როგორც წესი, ხდება ერთი დღით გვიან.

ამიტომ ყველა ეს ფაქტი, რომელიც მე გითხარით, ეს არის დაფიქსირებული, მათ შორის, ეუთოს დამკვირვებლების მიერ, ოღონდ ერთი დღის შემდეგ.

ეს არის გარკვეული ჩემი პასუხი ზოგიერთ გამოთქმულ ეჭვზე, რომ, ასე ვთქვათ, რატომ არ არის დაფიქსირებული ეუთოს მიერ ან თუ არ არის დაფიქსირებული, ვთქვათ, 7-ში საღამოზე განხორციელებული ოსების მიერ, ანუ რუსების მიერ განხორციელებულ თავდასხმებს. მინდა გითხრათ, რომ ეს დოკუმენტური დაფიქსირება შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ 8-ში დილაზე. ამიტომ მე რასაც ეხლა ვსაუბრობ, ეს ყველაფერი დაფიქსირებულია, აქამდეც, ..... დაფიქსირებული არის იმიტომ, რომ ამის შემდეგ, მეორე დღეს, ჩვენ ეს ყველა ფაქტზე მოხდა კონკრეტული ექსპერტიზის ან დათვალიერების ჩატარება.

7 აგვისტოს დღის სხვადასხვა დროს არტილერიის გამოყენებით, უკვე 6-ში და 7-ში უკვე ირთვება არტილერია "დ-30" ტიპის და "აკაესის" ტიპის საარტილერიო დანაყოფებით. უკვე არტილერიით ხდება დაბომბვა ქართული სოფლების და პოლიციის შენობების. დაიბომბა, 7 აგვისტოსვე დაიბომბა ქართული სოფლები ერგნეთი, ერთი, ფრისი, ვანათი, ავნევი, ნული, თამარაშენი, ქურთა და სარაზდკის სიმაღლე. დაბომბვის შედეგად დაზიანდა მრავალი საცხოვრებელი სახლი, დაიჭრა სამი სამშვიდობო ბატალიონის მოსამსახურე. სოფელ ავნევთან სეპარატისტებმა ააფეთქეს ქართველ სამშვიდობოთა ჯავშანტრანსპორტიორი, რის შედეგადაც დაიღუპა ორი სამშვიდობო ჯარისკაცი, ეს იყო, და დაიჭრა 5.

ეს იყო, ასე ვთქვათ, პირველი, ბოლო, მე რაც მახსოვს, პირველი შემთხვევა ჩვენი სამშვიდობოების. ეს იყო პირდაპირ დამიზნებით აფეთქებული ჩვენი, ასე ვთქვათ, სამშვიდობო ჯავშანმანქანა. 7 აგვისტოს 19 საათსა და 10 წუთზე სეპარატისტების მხრიდან გახსნილი ცეცხლის შედეგად, ქართულ სამშვიდობოებსა და სამოქალაქო პირებს შორის მსხვერლის მიუხედავად, პრეზიდენტმა სააკაშვილმა დაუყოვნებლივ ცეცხლის შეწყვეტაზე ბრძანება გასცა და ოს სეპარატისტებს მოლაპარაკებისკენ მოუწოდა.

თქვენ ყველამ იცით, რომ ამ მოლაპარაკებას არ გამოხმაურებია არავინ არც რუსეთის, არც ოსეთის არც ერთი ოფიციალური და არაოფიციალური პირი. მიუხედავად ამისა, რომ ჩვენ, პრაქტიკულად, საპასუხო ცეცხლი შეწყვეტეთ, თავდასხმები განხორციელდა, სეპარატისტების მხრიდან კიდევ უფრო ინტენსიური გახდა და დაიწყო მასობრივი დაბომბვა განსაკუთრებით თამარაშენის მიმართულებით. უფრო სწორად, თამარაშენისა და დიდი ლიახვის ხეობის მიმართულებით. კერძოდ, 20 საათსა და 30 წუთზე სოფელ ხეთაგუროვოდან ნაღმტყორცნით დაიბომბა სოფელი ავნევი. 20 საათსა და 30 წუთზე ცხინვალიდან ცეცხლი გაუხსნეს თრიაყანას

სოფლებს და თრიაყანას სოფლებს ფრისსა და თამარაშენს. 23 საათზე და 30 წუთზე მასირებული ცეცხლი გაუხსნეს ცხინვალის გარშემო მდებარე ქართული სამშვიდობო ყველა პოზიციას. მათ შორის, თამარაშენსა და ქურთაში, რის შედეგადაც ბოლომდე განადგურდა ქურთის პოლიციის შენობა.

ახლა მე, კონკრეტულად მე მინდა გითხრათ, თუ როდის დაიწყო რუსების ჯარების შემოყვანა ცხინვალში. ივლისის ბოლოდან ქალაქ ცხინვალში რუსული სამშვიდობო ჯარების შტაბის ტერიტორიაზე 58-ე არმიის 33-ე სამთო-მოტომსროლელი ბრიგადისათვის გაიშალა საველე კარავები, თქვენ ამ ნახაზს ხედავთ, კარავები დაახლოებით 1500-2000 კაცზე და დაიწყო მათი ეტაპობრივი შემოყვანა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე არ ვადასტურებ, რომ 1500-2000 კაცი იქნა შემოყვანილი, მაგრამ კარავები 1500-2000 კაცზე იყო გახსნილი და საშუალოდ...

**თამაჯდომარე.** ფაქტიურად, მზადება მიმდინარეობდა.

**ი.მერაბიშვილი.** კვირაში 200 კაცი შემოდიოდა სამშვიდობოს მანდატის ეგიდით ან სხვა სატრანსპორტო საშუალებებით. ჩვენი ვარაუდით, დადასტურებული ვარაუდით, 600-700 კაცი, მინიმუმ, ამ დროს იყო ამ ბაზაზე შემოყვანილი, ხაზს ვუსვამ, ამ ბაზაზე შემოყვანილი. 58-ე არმიის 33-ე სამთო ბრიგადა დისლოცირებული დადესტანში, რესპუბლიკის დასახლება ბოლთიხში, ბრიგადა დაკომპლექტებული იყო 1221 სამხედრო მოსამსახურით, რომელიც აქ უნდა შემოსულიყო. სავარაუდოდ, აი ეს 1221 კაცი უნდა შემოსულიყო და მათი ნაწილი შემოვიდა კიდევაც ამ ნაწილში. ბრიგადის შემადგენლობაში შედის აგრეთვე 1198 ... სადაზვერვო ბატალიონი, რომლის ჩამოყალიბებაში უშუალო მონაწილეობას იღებდა სორ-ის თავდაცვის მინისტრი ვასილ ლუნევი. ის იყო არაერთხელ ჩასული იქ და თვითონ ახორციელებდა მის დაკომპლექტებას. მინდა გითხრათ, რომ დაკომპლექტების, და კომპლექტდებოდა ხშირად რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკურად ოსი მოქალაქეების შერჩევით და თქვენ გახსოვთ ერთი შემთხვევა, როდესაც რუსეთის თავდაცვის სამინისტროს, მაშინ ჯერ კიდევ ივანოვი იყო თავდაცვის მინისტრი და ერთ-ერთი რიგითი მოკლეს, დაიღუპა და დიდი კრიტიკა იყო თავდაცვის მინისტრ ივანოვის წინააღმდეგ, რომ დაიღუპა ერთ-ერთი ჯარისკაცი. მინდა გითხრათ, რომ იქ ადგილი ჰქონდა არა კლასიკურ "დედოფშინის" ფაქტს, არამედ ე.წ. წარმოშობის, "დედოფშინურ" ფაქტს, როდესაც ოსების, ოსებმა გალახეს ეს ჯარისკაცი და მაშინ ვერ მოხერხდა ოსების დასჯა და, აქედან გამომდინარე, დიდი კრიტიკა იყო მაშინ რუსულ პრესაში აწეული ამ ჯარისკაცის, ახალგაზრდა ჯარისკაცის თუ კურსანტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით და ამ ფაქტსაც ადგილი ჰქონდა, სწორედ ოსური ე.წ. "ზემლიავშინის" ფაქტი იყო. 25 ივლისს ცხინვალში ჩავიდა იმჟამად რუსეთის სახმელეთო ჯარების სარდალი ალექსეი მასლოვი. მინდა გითხრათ, რომ რუსეთის სახმელეთო ჯარების სარდალი ძალიან მაღალი თანამდებობის პირია და იქამდე ასეთი მაღალი თანამდებობის პირი ცხინვალში ჩასული არ ყოფილა.

მასლოვმა შეხვედრები გამართა და მინდა გითხრათ, რომ ეს არ იყო შეთანხმებული საქართველოს ოფიციალურ პირებთან, საერთოდ არ ყოფილა, ასეთი მაღალი თანამდებობის პირის ვიზიტი ცხინვალში უკვე ჩვეთვის ძალიან საგანგაშო იყო. მასლოვმა შეხვედრები გამართა რუსული სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობასთან და ფაქტო თავდაცვის მინისტრის პირველ პირებთან. რუსული ჯარისკაცების შემოყვანა, რუსულ მედიაში არაერთხელ გაიპარა რუსების მიერ მის სამხედროების შემოყვანა საქართველოს ტერიტორიაზე 8 აგვისტომდე, კერძოდ, "კრასნაია ზევუდაში" გამოქვეყნდა, რომელიც ეს არის ოფიციალური გამოცემა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს. 3 სექტემბერს გამოქვეყნდა "კრასნაია ზევუდაში" ინტერვიუ რუსეთის 58-ე არმიის პოლკის კაპიტანთან დემის სილდისთან, რომელიც ყვება, რომ 7 აგვისტოს უკვე ისინი ცხინვალში იმყოფებოდნენ, მამ შემდეგ რაც ... .. ჟურნალისტმა, როცა ჩვენ ეს მივაწოდეთ და დაიწყო ამ ადამიანის ძებნა, იგი პრაქტიკულად დაუმალეს, დამალეს უარყოფაც კი არ გააკეთებინეს. მათ ამოიღეს ყველა საგაზეთო ნომერი, რომელიც გამოცემულიყო, თუმცა ამ გაზეთის ინტერნეტვერსია რამოდენიმე დასავლურ, ასე ვთქვათ, საიტზე, საიტზე კი არა სერვერზე დარჩა, ამიტომ ამის უარყოფა პრაქტიკულად შეუძლებელია. იგივე რამოდენიმე პრესაში იყო გამოქვეყნებული 15 აგვისტოს პერმის ახალ ამბებში გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით 58-ე წვევამდელები ტელეფონით დაუკავშირდა მშობლებს ქალაქ პერმში და უთხრა, ისინი უკვე ისინი 7 აგვისტოს უკვე იმყოფებოდნენ ქალაქ ცხინვალში. 2008 წლის 13 აგვისტოს გაზეთ "იზვესტია"-ში გამოქვეყნებულ სტატიის მიხედვით 58-ე არმიის სატანკო ნაწილის ლეიტენანტი ალექსანდრე პოპოვი თავის ნაწილებთან ერთად საბრძოლო მოქმედების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე იმყოფებოდა ცხინვალის მიმდინარე ტერიტორიაზე, მთებში.

მე ახლა მინდა მოგასმენინოთ ერთი სატელეფონო საუბარი, სადაც არის მტკიცებულება მინძვევის და ოსების მიერ მათი ზრახვების მცირე ნაწყვეტი, მე მინდა ახლა ერთად მოვისმინოთ ეს საუბარი. ( ჩანაწერის ხმა არ ისმის) ცუდად ისმოდა, აქ არის საუბარი, გავიმეოროთ კიდევ ერთხელ, 5 აგვისტოს შინაგან საქმეთა მინისტრი უკავშირდება თავის ... და ბრძანებას აძლევს განადგურდეს (ჩანაწერის ხმა არ ისმის) იქნებ შემდეგ იმაში აუწიოთ ცოტა ხმა და დინამიკები უფრო იმასქენათ. ანუ ახლა მე, უბრალოდ, პატარა მაგალითი მოვიტანე – მინძვევი გასცემს ბრძანებას ეს არის 5 აგვისტო, რომ ეს სოფელი აღკვეთილი იყოს მიწიდან.



ახლა ასეთი საუბრები არის ძალიან უამრავი, ამავე დროს, ჩვენ გვაქვს რამოდენიმე საუბარი, რომელიც ამტკიცებს რომ, ერთი წამით, ერთი საუბარი გვაქვს რომელიც ამტკიცებს, რომ რუსები ჯერ კიდევ 7 აგვისტოს ადრე ანუ 6-ის საღამოს 7-ის დილაზე მასობრივად დიდი რაოდენობით სამხედრო ტექნიკამ გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი და ჩამოდის ცხინვალში.

მე მინდა, საგულისხმო ფაქტია, აქ ჩვენ მოვისმენთ, რომ თვითონ ოსი მესაზღვრე, რომელიც ესაუბრება ცხინვალში თავის, ასე ვთქვათ, შტაბს, გაკვირვებულია იმითი, რომ რუსებმა მოსთხოვეს, რომ ე.წ. ოსეთ-რუსეთის საზღვრის კონტროლი თვითონ რუსებმა თვითონ აიღეს თავის კონტროლზე. ჩვენ ამ საუბარს, ნუ, ოსურად მოვისმენთ, თუმცა ქართული ტიტრება და შემდეგ რამოდენიმე კომენტარს ამაზე გავაკეთებ. ყურადღება გავამახვილოთ, რომ ეს საუბრები ხორციელდება, პირველი საუბარი ხორციელდება 7 აგვისტოს 0341 მე-2 არის 7 აგვისტო 0352. ეს არის ზუსტად 4 – 5 საათით ადრე იქამდე, სანამ ქართული შეიარაღებული ძალები დაიძვრებოდნენ გორის ან ცხინვალის მიმართულებით. მე მინდა, გადაადგილებოდნენ ბაზირების ადგილებამდე. გთხოვთ, გაუშვათ ეს სატელეფონო (სატელეფონო საუბარი. მიმდინარეობს ოსურ ენაზე) მე მინდა გითხრათ. მეორე საუბარიც არის? ( მიმდინარეობს სატელეფონო საუბარი ოსურ ენაზე) აუწყით ხმამალა. მინდა გითხრათ, რომ ამ სატელეფონო საუბრების "ნიუ-იორკ ტაიმსში" გამოქვეყნების დროს რუსებმა გააკეთეს კომენტარი, რომ მართლა გადაადგილებოდნენ და თუმცა თქვეს, რომ ეს იყო ჩვეულებრივი სამშვიდობო როტაცია, მინდა გითხრათ, რომ ჩვენ გავგაჩნია წერილი, რომელიც მივიღეთ შინაგან საქმეთა სამინისტრომ კულახმეტოვის, რომელიც იყო სამშვიდობო ჯარების სარდალი 1 თვით ადრე, სადაც იყო ნათქვამი ამ წერილში, რომ მათ როტაცია უკვე დაასრულეს და შემდეგი როტაცია გაიმართებოდა მაისში და მეორეც, მე მგონი...

**თავმჯდომარე.** წერილი გვაქვს, ხომ, ბატონო.

**ი.მერაბიშვილი.** რა თქმა უნდა, დიახ, ეგ ერთი და მეორე. ესეც რომ არ ყოფილიყო და ეს არის ჩვენი, როგორც გადავეცით ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, ესეც რომ არ ყოფილიყო, მე მგონი, გაუფრთხილებლად ესეთი როტაცია არ კეთდება და, მით უმეტეს, ესეთი როტაცია არ ხორციელდება დამის 3 საათზე. მე მგონი, არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი ასეთ რთულ რელიეფზე, როგორც არის როკის გვირაბი და მიმდებარე ტერიტორია არ გააკეთებს როტაციას დამის 3 საათზე. მე წედან შესწორება მინდა შევიტანო ფაქტში, მე წედან 5 საათი ვაჩვენე, მე მინდა გითხრათ, რომ ჩვენი სამხედრო ნაწილებმა ამ ... საუბრიდან 12 საათის შემდეგ, ასე ვთქვათ, დაიწყეს გადაადგილება დისლოკაციის ადგილებამდე .

ახლა აქ იყო საუბარი კონკრეტულ პიროვნებაზე ანდრეი კაზაჩენკო იყო აქ ნახსენები, უფრო სწორად, კაზაჩენკო გვარი, მე მინდა გითხრათ, რომ კაზაჩენკო ხელმძღვანელობს 300, 693-3 მოტომსროლელ პოლკს, რომელიც დისლოცირებული იყო ვლადიკავკაზში. ეს კონკრეტული პიროვნება და ეს ადამიანი დაადგინეს ყურნალისტებმა გარდა ოპერატიული ინფორმაციისა. აღნიშნული პოლკის მეორე მოტომსროლელი ბატალიონი როკის გვირაბისა და ჯავის გავლით პირველად ჩაერთო ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს დადასტურებული ფაქტია და ეს რუსულ პრესაში პირდაპირ იყო ნათქვამი. 693-ე პოლკი მომავალშიც ცხინვალის ტერიტორიაზე გეგმავს დარჩენას და მათი გეგმებით ის აპირებს დარჩეს ცხინვალის ტერიტორიაზე. მე გაჩვენეთ მხოლოდ ეს მტკიცებულება. მე მინდა გითხრათ, რომ ჩვენ გვაქვს სხვა მტკიცებულებები, თუმცა სხვა მტკიცებულებები არის დაფიქსირებული ჩვენს ტექნიკაზე, ჩვენს რადიოგადაჭერების ტექნიკაზე და მათი გამოყენება საერთაშორისო მტკიცებულებისთვის რთულია იმიტომ, რომ იქ დაფიქსირებული დრო არის ჩვენს ტექნიკაზე დაფიქსირებული, რომლის სანდოობა გაცილებით ნაკლებია ამ შემთხვევაში საერთაშორისო ექსპერტებისათვის.

რაც შეეხება ამ სატელეფონო საუბარს, რაც არ უნდა ... კომპანია "მაგთიუ" იმის გამო, რომ სხვათა შორის, ოსები ხშირად ხმარობენ "მაგთის" იმიტომ, რომ "მეგაკომი," რომელიც მათ აქვთ, ცუდი ხარისხით მუშაობდა და ხშირად ისინი იყენებდნენ ამ სისტემას და ამ სისტემაზე, ეს არის დაფიქსირებული უცხოური კომპანიის ანუ "მაგთი," რომელიც ამერიკული ინვესტიციით შექმნილი კომპანიის ბაზაზე, იმაში, სერვერზე მისი შეცვლა შეუძლებელია. თუ შეცვლა მოხდებოდა, მისი დადგენა, შეცვლილი თუ არის, დადგენა ძალიან ადვილია და ამავე დროს იქ დაფიქსირებულია კონკრეტული ანძები და ანძები სწორედ როკის გვირაბთან არსებული ანძა და ცხინვალთან არსებული ანძა ემთხვევა. ამიტომ ეს არის პრაქტიკულად, დამტკიცებული და ამის საწინააღმდეგოდ არც ერთ ექსპერტს რაიმე ეჭვი არ გამოუთქვია.

5 აგვისტოს მონაცემებისათვის საქართველოს საზღვართან მობილიზებული იყო შემდეგი შენაერთები: 52-ე არმიის 19-ე . . . დივიზია, 76-ე საჰაერო მოიერიშე დივიზიის 104 -ე საჰაერო მოიერიშე პოლკი და სხვა, ნუ, აქ მე აღარ ჩამოვთვლი, აქ გამოტანილია აქ ეს მონაცემები. სულ აღნიშნული თარიღისათვის, 5 აგვისტოსათვის იმიტომ, რომ ჩვენ მერე ვეღარც მოვასწარით, 5 აგვისტოს მერე ინფორმაციის გადამოწმება, იყო, საზღვრებთან იყო უშუალო სიახლოვეში 11 693 სამხედრო, 891 ერთეული ჯავშანტექნიკა და 138 საარტილერიო დანადგარი. 7 აგვისტოს, სეპარატისტებმა უარი განუცხადეს კონფლიქტის ზონაში ჩასულ მინისტრს, თემურ იაკობაშვილს,

მოლაპარაკების გამართვაზე, თქვენ გახსოვთ. დღის განმავლობაში სეპარატისტებმა გააგრძელეს ქართული სოფლების დაბომბვა. იაკობაშვილთან შეხვედრისას რუსი სამშვიდობოების სარდალმა, გენერალმა, მურად კულახმეტოვმა განაცხადა, რომ იგი ვეღარ უკავშირდება და ვეღარ აკონტროლებს სეპარატისტების ქმედებებს. აღნიშნული პერიოდისათვის, როკის გვირაბის გავლით, საქართველოში შემოსვლა დაწყებული ჰქონდათ რუსული რეგულარული არმიის კოლონებს. უწყვეტი კოლონით უკვე მოდიოდა საქართველოს ტერიტორიაზე. ამის შემდეგ რუსულ. . .

**გ.გაბაშვილი.** . . . დავაზუსტებ, მაშინ, როცა ჩვენ ჯერ ცეცხლის შეწყვეტა გვაქვს გამოცხადებული, უწყვეტი კოლონით შემოდიოდნენ ეს. . .

**ი. მერაბიშვილი.** არა, უწყვეტი კოლონა შემოდიოდა დაწყებული 7-ის 03,41-დან, უფრო სწორედ, 20 წუთით ადრე აქედან უწყვეტად, ამის შემდეგ კიდევ მინიმუმ 15 დღე იმიტომ, რომ კოლონა მოძრაობდა ძალიან ნელა იმიტომ, რომ მოგესხენებთ თქვენ, რომ რუსული ტექნიკა და ბევრი ჯავშანტექნიკა არის ძაან, ასე ვთქვათ, ფაქიზი, ძაან ადვილად გამოდის მწყობრიდან. ეს ტერიტორია არის ძალიან რთული და პირველმა, ასე ვთქვათ, აი ამ კოლონის პირველმა ნაწილმა ცხინვალის მისადგომებს ჩააღწია 8 რიცხვის დილის 6 საათზე და სწორედ ისინი იქნენ განადგურებული ქართული ბომბდამშენების მიერ, ამ კოლონის ნაწილი იყო იმიტომ, რომ ისინი საკმაოდ ნელა მოძრაობდნენ დამის ტექნიკის, ცუდი ტექნიკისა და რთული რელიეფის გამო. მას შემდეგ, რაც რუსულმა რეგულარულმა ჯარებმა როკის გვირაბის გავლით დაიწყეს საქართველოში შემოსვლა, ქვეყნის ხელისუფლებამ ოკუპანტების შესაჩერებლად და მოსახლეობის დაცვის მიზნით მიიღო გადაწყვეტილება კონფლიქტის ზონაში შეიარაღებული ძალების შეყვანის შესახებ. ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა დაიკავეს რამოდენიმე საათში სოფელი წინაგარა, ღომი, არცევი, დმენისი, სარაბუკი, ხეთაგუროვო, დიდმუხა, მუგუთი, თვითონ ზნაური, ქვემო ოქუნა. მნიშვნელოვანი სიმაღლეები ცხინვალის გარშემო და მოგვიანებით თავად ცხინვალიც. მინდა ამავე დროს, ხშირად ისმება შეკითხვები, რომ სტრატეგიული შეცდომა იყო ცხინვალზე შეტევა. უნდა მომხდარიყო შეტევის განხორციელება არა ქალაქზე, არამედ სხვა მიმართულებით და ცხინვალმა, გარკვეულწილად, შეაფერხა, ასე ვთქვათ, შეტევა და ა. შ. მე მინდა გითხრათ, რომ ყველაზე ნაკლები მინიმალური ძალები იყო მოზილიზებული ცხინვალის მიმართულებით მიუხედავად იმისა, რომ ცხინვალი იყო ერთ-ერთი ყველაზე გამაგრებული იმისათვის, რომ სწორედ ეს ამოცანა, სწრაფად ბლოკირება რუსული ჯარების საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარიყო, ყველაზე მინიმალური, ყველაზე პატარა დანაყოფი, ყველაზე მინიმალური ... დანაყოფი იქნა გამოყენებული ცხინვალში და გამოყენებული ისეთი დანაყოფები, რომელთა გამოყენებაც სხვა ტიპის ოპერაციებში, შეტევით ოპერაციებში, სერიოზულ ოპერაციებში ვერ მოხდებოდა, როგორც წესი. ამ მიმართულებით ცხინვალში გამოყენებულ იქნა სპეცდანიშნულების რაზმები, რომლებიც სამხედრო ოპერაციების დროს ფართომასშტაბიან შეტევით ღონისძიებაში ვერ იქნებოდა სხვა შემთხვევაში გამოყენებული, ამიტომ ცხინვალზე შეტევას, რომელსაც გარკვეული, როგორც სამხედრო პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, უფრო სწორად, დაკავებას. დიდი ძალები ამ მიმართულებით არ იქნა გამოყენებული. თვითონ კონფლიქტის დროს რუსმა სამხედროებმა გამოიყენეს საფრონტო ბომბდამშენები "სუ-24", "სუ-25" და "სუ-27" და მათ შორის ჩვენდა გასაოცრად რამოდენიმე ათეული ... ბომბდამშენი "ტუ-22". "ტუ-22" ხშირად ... დამის საათებში და სწორედ თუ გახსოვთ თქვენ დამის დაბომბვა, როდესაც დაიბომბა ფოთის, სენაკის, ბათუმის, თბილისის, კოდორის და სხვა ტერიტორიები, ეს უკვე დაბომბილი იქნა სტრატეგიული ბომბდამშენების "ტუ-22"-ის მიერ და მე პირადად არ მახსოვს სტრატეგიული ბომბდამშენების მიერ განხორციელებული დაბომბვები ბოლო 20 წლის განმავლობაში ასეთი, ასე ვთქვათ, თუ ,რა თქმა უნდა, ეს არ იყო რაღაც წერტილოვანი და სერიოზული ბომბების გამოყენება ანუ წონით დიდი ბომბები იყო, თუმცა ეს იყო ჩვეულებრივი 500- კილოიანი ბომბები, რომლის გამოყენება ასეთი სერიოზული ... ბომბდამშენის, როგორც წესი, არ ხდება ხოლმე. კონფლიქტის დროს რუსული სამხედრო თვითმფრინავები საქართველოს სივრცეს დღეში 50, 70-ჯერ არღვევდნენ. მთლიანობაში ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა გაანადგურა 15-მდე რუსული თვითმფრინავი და დააკავა ცოცხლად, ასე ვთქვათ, 2 რუსი სამხედრო პილოტი. იყვნენ ,რა თქმა უნდა, გარდაცვლილები, თქვენ ამის შესახებ გქონდათ ინფორმაცია. მე მინდა ამის შემდეგ გაჩვენოთ ერთი კადრი, რომელიც ახლა, ალბათ, პირველად ხდება ერთ-ერთი ჩვენება საჯარო. ეს არის ჯავის მიმდებარე ტერიტორია ჩვენს წინააღმდეგ განხორციელებული "ტოჩკაუების" სროლები და თქვენ ახლა ნახავთ რამოდენიმე ათეულ გასროლას

----- ... იარაღზეა ხომ საუბარი, ბატონო ვანო.

**ი. მერაბიშვილი.** ეს არის ტაქტიკურ-ოპერატიული რაკეტა "ტოჩკა-უ" და მინდა გითხრათ, რომ აი ამ ადგილიდან გორის რეგიონის მიმართულებით გამოსროლილ იქნა აი ამ დროს 60 ასეთი რაკეტა.\*\*\*\*\* მინდა გითხრათ, რომ მსოფლიო ისტორიაში მხოლოდ ტაქტიკური რაკეტები იქნა გასროლილი მხოლოდ ექვსი. ესეც სადამ ჰუსეინმა ესროლა, თუ გახსოვთ, ისრაელს. სხვა შემთხვევა მსოფლიო ისტორიაში ტაქტიკური რაკეტების სამხედრო მიზნით გამოყენება არ მომხდარა. მე ასეთი რამე არ მახსოვს და, ასე ვთქვათ, ეს არის ორიგინალური კადრები. ჩვენი ინფორმაციით, ამ წვრთნებს, ამ წვრთნებს, უფრო სწორად, ამ დაბომბვას, მოდი, ასე ვთქვათ, როგორც წვრთნებს, ესწრებოდა სირიისა და ირანის შემსყიდველები, რომლებისთვისაც

მოხდა დემონსტრაცია ამ რაკეტების გამოყენების. მინდა გითხრათ, რომ ამ რაკეტებიდან ჩვენ მიერ აღმოჩენილია მხოლოდ ოთხი, ასე ვთქვათ, აფეთქება ანუ მიზანში მოხვედრა. სხვა შემთხვევებში ის ან უმიზნოდ დაიკარგა ან, ასე ვთქვათ, არ იქნა მიზანს მოხვედრილი და აქედან ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ. მინდა გითხრათ, რომ აი ეს ნახატი, ეს არის აფხაზეთიდან ნასროლი. ეს არ არის ის, რომელიც ჩვენ ვნახეთ. მინდა გითხრათ, რომ მას შემდეგ, რაც ფოთში შემოვიდნენ რუსი სამხედროები, როგორც თვითონ ეს "ნივა" აქვთ მანქანა, ისე ეს რაკეტა იქნა წაღებული საქართველოს ტერიტორიიდან, როგორც ნივთმტკიცება. ამ სურათის გადაღებიდან 15 წუთში რუსები იყვნენ შემოსული ამ შემთხვევაში ფოთში. მინდა გითხრათ, რომ აი წელან რაც ვნახეთ, ტაქტიკური რაკეტების გამოყენება მსოფლიო ისტორიაში არ მომხდარა, ის მოხდა პირველად საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მხრიდან. ამავე დროს მე გაჩვენებთ კადრებს, როგორ უშენენ რუსი, ეს კადრებიც პირველად გადის, ასე ვთქვათ, ფართო გაშუქებაში, ეს არის როგორ უშენენ რუსები ცხინვალს "გრადს". უკაცრავად, ეს კადრი იყო, ნაჩვენები იყო უკვე? აი, ახლა გამოჩნდება ცხინვალის იმიტომ, რომ კამერა გადაიწევს. მინდა გითხრათ, რომ ორი ბატარეა ახორციელებდა ამ დროს, როცა ეს გადაღებულია, ეს თვითონ რუსების გადაღებულია, ისევე, როგორც წელნ რომ გაჩვენებთ კადრები, ასე ვთქვათ, "ტოჩკა-უ"-ების გასროლები, ასე ვთქვათ, მათივე მობილური ტელეფონით გადაღებული კადრებია, რომელიც ჩვენ სხვადასხვა საშუალებით ჩაგვივარდა ხელში.

სხვა რეგიონები, ანუ მხედველობაში მაქვს სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის გარდა, სხვა რეგიონების ოკუპაცია. მას, შემდეგ, რაც ქართულმა საჯარისო შენაერთებმა დაიხიეს, დედაქალაქისკენ დაიხიეს, რუსებმა ბორჯომის, საჩხერის, ახალგორის მიმართულებით სცადეს გადაადგილება. ზოგიერთ შემთხვევაში ეს წარუმატებლად განხორციელდა იმიტომ, რომ ბორჯომში ჩვენი საპატრულო პოლიციის და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების მიერ გადაკეტვის შემდეგ ვერ, მათ არ გააგრძელეს მიმართულება ახალციხის მიმართულებით, თუმცა, ზოგიერთ ადგილზე მათ, ასე ვთქვათ, გაარღვიეს ის, ასე ვთქვათ, ხელოვნური ბარიერი, რომელიც ჩვენი პოლიციელების მიერ იქნა დაყენებული და დააზიანეს ჩვენი ტექნიკა. მინდა გითხრათ, რომ ჩვენ მოვახერხეთ იმერეთისა და სამცხე-ჯავახეთის მთებში, ასე ვთქვათ, გადამალვა, გადარჩენა გარკვეული ტექნიკის, და აქედან გამომდინარე, დიდი ნაწილი ჩვენი სამხედრო ტექნიკის შენარჩუნებული იქნა ამ ოკუპაციის დროს. ეხლა ამავე დროს მინდა რამოდენიმე ფაქტი მოვიტანო, თუ რას აკეთებდნენ ჩვენი რუსი ოკუპანტები გარდა იმ მარცვისა, ყაჩაღობისა, დარბევისა და უამრავი მსხვერპლისა, რომელიც მოხდა საქართველოს მათ მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. მე მინდა ერთი სატელეფონო საუბარი მოგასმენინოთ, ეს სატელეფონო საუბარი ეხება გენერალ ბორისოვის მიერ, რა გვარია ეს, დუმბადის განთავისუფლების ფაქტთან დაკავშირებით. ეს არის ძალიან საინტერესო სატელეფონო საუბარი და გთხოვთ ამით... გთხოვთ, ჩართოთ ეს (რუსული ჩანაწერი, არ ისმის) აქ უბრალოდ, მინდა ერთი მაგალითი ვთქვა, თქვენ შეკითხვა, ასე ვთქვათ, ვინ უწყობდა ხელს და ა.შ. მე მინდა გითხრათ, რომ ეს არის უბრალოდ, ერთი მაგალითი თუ ვინ უწყობდა ხელს რუს ოკუპანტებს. სამწუხაროდ, საქართველოში იყო ძაან ბევრი ადამიანი ჯერ კიდევ, ვისზეც გავლენა აქვს რუს ოკუპანტებს, რუსულ სპეცსამსახურებს, მაგრამ მე მინდა ვთქვა, რომ მაინც ამ დრომ აჩვენა, რომ საქართველო არის შემდგარი სახელმწიფო, იმიტომ რომ თუნდაც იგივე ბორჯომის ხეობაში, როდესაც ხეობის თითოეულმა მოქალაქემ იცოდა თუ რომელ ხეობაში სად იყო გადამალული ტანკი, რუსებმა ვერ მოახერხეს, მოახერხეს მხოლოდ ის, რომ დაზვერვას ახორციელებდნენ ვერტმფრენებით, გადაადგილება მათ ვერ მოახერხეს, ვერც ერთი ასეთი ტექნიკის აღმოჩენა. იგივე მოხდა იმერეთში და სამეგრელოში. მინდა გითხრათ, რომ ისინი ერთი კვირის განმავლობაში დათარეშობდნენ ფოთი, სენაკი, ხშირად აბაშისწყალთან ჩამოდიოდნენ, მათ აბაშისწყლის გადმოკვეთა ვერ მოახერხეს, იმიტომ რომ მათ იცოდნენ რომ ჩვენ, ასე ვთქვათ, აბაშისწყალთან უკვე, ასე ვთქვათ, წითელი ხაზი იყო, ასე ვთქვათ, ... აღარ გადმოვიდნენ ნუ სხვადასხვა მიზეზის გამო. ახლა მარტო ჩვენ მუქარას, არ მგონია მარტო ჩვენი მუქარა იყო საკმარისი მათ შესაჩერებლად, მინდა გითხრათ, რომ თითქმის 30-მდე სამხედრო ტექნიკა ჩვენს მიერ იქნა გამოყვანილი ბუფერული ზონიდან ერთი თვის მერე, ასე ვთქვათ, ბუფერული ზონის ... განთავისუფლების მხრიდან და უამრავი სხვა, ასე ვთქვათ, ნივთი და ეს მეტყველებს იმას, რომ საქართველოში რუსეთის სპეცსამსახურის გავლენა ძაან მინიმალურია და ჩვენ შევინარჩუნეთ სრული წესრიგი მთელ საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის, აჭარაში და სამცხე-ჯავახეთში, არც ერთ სერიოზულ ექსცესს ადგილი არ ჰქონია, მიუხედავად იმისა, რომ იგივე ასლან აბაშიძის თუ სხვა მსგავსი პირების გავლენის სფეროები ჯერ კიდევ საქართველოში დარჩენილი არის. მაგრამ საერთო ფონში, საერთო განწყობაში მათ ვერ იქონიეს რაიმე გადამწყვეტი მნიშვნელობა და, პრაქტიკულად, არავითარი პანიკა, არავითარი ისტერიკა, არავითარი ანტისახელმწიფო ქმედებები არ დაწყებულა საქართველოს არც ერთ ტერიტორიაზე და მე ძაან მიხარია.

მე მინდა პასუხი გავცე მოსალოდნელ შეკითხვას, რომელიც ეხება კოდორის ხეობიდან ე.წ. გამოსვლის სქემას. მე მინდა აღვწერო ეს მოვლენები იმიტომ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, ალბათ, ყველაზე კომპეტენტური მე ვარ. მე მინდა გითხრათ, რომ წლების განმავლობაში კოდორი ჩვენს მიერ იყო ძალიან კარგად გამაგრებული და მიუხედავად იმისა, რომ 9-დან 12-მდე, ყოველდღიურად, მათ შორის, სტრატეგიული ბომბდამშენით, ხორციელდებოდა კოდორის დაბომბვა, პრაქტიკულად, ჩვენ არც ერთი მშვიდობიანი მოქალაქე და არც ერთი სამხედრო კოდორში არ გვყოლია. იმიტომ, რომ ყველა მათგანი, მათი უმრავლესობა თავს აფარებდა ჩვენს მიერ წინასწარ ... (ხმა ადგილიდან). როგორ? სამხედრო, იგულისხმება პოლიციელები და ჩვენი სპეცდანიშნულების თანამშრომლები და არც მოქალაქეები, იმიტომ, რომ იქ იყო, ასე ვთქვათ, ბლინდაჟები გაკეთებული, ძალიან

კარგად გაკეთებული და როგორც მშვიდობიანი მოქალაქეები, ისე ჩვენი თანამშრომლები .თავს აფარებდნენ ამ ბლინდაჟებს და არც ერთი მსხვერპლი არ ყოფილა. მინდა გითხრათ, რომ დაახლოებით 600-ზე მეტი ჭურვი ჩამოვარდა კოდორის ხეობაში.

პრაქტიკულად, მე მინდა გითხრათ, რომ კოდორის ხეობის ალება ქვემოდან თითქმის შეუძლებელი იყო მოკლე ვადაში, ასე ვთქვათ, თუ არ მოხდებოდა ვერტმფრენებით დესანტის გადასხმა, მაგრამ მას შემდეგ რაც 10-ში დილით, 9-ში საღამოს, 10-ში დილით რუსულმა შენაერთებმა, მინიმუმ 900-მა ბრონიტექნიკამ გადმოლახა ენგური და ნაწილი დაიძრა სენაკისკენ და ნაწილი, 400 ერთეული, დაიძრა სვანეთის მიმართულებით. ჩვენ იქ, სამწუხაროდ, გვყავდა ძაან მცირე რაოდენობით დარჩენილი, ასე ვთქვათ, გასამხედროებული, ასე ვთქვათ, შენაერთები. ჩვენ მოვახდინეთ ენგურჰესის ტერიტორიაზე მინიმალური დანაღმვა გზის, რათა შეგვეჩერებინა მათი გადაადგილება ჩრდილოეთისაკენ, მაგრამ იქ რამოდენიმე გზა იყო, რომლის, ყველას დაბლოკვა .პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნებოდა და მთელი ხეობა და ,მათ შორის, ჩვენი სამხედროები ექცეოდნენ ალყაში იმიტომ, რომ რუკაზე ჩანს, მომარაგება ამ დროს ფრონტის, კოდორის ფრონტის რჩებოდა ჩაკეტილი და ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ დიდი ხნით ჩვენს მებრძოლებს გაეძლოთ შემოტევისთვის, ასე ვთქვათ, უკვე სვანეთის მიმართულებით და ,მით უმეტეს, რომ ჩვენ გამაგრებითი სამუშაოები სვანეთის მხრიდან, ასე ვთქვათ, წინასწარ დაგეგმილი სერიოზული გამაგრებები არ გვქონდა და ალყაში მოქცეული პოლიციელები დიდ საფრთხეს წარმოადგენდა.

ჩვენ ორგანიზებულად დავიწყეთ კოდორის ყველა მცხოვრების ევაკუაცია და მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიყვანეთ ჩვენი დანაყოფები და გადავიყვანეთ ისინი მესტიიდან, შემდეგ ჩამოვიყვანეთ ქვემო სვანეთის ჩავლით, ნაწილი დავტოვეთ მესტიაში, ნაწილი ჩამოვიყვანეთ და ამ დროს აქტუალური, გაცილებით აქტუალური იყო სწორედ ცხენისწყლის მიდამოების გამაგრება და სამხედრო ნაწილების ქუთაისის ბრიგადის დარჩენილ მებრძოლებთან ერთად სწორედ კოდორის პოლიციური დაჯგუფება ამაგრებდა ცხენისწყალს. იმიტომ, რომ მომარაგების, დაჭრილების, ასე ვთქვათ, და კვების პრობლემებით მომარაგების გარეშე ძნელი იქნებოდა იქ, ასე ვთქვათ, იქ შენარჩუნება სიტუაციის. სამწუხაროდ, იქ შესაძლებელი იქნებოდა დიდი ხნის განმავლობაში ზურგის გარეშე ნორმალური ფუნქციონირება თავდაცვის ელემენტების. მით უმეტეს, რომ ჩვენ არ ვიცოდით იმ ეტაპისათვის თუ სადამდე მოდიოდნენ რუსეთი, რუსები. იმიტომ, რომ პრაქტიკულად, ეს ხალხი იყო განწირული ტყვედ ჩავარდნისა და ტყვედ ჩავარდნის ან, ეხლა ,ალბათ ,300-400 პოლიციელს, რომელიც იქ იყო, ნაკლებად მოსალოდნელი იყო, რომ 400-ვეს გმირობა გამოეჩინა და ცოცხლად არ ჩავარდნოდა იმით. მაგრამ მორალურად მასობრივი ტყვედ აყვანილი ქართველი თუნდაც პოლიციელი, რომელიც სამხედროდ არ არის მომზადებული მორალურად ძალიან ცუდად იმოქმედებდა ქართულ ..... ანუ კოდორის, ასე ვთქვათ, ალება მოხერხდა მხოლოდ იმიტომ, რომ ორივე მხრიდან მოხდა მისი, ხდებოდა მისი ბლოკირება და რაც ,პრაქტიკულად ,შემდეგ განხორციელდა.

**თავმჯდომარე.** ბატონო ვანო, მე დავაზუსტებ ამ კოდორთან დაკავშირებით. ესე იგი, შინაგან საქმეთა სამინისტრომ აქ, რომელმაც მოახდინა ევაკუაცია, გადაწყვეტილება ევაკუაციასთან დაკავშირებით მიიღო, მიიღეთ თქვენ თუ მიიღო უშიშროების საბჭომ თუ მთავარსარდალმა? როგორ ხდებოდა გადაწყვეტილების მიღება ამ ფაქტთან დაკავშირებით.

**ი.მერაბიშვილი.** ეს გადაწყვეტილება, პრაქტიკულად, იქნა მიღებული ჩემს მიერ იმიტომ, რომ იქ გარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებისა სხვა დანაყოფი არ არსებობდა. და ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული ოპერატიულად. ამ დროს მძიმე სიტუაცია იყო თვითონ თბილისის მისადგომებთან, მძიმე სიტუაცია იყო გორში, ეს ის პერიოდია, როდესაც გორშია შემოსული ჯარი, ეს ისეთი სიტუაციაა, როდესაც შემოსულია ზუგდიდში, სენაკში. რუსების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობს მილიონზე მეტი საქართველოს მოქალაქე და ამ დროისათვის მოწყვეტილია კოდორი პრაქტიკულად, ასე ვთქვათ, ზურგს, მას ,პრაქტიკულად, მომარაგება არ გააჩნია და მომარაგება უმთავრესად აქ ამ შემთხვევაში უფრო საავადმყოფო ანუ დაჭრილების და ..... თორემ სამხედრო თვალსაზრისით ეხლა იქ 300-400 პოლიციელს ძალიან დიდი შეიარაღება არ სჭირდებოდა. ამიტომ და ამავე დროს ჩვენ არ ვიცოდით შემდგომი ....

**თავმჯდომარე.** ფაქტიურად ალყის საშიშროება იყო ქვედა.....

**ი.მერაბიშვილი.** ალყის საშიშროება ,ალბათ, პრაქტიკულად, იყო შემდგარი. ჩვენ შევავიწყეთ ეს გადაადგილება რამოდენიმე მცირე აფეთქებით, დაავიანეს მათ, ასე ვთქვათ, ასვლა და ჩვენ მოვახერხეთ გამოყვანა. მე მინდა გითხრათ, რომ გეოგრაფიულად მინდა ავიხსნათ, თუ მისი გადმოსასვლელი ერთი გზა იქნებოდა ჩაკეტილი, პრაქტიკულად, ეს 300 პოლიციელი, სხვა გადმოსასვლელი გზები, პრაქტიკულად, ვთქვათ რამოდენიმე ათეული შესძლებდა ფეხით გადმოსვლას. ასეთი დახურული ტერიტორიის, როდესაც ორივე მხრიდან, ყველა მხრიდან ალყაში ხარ და ... განხორციელდა მასობრივი დაბომბვები, არა მგონია ერთ კვირაზე მეტი გაეძლო, იმიტომ, რომ ეხლა ზურგის გარეშე ,ასე ვთქვათ, ამ ტერიტორიის დაცვა ,პრაქტიკულად, შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ საჭაერო მომარაგება ამ შემთხვევაში ,პრაქტიკულად გამორიცხული იყო, იმიტომ, რომ ჰაერში ბატონობდა

რუსული ავიაგამანადგურებლები.

**თავმჯდომარე.** დამატება უნდა ბატონ ...

----- დაზუსტებისთვის მნიშვნელოვანია. ბატონმა გოგავამ თქვა, რომ კოდორის მიმართულებით საერთოდ არ ყოფილა არავინ თავდაცვის სამინისტროს ქვემდებარე ნაწილები ანუ გენშტაბის იყო, მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს. თქვენ როცა ეხლა სამხედროებს ახსენებთ, გულისხმობთ პოლიციელებს, სპეცრაზმელებს

**ი.მერაბიშვილი.** მე მგონი, რომ მე განმარტება გავაკეთე, როცა ვთქვი სამხედროები, აქ ჩვენ როგორც, საპოლიციო იყო როგორც სპეც- დანიშნულების რაზმები ასევე, ასე ვთქვათ, ჩვეულებრივი პოლიცია. მე მინდა გითხრათ, რომ ჩვენ იქ გვყავდა როტირებული ჩვენი სპეცდანიშნულების რაზმების გარკვეული რაოდენობა, დაახლოებით, 120 კაცი იყო და დაახლოებით, 250 სხვადასხვა პოლიციური დანაყოფის წარმომადგენლები. ეს იყო გრძელვადიანი როტაციული პრინციპით, იქ ორი კვირით ადიოდა, ვთქვათ, კრიმინალური პოლიციის სპეციალური ... დეპარტამენტის, კონსტიტუციურის, ნავთობსადენის დაცვა და სხვადასხვა დანაყოფები თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მათი უმრავლესობა იყო არაპროფესიონალი სამხედრო ამ სიტყვის მნიშვნელობით, ბევრი მათგანი მომზადებული იყო სამხედრო თვალსაზრისით და ჰქონდათ საშუალება იმ მსუბუქი შეიარაღებით, რაც მათ გააჩნდათ, წინააღმდეგობა გაეწიათ და აფხაზეთის, ასე ვთქვათ, ქვემო კოდორის მხრიდან ვერ აეღოთ. მოდით, ჩვენ ვთქვათ, რომ მათ ვერც ერთი მეტრით ვერ გადმოიწიეს წინ და პრაქტიკულად, ვერავითარი ზიანი ვერ მოგვაყენეს, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ინტენსიური დაბომბვა მიმდინარეობდა ამ ტერიტორიის.

**თავმჯდომარე.** ბატონო ვანო. რა მინდა გკითხოთ. გაერო საქმის კურსში იყო თუ არა ჩაყენებული შსს-ს მხრიდან, საუბარია ეს იუნომიგის ოფისზე, რომელიც განლაგებული არის ზუგდიდში, რომელიც ახორციელებდა მონიტორინგს კოდორის ხეობის იმასთან დაკავშირებით, რომ, ფაქტიურად, ხდებოდა კოდორის ხეობის ალყაში მოქცევა და ამითი ირღვეოდა ყველა სამშვიდობო შეთანხმებები, რომელიც იყო მიღწეული ამ ... საუბარი არის კოდორის ხეობასთან დაკავშირებით, იმიტომ, რომ როგორც ცნობილი არის იმ შეთანხმებით, რომელიც არის მხოლოდ და მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუძლია იქ ჰყავდეს შეიარაღებული ჯგუფები და როცა ხდებოდა ამის დარღვევა, რეალურად, ჩაყენებულ იყო თუ არა საქმის კურსში გაერო და რა რეაქცია იყო მათი მხრიდან თუ ეს, ამ ფაქტს ადგილი ჰქონდა?

**ვ.მერაბიშვილი.** მე მინდა გითხრათ, რომ რაც შეეხება უშუალოდ კოდორს. მინდა გითხრათ, რომ მათ გაეროს ჰქონდა თავისი ოფისი და თუ არ ვცდები 7-ში თუ 8-ში აფხაზეთის მთავრობის მოთხოვნით იქნა გაყვანილი ეს, ასე ვთქვათ, უშუალოდ შეტევის განხორციელებამდე ერთი დღით ადრე, აფხაზეთის მოთხოვნით. მე ახლა ზუსტად გამიჭირდება თქმა მათ ამისი იურიდიული უფლება ჰქონდათ თუ არ ჰქონდათ, მაგრამ ფაქტია

**თავმჯდომარე.** აქ არის საუბარი სეპარატისტულ მთავრობაზე ხომ?

**ვ.მერაბიშვილი.** სეპარატისტულ მთავრობაზე. კი, რა თქმა უნდა. მათ, ასე ვთქვათ, მე როგორც ვიცი, იქ ხელშეკრულებაში წერია უსაფრთხოების გარანტიები, აფხაზეთის დე ფაქტო, რაღაც ...

**თავმჯდომარე.** სეპარატისტებმა არ მისცეს....

**ი.მერაბიშვილი.** გარანტიები და აქედან გამომდინარე, გაეროს თანამშრომელმა, ჩვენდა გასაკვირად, ჩვენ მიგვაჩნდა, რომ მიუხედავად ამისა, გაეროს თანამშრომლებს თავისი რისკის, სიცოცხლის ფასად მაინც უნდა შეეცადათ დარჩენილიყვნენ და იქ, ასე ვთქვათ, დაეფიქსირებინათ ის დარღვევები. მაგრამ მე მინდა გითხრათ, რომ ანალოგიური დარღვევები ხდებოდა, როცა გალის რაიონში უკვე 8-ში არათუ ყოველგვარ ლიმიტებს, ზემილიტებს გადააჭარბა.

მინდა გითხრათ, რომ მხოლოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე მხოლოდ ოფიციალური მონაცემებით, რუსეთის ოფიციალური მონაცემებით 9000 სამხედრო მოსამსახურე იმყოფებოდა ..... 9000 მინდა ხაზი გავუსვა, მათი ოფიციალური მონაცემებით, ჩვენი მონაცემებით მათი რაოდენობა მინიმუმ ერთნახევარჯერ მეტი იყო და 900-ზე მეტი ბრონირებული მანქანა სხვადასხვა ტიპის და საჭირო დანადგარი იყო ამ დროს ოჩამჩირე-გალის ტერიტორიაზე. ეხლა და ჩემდა გასაოცრად მე არ ვიცი, ეს დაფიქსირებული თუ არა აქვს ..... ამის მერე საერთოდ ნებისმიერი ლეგალური სამართლებრივი რეაგირება ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩემთვის სრულიად გაუგებარია.

და მე მოვისმინე აქ წინა შეხვედრებზე იყო დასმული შეკითხვები, რომ რუსები რატომ გადმოიშვეთ ჩვენ აქეთ

ტერიტორიაზე. მე მინდა გითხრათ, რომ იქ ასე საკითხი გამოშვება-არგამოშვებაზე არ იდგა, ამის შესახებ მე მერე ცოტაც მოვყვები. იმ მომენტში სიტუაცია იდგა, რომ არყოფნა, ჩვენი მცდელობა, მიმდინარეობა, მაქსიმალურად მიმართულიყო იმისათვის, რომ მაქსიმალურად არ მომხდარიყო მასობრივი ევაკუაცია მოქალაქეების, პანიკური ევაკუაცია ხაზს ვუსვამ, რათა ამას არ გამოეწვია გარკვეული მსხვერპლი. და მე ეს არის ის დრო, როდესაც ერთდროულად რუსების გადაადგილება ხდება ..... ვთქვათ, ბორჯომის ხეობის მიმართულებით, საჩხერის მიმართულებით, იგოეთის მიმართულებით, ვთქვათ, იქ სენაკის მიმართულებით, აბაშის მიმართულებით, აბაშიდან გადახვევა ხდება უფრო ჩრდილოეთით, წალენჯიხა, ჩხოროწყუ.

ანუ, ეს იყო საათები და დღეები, როდესაც ყოველ საათში ჩვენ ველოდებოდით ახალ ინფორმაციას, და იმ ეტაპზე მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ ადგილობრივი გადაწყვეტილებები ხშირად ადგილობრივი პოლიციის ხელმძღვანელები ღებულობდნენ, მინდა გითხრათ, რომ ამ ეტაპისათვის, პრაქტიკულად, მთელი დატვირთვა გადმოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროზე, იმიტომ, რომ აქ უფრო მოქალაქეებთან და მოქალაქეების მომარაგებასთან, მათ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ხელოვნურად, როდესაც გარკვეული კოლონა გადაადგილდებოდა გარკვეულ დასახლებულ პუნქტში, სადაც გარკვეული პანიკა იყო, ასე ვთქვათ, სპეციალურად საპატრულო მანქანა წინ უდგებოდა, რათა შეექმნა იმიტაცია იმის, რომ, ასე ვთქვათ, მასობრივ პანიკას არ ჰქონოდა ადგილი. ასეთი ბევრჯერ განხორციელდა.

მე კიდევ გეტყვი, რომ აქ ჩამოყვები რა დივერსიული აქტები განხორციელდა საქართველოს, კონკრეტული ფაქტები, ოკუპირებულ ტერიტორიაზე, თქვენ იცით, რომ ხიდი იქნა აფეთქებული მეტეხი-გრაკალის გადასარბენზე და შეწყდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის დამაკავშირებელი ხაზი და პრაქტიკულად, აღმოჩნდა მოწყვეტილი საქართველოს დედაქალაქი მომარაგებას ფოთიდან. ამავე დროს, 24 აგვისტოს, მოხდა აფეთქება და, ასე ვთქვათ, ნავთობით დატვირთული ტვირთის, რომელიც გადაადგილდებოდა, თბილისისკენ მოემართებოდა იქ, ასე ვთქვათ, რამოდენიმე ვაგონი აფეთქდა. იყო ეკოციდის რამოდენიმე ფაქტი. რუსები, არ გვადიანდნენ საშუალებას, რომ ვერტმფრენების საშუალებით ჩაგვექრო ცეცხლი ბორჯომის ხეობაში და ატენის ხეობაში. თუმცა მას შემდეგ, რაც ისინი იქიდან გავიდნენ, დაახლოებით 2 დღეში მოხდა ამ ცეცხლის ჩაქრობა, თუმცა ძალიან სერიოზული დანაკარგი განვიცადეთ ჩვენ.

რაც შეეხება, პოლიცია კონფლიქტის დროს, მე წელან ვახსენე რამოდენიმე ფაქტი, მე მინდა გითხრათ, რომ კონფლიქტის დროს, ჩვენ სპეციალურად გავამკაცრედ ქალაქებში, გავამკაცრედ, მე მხედველობაში მაქვს, უფრო სწორედ უფრო ვიზუალური გავხადეთ პატრულის აქტიურობა, ჩვენ ვიდეო და ფიზიკური ჯარიმების რაოდენობა ხელოვნურად მოვითხოვეთ, რომ გაზრდილიყო, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო, რათა არ მოხდა წახალისება დაუგეგმავი ღონისძიების, ესე ვთქვათ, იგივე კრიმინალური სიტუაციის გაუარესების და თავიდან აცილებისა და ამან ძალიან კარგი შედეგი გამოიღო. და უნდა ვთქვათ, რომ არავითარი აფეთქება, კრიმინალური აფეთქება საქართველოში არ მომხდარა ამ დღეების განმავლობაში, რაც ქართული საზოგადოების, ალბათ, მაღალ კულტურაზე მეტყველებს. და მე ვარ ძალიან მოხარული, რომ ამან ძალიან კარგი შედეგი გამოიღო. ალბათ, თქვენც შეამჩნიეთ, რომ იმ დღეებში გაორმაგებული იყო პატრულირება და, ასე ვთქვათ, ჩვენი აქტიური ქმედება.

თქვენთვის, ალბათ, საინტერესოა შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაკარგები სამხედრო ოპერაციაში, ასე ვთქვათ, საბრძოლო ამ ოპერაციებში პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობა მიიღო 5000-მდე, ჩვენმა თანამშრომელმა და 70-მდე, დაჯავშნულ ავტომობილმა "კობრამ", რომლებიც გამოყენებული იქნა სწორედ ცხინვალში, ჩვენ გვყავს 14 დაღუპული და უგზოუკვლოდ დაკარგული, 227 დაჭრილი თანამშრომელი, დაგვარგეთ 2 კობრა, 2 "პიკაპის", და 4 "უაზის" ტიპის ავტომობილი.

მე, ამავე დროს, მოგახსენებთ ციფრებს თუ ჩვენი ინფორმაციით, რამდენი რუსი, უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდა და მონაწილეობდა საქართველოს წინააღმდეგ აგრესიაში. აქ არ შედის, ამ ციფრში არ შედის მომარაგების ის ბაზები, რომლებიც მათ ამარაგებდა რუსეთის ტერიტორიაზე, იგივე აეროპორტები და ა. შ. ის სარეზერვო ბაზები, რომლებიც რუსეთის ტერიტორიაზე იყო განლაგებული. 40 ათაზე მეტმა რუსმა სამხედრო მოსამსახურემ უშუალოდ მიიღო მონაწილეობა ამ ოპერაციაში, რა თქმა უნდა, ყველა მათგანი არ ყოფილა ჩართული საბრძოლო მოქმედებებში. 3000 ერთეული ჯავშანტექნიკა, სხვადასხვა ტიპის, მიიღო მონაწილეობა და 2500 სამხედრო ავტომობილმა მიიღო მონაწილეობა.

ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ მე მინდა გითხრათ, რომ ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ არ, არ გაჩერებულა საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია. მე წელან ციფრი მოვიყვანე, რომ ჩვენ დაგვარგეთ, 14 დაღუპული გვყავს, პირდაპირ ვთქვათ, ომის დროს, ასე ვთქვათ, ცხინვალში ჩვენი დანაყოფები, ცხინვალში და დმენისში ჩვენი დანაყოფები იყვნენ. ხოლო ომის შემდეგ ჩვენ, პოლიციამ დაკარგა 8 თანამშრომელი გარდაცვლილის სახით და დაიჭრა 7 პოლიციელი. ამავე დროს გატაცებული იქნა 14 ადამიანი მათ მიერ

კონტროლირებად ტერიტორიაზე, დაინგრა და დაიწვა 1700-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი, მათგან 700 ადარ ექვემდებარება აღდგენას. აქ მხედველობაში მაქვს მხოლოდ ის ტერიტორიები, რომელსაც დღეს ჩვენ ვაკონტროლებთ. გატაცებულ იქნა 200-ზე მეტი ავტომობილი.

მე ამავე დროს, მინდა ვთქვა, როგორც, შეიძლება შევითხვეთ ამასთან დაკავშირებით იყო, დევნილებისათვის სახლების მშენებლობის საკითხზე, მოკლედ მოგახსენებთ, რომ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთათვის მიმდინარეობს 6220 საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, შეკეთება ან შეძენა. 3184 სახლი თავიდან იქნა აშენებული უკვე და პრაქტიკულად, 3 კვირაში ყველა ეს სახლი იქნება შესახლებული. 1736 სახლს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი. 500 საცხოვრებელი სახლი, ბინა, კახეთის, ქვემო ქართლის და შიდა ქართლის რაიონებში იქნა შეძენილი სახელმწიფო სახსრებით. ყველა დასახლება უზრუნველყოფილი იქნება შიდა გზებით, წყლით და ელექტროენერგიით, ზოგიერთი დასახლება უზრუნველყოფილი იქნება გაზით, უფრო სწორად, 60%. აღნიშნულ მშენებლობებში ჩართული იყო 30-მდე კომპანია და 5000-მდე მშენებელი იღებდა მონაწილეობას მშენებლობაში. მშენებლობა მიმდინარეობს მაქსიმალურად სწრაფი ტემპებით. პრაქტიკულად, ორ თვეში განხორციელდა. ასეთი პრეცედენტი, მე მგონი, საქართველოს და ჩვენი რეგიონის ისტორიაში არ არსებობს. და სახლების უმრავლესობა ჩაბარდება, ასე ვთქვათ, ნოემბრის ბოლო რიცხვებისათვის და 15 დეკემბრისათვის, პრაქტიკულად, ყველა სახლი ჩაბარდება და მათ დიდ ნაწილში იქნება შესახლება დამთავრებული. ამჟამად მშენებლობა მიმდინარეობს შემდეგ რაიონებში: გორის რაიონში - 1036, ქარელში - 1058, კასპის რაიონში - 90, მცხეთის რაიონში - 2700 სახლი. ეს არის, მოკლედ, რაც მე მინდოდა მეთქვა. მე მზადა ვარ, თქვენ მიერ ნებისმიერ დასმულ შევითხვეთ ვუპასუხო.

**თამაჯდომარე.** ბატონო ვანო, თქვენ წარმოადგინეთ ძალიან ვრცელი ინფორმაცია, ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია. გარკვეული საკითხების დაზუსტება აინტერესებს კომისიას. ეს ეხება იმ მოვლენებს, რაც შეეხება 7-დან 14 რიცხვის ჩათვლით. თუ შეიძლება, თქვენ რომ მოგვახსენოთ კონკრეტულად, როდესაც დაიწყო უკვე ინტერვენცია რუსეთის ფედერაციის მხრიდან, რა იყო შემუშავებული. აქ საუბარი არის იმ შტაბზე, ღებულობდით თქვენ თუ არა მონაწილეობას რომელიმე შტაბის მუშოებაში და რომელ შტაბზეა საუბარი.

როგორც ცნობილია, იყო სამხედრო შტაბი, რომელსაც ხელმძღვანელობდა გენერალური შტაბის უფროსი, იმყოფებოდით თუ არა თქვენ იქ და უშუალოდ ღებულობდით თუ არა გადაწყვეტილებებს საბრძოლო მოქმედებებთან დაკავშირებით, თუ იმყოფებოდით სხვა შტაბში, თუ შეიძლება ქრონოლოგიურად გვითხრათ თქვენი ადგილმდებარეობა 7-დან 14 რიცხვის ჩათვლით სანამ ეს კონფლიქტი შეჩერდა, ვთქვათ, სად იმყოფებოდით, თბილისში, გორში, ვთქვათ, ცხინვალში თუ რა ღონისძიებების გატარება გინდებოდათ თქვენ და აგრეთვე, თუ შეიძლება ითქვას, გადაწყვეტილება თუ თქვენთვის არის ცნობილი ის სამი ბრძანება, რომელიც გასცა საქართველოს პრეზიდენტმა გენერალური შტაბის ხელმძღვანელობაზე. თქვენ თუ იმყოფებოდით, თქვენ თუ ფლობდით ამ ინფორმაციას, ამ ... დაკავშირებით ან თუ გაიგეთ, ვისგან გაიგეთ უშუალოდ მთავარსარდლისაგან თუ გენერალური შტაბის უფროსისაგან და დაგეგმილი ღონისძიებები, იგივე იმ სამი ბრძანებით ცნობილი სამი ბრძანების პირველი ბრძანება რაც იყო ეს რუსული ტანკების შეჩერება, მეორე საცეცხლე წერტილების ჩაქრობა და მესამე მშვიდობიანი მოსახლეობის მინიმალურად ... მშვიდობიანი მოსახლეობის გამოყვანა. აი, ამ დაგეგმარებაში ხაზი მინდა გაუსვა, დადგმარებაში აი, ამ სამი ბრძანების შესრულებასთან დაკავშირებით, ღებულობდით თქვენ თუ არა მონაწილეობას და ცხინვალში თვითონ თქვენ როგორც აღნიშნეთ, იყო შინაგან საქმეთა სამინისტრო შესული, რა იყო ამის მიზეზი? გენერალური შტაბის უფროსმა აღნიშნა, რომ ეს იყო უმოკლესი გზა მშვიდობიანი მოსახლეობის გამოყვანის, ქართული სოფლების, რომელიც ფაქტიურად ალყის ქვეშ და დიდი ტერიტორიის ქვეშ ექცეოდა რუსეთის ფედერაციის შეარაღებული ძალების მხრიდან. აი, ეს იყო ოპერაციის მიზეზი ცხინვალის შესვლის თუ ეს იყო სხვა რაღაც მიზეზებით განპირობებული, საუბარი არის სამხედრო თვალსაზრისით, ვთქვათ, კონტროლზე. ადგება ცხინვალის, იმიტომ რომ, ცალსახად, ჩანს რომ იგივე თქვენი მოხსენებიდან გამომდინარე, რომ ფაქტიურად ქალაქის არის და რაც სახელმწიფო მინისტრმა რეიტეგრაციის საკითხებში გვითხრა, ფაქტიურად, ქალაქი არის ცარიელი და იქ არ იმყოფებოდა მოსახლეობა. აქედან გამომდინარე რა მიზეზები იყო იმასთან დაკავშირებით, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმები აღმოჩნდნენ ცხინვალში და ეს რომ დეტალურად, ბლოკის მიხედვით იმიტომ დავსვი, რომ ქრონოლოგიურად თქვენ რომ მიყვებით, ბატონ მინაშვილს უნდა დამატება ამ საკითხთან დაკავშირებით.

**ა. მინაშვილი.** ბატონო ვანო, ერთი მოკლე კითხვა მაქვს, მე მაინტერესებს რა როლი ჰქონდა რუსს სამშვიდობოებს აი, ამ ომის პროცესში, ჩაებნენ თუ არა ისინი ამ ომში რუსეთის მხრიდან? არის საუბრები სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მოხსენებებში, რომ, მაგალითად, ოსური სამხედრო ნაწილები ახორციელებდნენ შეტევას სწორედ მათი სიახლოვიდან და მათი ... გაენეხორციელებინათ შეტევა ქართულ სოფლებზე. არის თუ არა ეს მართალი და მთელი ამ აგრესიის განმავლობაში მოხდა თუ არა მათი ჩართვა უშუალოდ სამხედრო ოპერაციაში?

**ი. მერაბიშვილი.** მე დავიწყებ, ასე ვთქვათ, თქვენ 7 ახსენეთ, მე მინდა გითხრათ, რომ მე, პრაქტიკულად,

პირადად 3–დან მოყოლებული მუდმივად ან ყოველდღე ვიმყოფებოდი გორში, ხშირად ვიმყოფებოდი ჩვენი სპეცდანიშნულების რაზმის, კარალეთის ბაზაზე და ყოველ საღამოს ჩვენ ვაფასებდით მდგომარეობას, იქ არსებულ მდგომარეობას.

პირადად მე მინდა გამოგიტყდეთ, რომ 2–ში, 1–ში, 2–ში, 3–ში, 4–ში, 5–შიც, გარკვეულწილად, პირადად ჩემთვის რომ ეკითხათ ომის ალბათობა, მე, ალბათ, 105–იან ალბათობას დავუშვებდი, უფრო სწორად ისეთს, როგორც დავუშვებდი, ვთქვათ, 1 თვით ადრე იქამდე ან 3 თვით ადრე. მინდა გითხრათ, რომ ეს, თითქმის, ჩემთვის რუტინულ მოვლენად იქცა.

თქვენ გახსოვთ, მე გითხარით, 30 ივნისს, როცა აფეთქება მოხდა დიმა სანაკოვეზე, მაშინაც გართულდა სიტუაცია. დაახლოებით 1 კვირა მე ყოველდღე მიწევდა იქ ჩასვლა, საუბარი, სხვადასხვა, ასე ვთქვათ, კონტრდაზვერვის, კრიმინალური პოლიციის, სპეცდანიშნულების რაზმების. მე ხშირად ვხვდებოდი იქ სამშვიდობო ბატალიონის ჩვენს ოფიცრებს და ვანალიზებდით მდგომარეობას, კოორდინაციას ვახორციელებდით ჩვენი სხვადასხვა დანაყოფის მიერ მოწოდებული ინფორმაციის.

მე მინდა გითხრათ, რომ რაღაც, ვთქვათ, 1–ში და 2–ში არსებული სიტუაცია დიდად არ განსხვავდებოდა, ვთქვათ, 1 ივლისის, 2 ივლისის, 3 ივლისის მდგომარეობისაგან იმიტომ, რომ მაშინაც ასეთი ძალიან ბევრი ურთიერთსროლები იყო, ასე ვთქვათ, რეგიონში, მაშინაც ხდებოდა დაბომბვები. თუმცა 3–დან სიტუაცია დაიძაბა და მე მგონი 4–დან მოყოლებული, 5–დან მოყოლებული მე, პრაქტიკულად, თბილისში იშვიათად ვბრუნდებოდი, უფრო იქ ვიყავი მეტი ხანი, ვიდრე თბილისში.

რაც შეეხება სამხედრო შტაბის სხდომებზე, მე შემიძლია გავიხსენო, ვთქვათ, რომ მისვლა, ასე ვთქვათ, სამხედრო ოპერაციამდე, მინიმუმ, ერთხელ მაინც მე ვარ ნამყოფი. ნამყოფი ვარ, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი, რადგანაც ამ ეტაპისთვის ჩვენ შინაგან საქმეთა სამინისტროში, მე და ჩემი რამოდენიმე მოადგილე ვიყავით, რათა ჩვენი როლი შესაძლო ოპერაციის შემთხვევაში, მე მგონი იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში თქვენ იცით, რომ სამხედრო ოპერაციის შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფები ხდებოდნენ, გადადიოდნენ გენერალური შტაბის დაქვემდებარებაში.

გარდა ამისა, მინდა გითხრათ, რომ, გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ შემთხვევაში გარკვეული ზურგის, ზურგში წესრიგისა და კანონიერებისა და მათ შორის, გარკვეული, შეიძლება, ოპერაციებიც დაკისრებოდა. იმიტომ, რომ იგივე ხიდეზის, გზების გამაგრება თუ სხვა სამოქალაქო, სამხედრო–სამოქალაქო ამოცანები გვადაა ჩვენ. ამავე დროს ჩვენი დანაყოფების, პოლიციური დანაყოფების, ასე ვთქვათ, ჩართვა ამ პროცესში ან ერთიანი შტაბის მართვაში და ყველაზე მთავარი რაც იყო, პრაქტიკულად, შინაგან საქმეთა სამინისტრო იყო ოპერატიული ინფორმაციის ყველაზე მთავარი მიმწოდებელი. ამიტომ ძალიან ხშირი, სერიოზული კოორდინაცია იყო და მეც ხშირად მიწევდა ინფორმაციის მიწოდება არა მარტო უშიშროების საბჭოს წევრებისათვის, არამედ თვით თავდაცვის სამინისტროს ოფიცრების მიმართ, ვისაც აი, ეს ინფორმაცია აინტერესებდა, ასე ვთქვათ და ამავე დროს მათ ჰქონდათ უშუალო კავშირი ჩვენს დანაყოფებთან, იგივე კონტრდაზვერვის ან სხვა დანაყოფებიდან კონკრეტული ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით.

პრაქტიკულად, ჩვენი საუბარი ატარებდა სისტემატიურ ხასიათს უშიშროების საბჭოს წევრების და გენშტაბის მაღალი თანამდებობის პირების. ძნელია რაღაცის გამოყოფა. რაც შეეხება დაგეგმარებას. კიდევ ერთხელ ვამბობ, მე ვესწრებოდი იმ ნაწილებს, როდესაც, პირიქით, ჩვენთვის დავალებების მოცემა ხდებოდა, ასე ვთქვათ, უფრო სწორად ჩვენი როლის განსაზღვრა. ბოლო ასეთი შეხვედრა, მე მახსოვს ბოლო შეხვედრა ეს იყო საღამო 7–ში. საათი გამიჭირდება ვთქვა, დაახლოებით მე და კეზერაშვილი ამ შემთხვევაში ერთად ვიყავით, ჩვენ მოვისმინეთ აი, შესაძლო, ასე ვთქვათ, გეგმა, როგორ განხორციელდებოდა. ამ შემთხვევაში, მე მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში ...

**თავმჯდომარე.** ეს გენერალური შტაბის უფროსისაგან მოისმინეთ გეგმა?

**ი.მერაბიშვილი.** დიახ. ნუ, გენშტაბის უფროსისა და სხვადასხვა მეთაურების მიერ. თვითონ ეს გეგმა სხვადასხვა ნაწილებისგან შედგებოდა, სხვადასხვა პირებმა წარმოადგინეს ამ გეგმის სხვადასხვა დეტალები და, ასე ვთქვათ, ჩვენ ამის შემდეგ, უკვე პრაქტიკულად გადანაწილდა ფუნქციები სხვადასხვა დანაყოფების. თვითონ საომარი ოპერაციების დროს, მე ერთხელ მახსოვს რამოდენიმე წუთით ვიყავი მისული შტაბში, რომელიც განლაგებული იყო, ასე ვთქვათ, უშუალო სიახლოვეს. ერთხელ, სადაც ეს იყო ის დრო, როდესაც ეს იყო მას შემდეგ, რაც ჩვენი დანაყოფები გამოდიოდნენ, პოლიციური დანაყოფები, წელან თქვენ ახსენეთ, რომ ცხინვალში შევიდა პოლიციური დანაყოფები, მარტო პოლიციური არ იყო, სამხედრო და პოლიციური დანაყოფი, თუმცა ორივე იყო სპეცდანიშნულების რაზმები და, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, იმიტომ, რომ ჯერ ერთი სპეციფიკურად მათ გაუადვილდებოდათ, ალბათ, ქუჩის ბრძოლების გამართვა და მეორე



იმიტომ, რომ მათი გამოყენება სხვა მიმართულებით ნაკლებად ეფექტური იქნებოდა.

რაც შეეხება მიზანს, ასე ვთქვათ, ცხინვალის გაკონტროლების, იმიტომ, რომ იმ ამოცანებში, რომელიც იყო ცეცხლის ჩაქრობა, უნდა გითხრათ, რომ როგორც მინიმუმ 12 "აკაციის" ტიპის თვითმავალი ... იდგა ცხინვალში მაგ დროს, როცა ანუ დაწყებული, 6-დან მოყოლებული და ის ახორციელებდა იმას. მე მინდა გითხრათ, რომ მე პირადად და დავით კეზერაშვილი ვიყავით დილის 6 საათზე ზემო ნიქოზთან, საიდანაც ხორციელდებოდა ჩვენი სპეცდანიშნულების რაზმის შესვლა ცხინვალში ნიქოზის მიმართულებით და მინდა გითხრათ, რომ, რა ჰქვია, "მინამიოტი", ისა, ნადმტყორცნი, რომლითაც ხორციელდება ანუ ამ კოლონის დაბომბვა უშუალოდ მე თვითონ დავინახე, რომ ეს ხორციელდებოდა რუსეთის სამშვიდობო ძალების ტერიტორიიდან. მე მინდა გითხრათ, რომ მაგ დროს უშუალოდ ამ მომენტში დაიჭრა კეზერაშვილის დაცვის უფროსი მსუბუქად და ნადმი გადმოსროლილი როცა იყო, იქ დაახლოებით 16–17 ნადმი იქნა ასროლილი, მაგრამ ერთი ნადმი აფეთქდა უშუალო სიახლოვეს. ის იყო ნასროლი უშუალო სიახლოვეს დაახლოებით 20–30 მეტრში, ასე ვთქვათ, რუსეთის სამხედრო ბაზიდან. თუმცა ამის ზუსტად დადგენა ძნელია იმიტომ, რომ რაღაც 200–300, 300–400 მეტრიდან ეს, ამის დაფიქსირება ცოტა ძნელია.

ამაზე ჩემი შეკითხვა, მინდა გავცე პასუხი, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალები ყოველთვის არა თუ ამ კონფლიქტის დროს, ხშირად 80% შემთხვევაში ისინი უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას ამ ოპერაციებში. იმიტომ, რომ ყველა ნადმტყორცნის გამოსროლა, უშუალოდ, მათი პირადი, უშუალოდ, სამშვიდობოების მიერ ან მათი სპეციალისტების მიერ ხორციელდებოდა. დაბომბვევის დიდი ნაწილი იგვე ჯავშანტექნიკიდან ხდებოდა მათი სამხედრო ტექნიკის გამოყენებით. მე ერთი ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ 70% რუსების სამშვიდობოების იყვნენ სწორედ ცხინვალში მცხოვრები ოსები.

თქვენ გახსოვთ, სამშვიდობოები შედგებოდა სამი ბატალიონისაგან, ერთი იყო ქართული ბატალიონი, მეორე იყო, ეგრეთ წოდებული, სამხრეთ ოსეთის, ბოდიში, ჩრდილო ოსეთის ბატალიონი, ეს გაუგებარი ის იყო, მარგამ რომელშიც 100% მსახურობდა ცხინვალის მაცხოვრებლები და იყო, ეგრეთ წოდებული, რუსეთის სამშვიდობო ბატალიონი, რომელშიც 20–30% მსახურობდა სამხრეთ ოსეთის მოქალაქე. ეს, სხვათა შორის, წესი იყო, რომ ყველა, თითქმის, ადამიანი ცხინვალში და ზრდასრული ადამიანი, რაღაც ეტაჟში ექვსი თვე მაინც მსახურობდა ამ ნაწილში, რათა გაწვრთნილიყო და შემდეგ იგი იქ ხდებოდა სამხრეთ ოსეთის თავდაცვის სამინისტროს თუ "აპალჩენის" თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის თაბამშრომლები.

მთელი დღის განმავლობაში რუსული სამშვიდობოები უშუალოდ ახორციელებდნენ, უშუალოდ მონაწილეობდნენ. სხვათა შორის, გუშინ ჩვენ აღმოვაჩინეთ ერთ-ერთ ოსურ ვებგვერდზე და ჩვენ ამას გამოვაცხევინეთ. ესეთი მემორიალური განცხადება ერთ-ერთი ოსი ბოევიკის, სადაც, უშუალოდ, პირდაპირ წერია, რომ 4-ში თუ 5-ში მოხდა ამ ადამიანის, 7-ში ღამე, ქართველმა, ასე ვთქვათ, აგრესორებმა მოკლეს ვიღაც ოსი პატრიოტი, რომელიც იჯდა რუსების სამშვიდობო შენობის შტაბის თავზე და კორექტირებას უკეთებდა ოსური არტილერიის ქმედებას. ქართველებმა ეს გაშიფრეს და მოკლეს საწყალი და წარადგინეს რუსეთის გმირის იმაზე, რა ჰქვია.

#### **თავმჯდომარე. წოდებაზე.**

**ი.მერაბიშვილი.** წოდებაზე. ეხლა ამ ჩვენი დიალოგის შემდეგ, ალბათ, ამას რუსეთის გმირობას აღარ მისცემენ, მაგრამ ამის დამალვაც არ ხდება, რომ რუსული სამშვიდობო შტაბის მოწყობილი ჰქონდა მას სათვალთვალო პუნქტი, რომლითაც კორექტირებას უკეთებდა რუსულ თუ ოსურ ამ შემთხვევაში ..... არტილერიის ქმედებას. ამის დამალვაც კი არ ხდება. ამიტომ ეს არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს და ვინც იქ ნამყოფია, იმისთვის ექვს ეს არ ბადებს, მე მინდა გითხრათ, მე თვითონ ჩემი თვალთ ეს ვნახე.

ამის შემდეგ, ასე ვთქვათ, მე 80% რომ ვიყავი გორში, პოლიციის შენობაში. იშვიათად ხდებოდა ჩემი გამოსვლა. ჩვენ ერთხელ, რამოდენიმეჯერ ჩვენ მივიღეთ შეტყობინება დაბომბვის შესახებ. ერთხელ, შტაბიდან გამოსვლის შემდეგ მე ვნახე როგორ დაიბომბა კოლონა, რომელშიც თავდაცვის მინისტრი კეზერაშვილი იყო და მისი დაბომბვის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ როცა ის გადაადგილდებოდა, მოხდა, რაღაც გრძელი ესკორტი გამოვიდა. ამ დროს იმყოფებოდა აქ, რეგიონში პრეზიდენტი სააკაშვილი და, ალბათ, ჰაერში შეეშალათ, ასე ვთქვათ, და დევნა განხორციელდა ამ ესკორტის და ორი რაკეტა, თუ გახსოვთ, საფეიქრო ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე, იქ აფეთქებები მოხდა. მთელი დრო ვიყავი მე, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ 7-დან 14-მდე მე, პრაქტიკულად, თბილისში ვიყავი 1 ან 2 საათი, ჩამოვდიოდი, მაქსიმუმ, როგორც წესი, ვიყავი სულ გორში და, როგორც წესი, ვიყავი გორის სამხარეო პოლიციის შენობაში, საიდანაც კოორდინაციას ვუწევდი, ასე ვთქვათ, სხვადასხვა სამუშაოებს. ცხინვალში ვიყავი შესული გენშტაბის უფროსისა და დავით კეზერაშვილთან ერთად, თუ არ ვცდები, 8-ში საღამოს, 9-ში დილაზე. ზუსტად მე მიჭირს...

**თავმჯდომარე.** ბატონო ვანო, რომ დააზუსტოთ, მერე რომ არ დავსვა კითხვა, აი ის დაგეგმარება, რომელიც გენშტაბმა განახორციელა, რომელიც თქვენ გაგაცნოთ და თქვენ იყავით ცხინვალში, ძირითადი მიზანი ამ გეგმის, რომ ხაზი გაუსვათ, თუ შეიძლება, რა იყო, მშვიდობიანი მოსახლეობის გამოყვანა თუ დაკავება ქალაქის და გამაგრება?

**ი.მერაბიშვილი.** ძირითადი მიზანი იყო რუსული ტექნიკის გადაადგილების შეჩერება, როგორც მინიმუმ, ჯავასთან მანც, იმიტომ, რომ, მოგეხსენებათ, როცა გადაწყვეტილება იქნა ....მათ როკის გვირაბი გადმოკვეთილი ჰქონდათ. ამიტომ იქ საუბარი როკის გვირაბის ჩაკეტვასთან დაკავშირებით, იმ პირველ ეტაპზე, ალბათ, არ იყო საუბარი, ეს მეორე ეტაპის ამოცანა იყო, ... შეჩერება. მეორე, ეს იყო მშვიდობიანი მოქალაქეების გამოყვანა და, პრაქტიკულად, ამის გამოყვანა იყო შეუძლებელი შემოვლითი გზით, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, იმიტომ, რომ იმ სამხედრო ბაზაზე, რომელზეც საუბარი გვაქვს, ჯავის სამხედრო ბაზიდან ხდებოდა საარტილერიო დაბომბვა იმ შემოვლითი გზის და მიმდებარე ტერიტორიის, გარდა თამარაშენის და ა.შ. ამიტომ ერთადერთი საშუალება... არსებობდა მხოლოდ ორი საშუალება ჩვენი მოქალაქეების გამოყვანის. ერთი იყო დმენისი, ასე ვთქვათ, თლიაყანის მიმართულებით სამხედრო ღონისძიების განხორციელება ამ სიმაღლეების დაკავებით, იქ არტილერიის მიყვანით, საცეცხლე წერტილების ჩაქრობა და შემოვლითი გზით მოქალაქეების გამოყვანა, მაგრამ ეს იყო დაკავშირებული გარკვეულ დროსთან. ამას შეიძლება დასჭირებოდა, ჩვენი გეგმის შესაბამისად, მინიმუმ, ერთი დღე. და მეორე გეგმა იყო, ასე ვთქვათ, ცხინვალიდან, ცხინვალში გამავალი ორი-სამი გზის გამოყენებით ამ მოქალაქეების გამოყვანა და ამის... და მესამე, თვითონ ცხინვალში არსებული საცეცხლე წერტილების ჩაქრობა იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ გეუბნებით, 12 ჰაუზიცა იყო ცხინვალში. ჩვენი სპეცდანიშნულების რაზმების იქ შესვლის მერე, ამ ჰაუზიცებმა დატოვეს ეს ტერიტორია და გავიდნენ, თუმცა, იქ, რა თქმა უნდა, იქ ისინი მოხდნენ ჩვენი მე-4 ბრიგადის და 58-ე არმიის დანაყოფების შეტაკებაში და მათი გარკვეული ნაწილი განადგურდა კიდევაც. ამიტომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ცხინვალში შესვლის მთავარი მიზანი, ასე ვთქვათ, ცხინვალის ტერიტორიის გაკონტროლების მთავარი მიზანი იყო, პირველი, ჩვენი მოქალაქეების გადარჩენა დიდი ლიახვის ხეობის . . . გადარჩენა და მეორე, საცეცხლე წერტილების ჩაქრობა იმიტომ, რომ მთავარი დარტყმები მაინც ხორციელდებოდა ცხინვალიდან და მისი, ასე ვთქვათ, გარე პერიმეტრიდან. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მხოლოდ მინიმალური ძალები იქნა ჩართული ცხინვალის, ასე ვთქვათ, ქუჩების კონტროლში და დაკავებაში. ამავე დროს, მინდა გითხრათ, რომ ხშირად კრიტიკულად, რამოდენიმეჯერ, მე კრიტიკულად მოვისმინე განცხადება, რატომ გამოცხადდა 8-ში, ასე ვთქვათ, თითქოს ცეცხლის შეწყვეტა და . . . რატომ მიეცა, ...თითქოს ამით რუსებმა ისარგებლეს და

**თავმჯდომარე.** კორიდორზეა საუბარი.

**ი. მერაბიშვილი.** კორიდორზე, მე მინდა შეგახსენოთ ამ კორიდორის შესახებ, ამ კორიდორზე. ეს კორიდორი იყო გაკეთებული 8-ში, თუ არ ვცდები, 3 საათზე, 3-დან 6-მდე, რაც ითვალისწინებდა ცხინვალში მცხოვრები მოქალაქეების ერგნეთის მიმართულებიდან, ანუ ჩვენ მაშინ ერგნეთიდან მოვხსენით, შეტევა შევაჩერეთ იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში, ქალაქის 80 % დაკავებული გვექონდა. შევაჩერეთ ეს, ასე ვთქვათ, სამხედრო ოპერაციები და 3 საათის განმავლობაში ცხინვალის, ასე ვთქვათ, დარჩენილ მშვიდობიან მოქალაქეებს მიეცათ საშუალება გამოსულიყვნენ ერგნეთის მიმართულებით, ერგნეთიდან გამოსულიყვნენ და მე ამაში, მე მგონი, არავითარი, სამხედრო თვალსაზრისით არავითარ საფრთხეს ეს არ წარმოადგენდა. რამოდენიმე ათეულმა ადამიანმა ისარგებლა კიდევაც ამ, ასე ვთქვათ, კორიდორით და მან, არავითარი სამხედრო გავლენა მას არ უქნია.

**თავმჯდომარე.** ბატონო ვანო, ესკალაცია, აი როდიდან იწყება მეორე ესკალაცია 9 თუ 10 რიცხვია, რუსული ჯარების, აქ არის საუბარი პრემიერ-მინისტრის, პუტინის ჩამოსვლის ვლადიკავკაზში. ფართომასშტაბიანი შეტევა, აი ცხინვალის გარკვეული ქუჩების კონტროლის დაწყების შემდეგომ. როდის იწყება იქითა მხრიდან მასიური შეტევები.

**ი.მერაბიშვილი.** ყველაზე მასიური, მასობრივად ეს უკვე იწყება 11-12, თუმცა უნდა ვთქვათ, რომ თანდათანობით, უკვე მოყოლებული მინიმალური რაოდენობით, გარკვეული რაოდენობით 9-ში, 8-ში სადამოდან ჩვენ უკვე რუსულ დანაყოფებს ვამჩნევთ, მცირერიცხოვან რუსულ დანაყოფებს უკვე ჩვენ ვამჩნევდით, მაგრამ რაც შეეხება, უკვე მასობრივი, ეს არის უკვე, რა თქმა უნდა, 10 - ში სადამოზე და 11-ში დილაზე, მასობრივი შემოტევები, მასობრივი დაბომბვები. ეს ეხება მხოლოდ, მე ამას ვლაპარაკობ, მხოლოდ სახმელეთო შეტევას ვგულისხმობ, თორემ საარტილერიო და საავიაციო, ეს უკვე 8-ში დილაზე, მე მინდა გითხრათ, 8-ში დილაზე 7 საათზე თუ 8 საათზე, უკვე ყველა, თითოეული, ასე ვთქვათ, გორელი თუ იქ მცხოვრები, იქ მყოფი ადამიანები თვლიდნენ ცაში, ასე ვთქვათ, თვითმფრინავებს. აუარებელი რაოდენობა თვითმფრინავები დაფრინავდა.

მინდა გითხრათ, რომ პირველი რუსული სამხედრო თვითმფრინავი ჩამოაგდეს ოსებმა. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. მინდა გითხრათ, რომ რუსულ არხებზე გადაიყვანა კიდევაც, ასე ვთქვათ, ეს ჩამოგდება როგორც ქართული თვითმფრინავის ჩამოგდება. მინდა გითხრათ, რომ პირველმა ქართულმა თვითმფრინავებმა, იმიტომ,

რომ მერე ეს ინფორმაცია ჩვენ რადიოგადაჭერების მეშვეობით გვაქვს, ქართულმა თვითმფრინავებმა გაანადგურეს 19 სამხედრო ბრონეტექნიკა გუფთის ხიდთან. ეს არის ჯავასა და ცხინვალს შორის ანუ თამარაშენსა და ჯავას შორის არსებული ტერიტორია. უფრო მეტიც, ჩვენ გვქონდა სატელეფონო საუბარი, რადიოგადაჭერა თავდაცვის მინისტრის, ოსეთის თავდაცვის მინისტრის, როცა იქ არსებული, იქ, ადგილზე მისული ადამიანი ეუბნება, რომ 9 ბრონეტექნიკა გაგვინადგურდაო და ნუ, თავდაცვის მინისტრმა ჩათვალა, რომ გარკვეულად დაზიანდა ტექნიკა და შემდეგ ის ეუბნება, სავლეთ მეთაური, რომ სათადარიგო ნაწილებადაც კი აღარ გამოდგება ეს, ისე განადგურდაო. ამის შემდეგ, ალბათ, ოსებმა გადაწყვიტეს თვითმფრინავების ჩამოგდება, რუსებმა ვერ მოასწრეს მათი გაფრთხილება და პირველი თვითმფრინავი გაანადგურეს სწორედ, ოსებმა და მათ, ასე ვთქვათ, ჩაქოლეს მფრინავი, რომელმაც კატაპულტირება მოასწრო, ჩაქოლეს და, სხვათა შორის, კადრები იქ იყო და შემდეგ გაანადგურეს რუსებმა. ეს კადრები, სამწუხაროდ, ჩვენ ეხლა არ გავაჩნია. მინდა გითხრათ, რომ ეს ადამიანი დასაფლავებულია დღეს ბუდიონოვსკში, რომელიც ოსებმა, ასე ვთქვათ, ჩაქოლეს, სამხედრო მფრინავი. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმ უკანონობაზე, რომელიც სუფევდა იქ. მე მინდა გითხრათ, რომ არც ერთი რუსი პილოტი საქართველოში არც ჩაქოლილი არ იქნა და მათ წინააღმდეგ, ასე ვთქვათ, არ განხორციელებულა არავითარი ძალადობის ნიშნები და იმ საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარე მათი, ასე ვთქვათ, დაპატიმრების და პატიმრობაში ყოფნის ყველა წესი დაცული იქნა, რასაც ვერ ვიტყვით, ასე ვთქვათ, ჩვენს მოწინააღმდეგე მხარეებზე.

**თავმჯდომარე.** ბატონო ვანო, თუ შეიძლება გასცეთ პასუხი, გუშინ ყოფილმა ელჩმა საქართველოსი, რუსეთში, აღნიშნა, რომ თითქოსდა მზადდებოდა ოპერაცია და ეს ცხინვალის ოპერაცია იყო თვალის ახვევა და მზადდებოდა აფხაზეთის მიმართულებით შტურმის განხორციელება. საერთოდ, ასეთი საკითხები კონკრეტულად, იგივე, იმ შტაბში, რომელიც იყო შექმნილი და სადაც თქვენ გენერალური შტაბის უფროსმა მოგახსენათ, ვთქვათ, დაგეგმილობასთან დაკავშირებით განიხილებოდა თუ არა აფხაზეთის მიმართულებით ფართომასშტაბიანი შეტევის განხორციელება ამ პერიოდში?

**ი.მერაბიშვილი.** მე მინდა გითხრათ, რომ არათუ აფხაზეთის, არც სამხრეთ ოსეთის მიმართულებით, იქამდე შეხვედრებში, არ განიხილებოდა არავითარი შეტევითი ოპერაციები. ეხლა მე, რაც ამდენი ვისაუბრე იმ ტექნიკის რაოდენობის შესახებ, რომელიც იქ იყო მობილიზებული, იმ გეგმების შესახებ, რომელიც იქ იყო და ყველაზე მთავარი, მე მინდა გითხრათ ასეთი რამ, რომ ეხლა ყველასთვის ცნობილია, ჩვენთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა, რომ რუსული ავიაციის ყველაზე სუსტი წერტილი არის, ეს არის, ასე ვთქვათ, ღამე და ღრუბლები. თქვენ თუ ამოიღებთ პროგნოზს, ამინდის პროგნოზს, ყველაზე კარგი ამინდი საქართველოში 2008 წელს იყო 5–დან 25 აგვისტომდე. ეს იყო ის დღე, როდესაც საქართველოში წვიმა არ მოსულა, არც ერთი ღრუბელი საქართველოს ცაში არ ყოფილა ანუ ყველაზე არახელსაყრელი საქართველოსთვის და ყველაზე ხელსაყრელი რუსული ავიაციისთვის, ასე ვთქვათ, იყო ეს პერიოდი. ახლა საერთოდ აფხაზეთზე და აფხაზეთის მიმართულება. საერთოდ, სასაცილოა საუბარი იმის შემდეგ, რაც მე გითხარით, რა გამაგრებები იყო აფხაზეთში განხორციელებული. უფრო მეტს გეტყვით, მე არ მახსოვს არც 2004–ში არც 2005–ში არც 2006–ში არც ერთი რამე შეხვედრა, სადაც იხილებოდა სამხედრო თუ არასამხედრო, ასე ვთქვათ, საკითხები, სადაც ეროსი კიწმარიშვილი საერთოდ მონაწილეობდა. მე, რა თქმა უნდა, ხშირად ყოფილა ეროსი კიწმარიშვილთან შეხვედრები, ამ შეხვედრების 80 %-ი ანეკდოტებით შემოიფარგლებოდა მხოლოდ, ვთქვათ, ზოგჯერ ბოლო მომენტში რუსეთიდან ჩამოტანილი გარკვეული ანეკდოტებით. ამიტომ ასეთ სერიოზულ საკითხებზე ამიტომ, ალბათ, მოგეხსენებათ, ახლა ეროსი კიწმარიშვილთან განხილვა არ იქნებოდა.

**თავმჯდომარე.** მე დავაზუსტებ ერთ საკითხს, ბატონმა ეროსიმ თქვა, რომ მოგახსენა ჩვენ, რომ 2004 წლის მოვლენები, რომელიც იყო და შემდგომ, თქვენ იყავით ერთ – ერთი მინისტრი, რომელიც იყავით საერთოდ წინააღმდეგი ყოველთვის საბრძოლო მოქმედებების დაწყების და რაიმე ოპერაციის განხორციელების. ამიტომ დაგისვით ეს კითხვა, საერთოდ რა აი ამ განხილვის დონეზე იგივე, როგორც ბატონმა ეროსიმ თქვა ეს ხდებოდა სამხედრო რაღაც ბაზაზე პრეზიდენტთან ერთად, საერთოდ ასეთი ტიპის შეხვედრები თუ საერთოდ ხდებოდა ამ ფორმატში, როგორც აღნიშნა ბატონმა ეროსიმ ... საუბარი, შინაგან საქმეთა მინისტრზე, თავდაცვის მინისტრზე, პარლამენტის თავმჯდომარეზე და პრეზიდენტზე, რაზეც, ეგრეთ წოდებული, ვიღაც "ლიდერშიპები" იყვნენ, იგივე საზღვარგარეთის "ლიდერშიპები" ან შეიძლება იყოს ეს მმართველი გუნდის "ლიდერშიპები", რომელთანაც, რომლებსაც ჰქონდათ ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოსდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან იყო მწვანე შუქი რაღაც, ოპერაციების განხორციელების ან მიმდინარეობდა მუშაობა, როგორც ის აღნიშნავს, პრეზიდენტის გარემოცვიდან აქვს მას ეს ინფორმაცია და იგივე უცხოელებისაგანაც, საერთოდ არსებობს თუ არა ქვეყანაში ვინმე უცხოელი ადამიანი, ვინც ლობირებს რომელიმე სხვა ქვეყნის ინტერესებს ასეთ საკითხებში, რაც ეხება ქვეყნის უსაფრთხოებას ან არსებობს თუ არა ადამიანი საქართველოს მთავრობაში, ვთქვათ, რომელსაც აქვს რაღაც კონტაქტი და საუბრობს მერე ამაზე, რომ თითქოსდა ის ვიღაცის წარმომადგენელია, იმიტომ, რომ ხაზი მინდა გავუსვა გუშინდელი ბატონი კიწმარიშვილის გამოსვლის შემდგომ, ძალიან საეჭვოდ ხდება თავდაცვის სამინისტროს რუსეთის განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ჰყავდა დაქირავებული სპეციალისტები ხელშეკრულების საფუძველზე, აქ არის საუბარი ამერიკის შეერთებული შტატების, ისრაელის,

ჩეხეთის და სხვა ქვეყნის. ასეთი ტიპის მექანიზმები თუ არსებობს ბატონო ვანო, თქვენ როგორც უშიშროების საბჭოს წევრი, თქვენ როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი, ასეთი დონის საუბრები, რა ფორმატში ხდება, თუ საერთოდ ხდება, თუ არიან ვინმე ასეთი კონსულტანტები, რომელიც რაღაც მწვანე შუქებს იძლევიან საბრძოლო მოქმედებებზე. გმადლობთ.

**ი.მერაბიშვილი.** მე მინდა გითხრათ, რომ, ასე ვთქვათ, რომ, მე განსხვავებით თქვენგან ვარ, თქვენი კომპეტენცია, მე არც გუშინდელ გამონათქვამს ეროსი კიწმარიშვილის სერიოზულად არ მივდგომივარ და ეროსი კიწმარიშვილი, ასე ვთქვათ, მისი გამოცდილებიდან გამომდინარე, ეხლა ის ჟურნალისტიკა და აქედან გამომდინარე ეხლა ჟურნალისტურ შეფასებებს, ალბათ, აკეთებს და მე არც მიკვირს, ვინც ამ შეფასებას აკეთებს, იმიტომ, რომ მას არასოდეს არ ჰქონია შეხება არც ერთ ოფიციალურ.. მე არ მახსოვს არც ერთი რამე სერიოზული შეხვედრა, სადაც კიწმარიშვილი რაიმე ოფიციალურ შეხვედრას თუ არაოფიციალურ საკითხებს, სადაც ასეთი საკითხები იხილებოდა, დასწრება. ნუ, ის, რაშიც იყო კომპეტენტური მეტ –ნაკლებად, და ვთქვათ, რაღაც პიარსაკითხებზე ვთქვათ, როგორ უნდა გაშუქდეს ესა თუ ის სიუჟეტი, ესა თუ ის, ვთქვათ, როგორ უნდა გაპიარდეს ეს და ეს ალბათ, ამაში კომპეტენტურია ის, როგორც ყოფილი ტელევიზიის მესაკუთრე, მაგრამ სხვა ასეთი საკითხების განხილვა ეროსი კიწმარიშვილთან, მე ასეთი განხილვა არ მახსოვს. ხოლო რაც შეეხება იქ განცხადების შეფასებებს, რომ ვანო მერაბიშვილს უნდოდა თუ არ უნდოდა ომი, ეხლა ეს, არ ვიცი, ალბათ, რაღაც კლიშეები არსებობს, რაღაც ომის პარტია, მშვიდობის პარტია და მე ძან ხშირად გაზეთებში ვკითხულობ, რომ ხან ომის პარტიის წევრი ვარ, ხან მშვიდობის პარტიის წევრი, ამას ყურადღება, მე მგონი, არ უნდა მივაქციოთ. მე თვითონ არ ვიცი, სად, როგორი ნებართვა უნდა აიღო, რა ნებართვა უნდა აიღო, რა საკითხზე უნდა აიღო ნებართვა, ამიტომ, მე მგონი, ასეთ საკითხებზე სერიოზულად მსჯელობა, მე მგონი, არასერიოზული იქნება ჩვენი მხრიდან. მე გამიჭირდება ასეთ საკითხებზე საუბარი. მე ვიცი, რომ ჩვენ გვყავს პარტნიორები, ჩვენ გვაქვს პარტნიორებთან ურთიერთინფორმაციის გაცვლის მექანიზმები, ჩვენ გვაქვს ერთობლივი ღონისძიებებიც, რომელიც უკავშირდება უსაფრთხოების საკითხებს, სხვადასხვა პროგრამებს, ვიცით, რომ ჩვენ რამოდენიმეჯერ გვაქვს, ერთობლივად განვახორციელეთ ოპერაციები, ღონისძიებები, როგორც იყო რადიაციული ნივთიერების კონტროლის, ტრეფიკინგის, ვთქვათ, ნარკოტიკების საწინააღმდეგო ქმედების ღონისძიებები და ასე შემდეგ. ჩვენ ვართ პარტნიორი ამერიკის შეერთებული შტატების, რომელთანაც დაკავშირებულია იგივე ჩვენი სამხედრო დანაყოფის ყოფნა ერაყში და ასე შემდეგ და აქ, ამაზე შემძლია ვისაუბრო, სხვა ნებართვები, ვილაცამ, რაღაცას მწვანე აუნთო, რომელიღაც გვარების დასახელება, მე მგონი, ეს არის ჩვეულებრივი სპეკულაციები და რაც უფრო ხშირად მაღალი თანამდებობის პირები .....მე მგონი, ამ საკითხებს, მით უფრო წონა ასეთი პიროვნებების გაიზრდება. ეს არის მისი, ეს იყო მთავარი მიზანი, სიმართლე გითხრათ, მე გუშინდელი განცხადება, მისი განცხადებიდან ვერც ერთი დასკვნა ვერ გამოვიტანე, ასე ვთქვათ, და ერთადერთი, რისიც მეშინია უფრო, რომ ოპოზიციას ეხლა აქ პასტები აქვს და .... მე მეშინია რომ რაღაც არ წამომცდეს და პასტები არ...

**თამაჯლომარე.** ბატონო მინისტრო, თქვენი პასუხიდან იკვეთება, რომ არ არსებობს ქვეყანაში ადამიანი, საუბარია უცხოელზე, ან ვიღაც სხვაზე, ვისგანაც ნებართვა სჭირდება ქვეყნის მმართველ ჯგუფს, რაღაც საბრძოლო მოქმედებების დაწყებასთან დაკავშირებით.

**ი.მერაბიშვილი.** ეს მითებია, ასე ვთქვათ, ალბათ ...

**თამაჯლომარე.** ჩვენ ვალდებული ვართ დავსვათ ეს შეკითხვა.

**ი.მერაბიშვილი.** მე მინდა, ერთი ესეთი ... მე ძან, როცა ვხვდებოდი უშიშროების მინისტრი, ძან ველოდებოდი, რომ აი როდის მომცემდნენ დაშვებას საიდუმლო დოკუმენტაციაზე და როცა საიდუმლო დოკუმენტზე დაშვება მოგვცეს და დოკუმენტი მომიტანეს, მერე მივხვდი, რომ ბევრი არაფერი საინტერესო არ ხდება. სწორედ ის ხალხი, ვისაც არა აქვს საიდუმლო ინფორმაციაზე დაშვება, მათ ეჩვენებათ, რომ ძან ბევრი რამე, ასე ვთქვათ, ძან საინტერესოა იქ და ძან ბუნდოვნად ეჩვენება ის. ... ყველაფერი გაცილებით მარტივი და ცალსახაა, ასე ვთქვათ, და მარტივია და საჯაროა, ვიდრე ზოგს ასეთი ამბავი ჰგონია. ამიტომ, მე მგონი, ...ამ საკითხზე სერიოზული მსჯელობა მე არ მიმაჩნია...

**თამაჯლომარე.** დიახ, აქ დამატებითი კითხვებია ამ მიმართულებით.

**გ.გაბაშვილი.** ბატონო ვანო, ჩვენ გვახსოვს, თქვენი განცხადება, რომელიც თქვენ საჯაროდ გააკეთეთ მაშინ, როცა იყო ჭორები იმასთან დაკავშირებით, რომ რუსული ოკუპაციის ფაზა შედიოდა იმ სტადიაში, როცა უკვე პრაქტიკულად, იწყებოდა ანუ მზადდებოდა და ეს საიდუმლოც არ იყო ამერიკის პრეზიდენტით დამტავრებული, საფრანგეთის პრეზიდენტით დამთავრებული საუბედუროდ, რომ თბილისზე მოემართებიან რუსები და გაეროს უშიშროების საბჭოში იყო ღია საუბარი იმაზე, რომ რეჟიმ ჩეინჯი იყო მათი მიზანი. მაშინ, აი, ასეთი ხმები დადიოდა, რომ იგორ გიორგაძე ჰყავთ უკვე ჩამოყვანილი საქართველოში, თქვენ მაშინ გააკეთეთ განცხადება, რომ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, არსად ასეთი

რამ არ არის. ჩემი შეკითხვა მდგომარეობს იმაში, იყო თუ არა ვთქვათ, თქვენ თქვით, რომ არაფერია, ისეთი, სიღრმეში, ყველაფერი ცალსახაა, ცალსახად მზადდებოდა თუ არა სხვა რამე, გარდა, ვთქვათ, ინტერვენტების ასეთი გეგმებისა, იგრძნობოდა თუ არა, რომ მზადდებოდა, ვთქვათ, ხელისუფლების ცვლილება, იყო თუ არა დივერსიული მოქმედებები ამ მხრივ და იყო თუ არა, ვთქვათ, გააქტიურებული ამ მხრივ ის კუთხე, რასაც ჰქვია მათი აგენტურის მუშაობა საქართველოში.

**თავმჯდომარე.** ბატონ დიმიტრის, ვთხოვ და შემდგომ ბატონი ...

**დ.ლორთქიფანიძე.** ბატონო მინისტრო, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ბატონი ეროსი კიწმარიშვილის გამონათქვამები არასერიოზულად მოგვეჩვენოს, მიუხედავად ამისა მმართველი გუნდის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი იყო ეს ადამიანი რუსეთში საქართველოს ელჩის თანამდებობაზე. მე კითხვა მაქვს ასეთი, რომ მან გუშინ განაცხადა, დაასახელა კონკრეტული თარიღი 2 ნოემბერი და ეს ნუ, 2 ნოემბერი, მოგესხენებათ ის თარიღია, როდესაც მრავალათასიანი მიტინგი იყო თბილისში შვედებილი რუსთაველის გამზირზე და დაასახელა ის გარემოება, ის ფაქტი, რომ თქვენ შეხვდით მას და გაანდეთ იდეა მისი წარდგენისა მომავალში რუსეთში, საქართველოს ელჩად. თუ შეიძლება მაინც კონკრეტულად, რომ მივიღოთ პასუხი ამ ფაქტთან დაკავშირებით. გმადლობთ.

**თავმჯდომარე.** დიახ, ბატონ რამაზს, ბატონო ვანო, თუ იქნება კითხვები .....

**რ. თედორაძე.** ბატონო ვანო, გოროზია როცა ბრძანდებოდა, სამეგრელოს გუბერნატორი ჩვენთან, მან განაცხადა, რომ დიდი მცდელობა იყო რუსი ოკუპანტების, რათა მათ ემოვათ დასაყრდენი სამეგრელოში და მცდელობა, რომ სვანები, მეგრელები არ არიან ქართველები და გამოიწვიეთ გათიშულობა. ხომ არ იყო იგივე მცდელობა სხვა მხარეებშიც მათ მიერ და ხომ არ არის მოსალოდნელი კიდევ მათი გააქტიურება ამ მხრივ განსაკუთრებით ქვემო ქართლში ან სამცხე-ჯავახეთში.

**თავმჯდომარე.** მეტი ხომ არაა კითხვები. ბატონო ვანო.

**ი.მერაბიშვილი.** კარგით, მაშინ მე პირველ შეკითხვას მაინც კიწმარიშვილთან დაკავშირებით გეტყვით. მე მიინდა სრული პასუხისმგებლობით გითხრათ, რომ 2 ნოემბერს ეროსი კიწმარიშვილს არ შევხვედრივარ და ახლა რომ გითხრათ შევხვედრივარ –მეთქი ნაკლებად დამაჯერებელი იქნება, 2 ნოემბერს, ალბათ, არ მეცალა ეროსი კიწმარიშვილისათვის და, ასე ვთქვათ, სიმართლე გითხრათ, მე არ მახსოვს ბოლოს ამ თვეში როდის შევხვდი კიწმარიშვილს და, მით უმეტეს, მე მისთვის ელჩობის, ასე ვთქვათ, საკითხი არ განმიხილავს. მე პირადად გეტყვით, რომ პირიქით, მე მახსოვს, რომ იგი შემხვდა მე დაახლოებით დეკემბრის თვეში, მან წამოაყენა საკითხი, რომ მე ხომ არაფერი წინააღმდეგი არა მაქვს, ასე ვთქვათ, მისი შესაძლო დიპლომატიურ სამსახურში ან სახელმწიფო სხვა სამსახურში მუშაობასთან დაკავშირებით. იქ არ იყო მხოლოდ რაღაცა ისეთი ანუ მას რატომღაც რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ, ასე ვთქვათ, ჩვენ დაპირისპირებულები ვიყავით, ვთქვათ, 2004 წლიდან და იქამდეც და, ვთქვათ, ვითომ რაღაც ვთქვათ ... ის მე როგორც მახსოვს, ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა რამოდენიმე წლის განმავლობაში. როგორც ის არაერთხელ ახსენებდა, ასე ვთქვათ, მთავარი მიზეზი მისი ამერიკაში ყოფნის, ასე ვთქვათ, იყო დაკავშირებული იმასთან რომ ... იყო დაპირისპირებული ჟვანიასთან და ამიტომ წავიდა და ა.შ. ... ეს იყო, როცა ის დაბრუნდა, მე არ შევხვედრივარ კარგა ხანია მას, დეკემბერში იყო რამოდენიმე შეხვედრა და იქ, პირიქით, მან იკითხა ჩემი მოსაზრებები მასზე. სიმართლე გითხრათ, მე მაშინ, ასე ვთქვათ, რამე საწინააღმდეგო, რაიმე ეჭვები მის შესახებ არ მქონია, იმიტომ რომ, ასე ვთქვათ, რაიმე ინფორმაცია მისი აქტიურობის, ბოლო სამი წლის განმავლობაში რაღაც ან რუსეთთან მიმართებაში ან სხვა მიმართებაში მე ასეთი ინფორმაცია არ მქონია. მე არ შემითავაზებია მისთვის არავითარი თანამდებობა და ამაზე მე აღარ მინდა გაგრძელება. რაც შეეხება აგენტურაზე საუბარი, მე რამოდენიმე ფაქტი წარმოვადგინე მათი აგენტურის მუშაობის. რა თქმა უნდა, იყო ძაან ბევრი, მაგალითად, იგივე იგორ გიორგაძესთან დაკავშირებით ჩვენ ვიპოვეთ მინიმუმ 5 კაცი, რომელიც აცხადებდა რომ, მათ თავისი თვალით ნახეს იგორ გიორგაძე, 5-ივე ადამიანი ცალ –ცალკე იქნა, ასე ვთქვათ, გამოკითხული და არც ერთ შემთხვევაში არ დაემთხვა ამ 5-ივე ადამიანის ჩვენება, მისი, ასე ვთქვათ, თუნდაც ჩაცმულობისა ან რაღაც დროსა და გეოგრაფიულ, ... რამდენიმე მათგანმა თქვა, რომ ზუგდიდში ნახა, ზუგდიდის ცენტრში ნახა, ზოგიერთმა თქვა, რომ ის ნახა, ვთქვათ, სენაკში და ასე შემდეგ. ჩვენ დავასკვნით, რომ თვითონ გიორგაძე საქართველოში ჩამოსული არ ყოფილა. ნუ, მოდი, ასე ვთქვათ, საქართველოს იმ ტერიტორიაზე, ვთქვათ, როგორც მინიმუმ ენგურის აქეთ. თუმცა მინდა გითხრათ, რომ გიორგაძის მომხრეები, ეს გააქტიურება იყო, რამოდენიმეჯერ გიორგაძის მომხრეები პროკლამაციებს ავრცელებდნენ, მისი პარტიის წევრები, ასე ვთქვათ, ავრცელებდნენ გორის რაიონში და მინდა გითხრათ, რომ ორი მათგანი ავრცელებდა პროკლამაციებს თბილისში ლტოლვილები სადაც მასობრივად იყვნენ განთავსებულები. მინდა გითხრათ, რომ ძალიან ბევრი შემთხვევა იყო სამეგრელოშიც რომ, ვთქვათ, ხდებოდა, ასე ვთქვათ, ინფორმაციის მიწოდება, მაგრამ ყველაზე საინტერესო იყო ჩემთვის, ჩვენთვის ის, რომ რუსეთიდან შემოსულ ჯარებში ყველა დანაყოფში

იყო მინიმუმ ერთი მაინც ის, ვინც საქართველოში იყო დაბადებული, გაზრდილი, არა აუცილებლად ქართველი, და მინდა გითხრათ, რომ ვთქვათ, იგივე ფოთში, სენაკში ზუგდიდში ძალიან ბევრი იყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც ხშირად ქართული იცოდნენ რუსებმა და, რა თქმა უნდა, იყო ბევრი ქართველი. მე მინდა გითხრათ, რომ მინიმუმ 30 ადამიანი ქართველი, საქართველოს, პირობითად საქართველოს მოქალაქე, ან, ვთქვათ, ის ხალხი, ვინც მსახურობდა ბათუმში განლაგებულ სამხედრო ბაზაზე და ახალქალაქში განლაგებულ სამხედრო ბაზაზე, ისინი შემოყვნენ ამ ადამიანებს და თუმცა იყვნენ ადამიანები, რომლებმაც ომის დროს მიატოვეს სამხედრო ნაწილები და, როგორც მინიმუმ, 10 საქართველოს მოქალაქე დაბრუნდა აჭარაში და მინდა გითხრათ, რომ ჩვენ მათ დავეხმარეთ მათ სოციალურ მოწყობაზე. მათ მიატოვეს რუსული არმიის რიგები პროტესტის ნიშნად. ზოგიერთი მათგანი დღესაც მსახურობს რუსულ სამხედრო ბაზაზე, ბევრ მათგანს არ მიუღია მონაწილეობა სამხედრო ოპერაციაში, მაგრამ ისინი ელოდებიან, ასე ვთქვათ, გარკვეული სოციალური პენსიის ან ხელფასის გამო, ისინი კვლავაც რჩებიან. ანუ ამ მხრივ ძნელია გაყო ის ადამიანი, რომელიც მსახურობდა რუსულ არმიაში ისტორიულად, ეხლაც მსახურობენ, თუმცა კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ ადგილზე მათი დასაყრდენი არის მინიმალური. იმდენი დასაყრდენი ჰქონდათ მინიმალური, რა მიზეზის გამო, ამის თქმა გამიჭირდება. ბევრ რეგიონებში, ბევრ რაიონებში მათი მინიმალური, ასე ვთქვათ, ქმედება იყო ანტისახელმწიფოებრივი. კიდევ ვიტყვი, საფრთხე იყო სერიოზული აჭარაში, ეს იყო ასლან აბაშიძის მომხრეები და გარკვეული მოძრაობები მათ ჰქონდათ, თუმცა ჩვენ ჩავატარეთ მათთან პრევენციული გასაუბრებები და მათ როგორც კი აღმოაჩინეს, რომ იქ, ასე ვთქვათ, საკმარისი რაოდენობა სპეცდანიშნულების რაზმებისა არიან, იქ ხდება პატრულირება, იქ ხდება, ასე ვთქვათ, მათი გამოკითხვა, სიტუაცია ჩაწყნარდა. საბედნიეროდ, სამცხე-ჯავახეთში სიტუაცია იყო ძალიან ნორმალური. მე მინდა გითხრათ, რომ ეს სასიხარული ამბავი, რომ ერთი ფაქტი მოხდა სამცხე-ჯავახეთში ესეთი საინტერესო. დაახლოებით, თუ არ ვცდები, 1-ლ თუ 2 აგვისტოს ჩემი ბრძანებით როგორც ჯილდო გარკვეული ღონისძიების, რომელიც ჩატარდა იქ ახალქალაქში, თუ გახსოვთ, იქ პოლიციელი გარდაიცვალა რაღაც დაპატიმრების ოპერაციის დროს და, ასე ვთქვათ, როგორც ჯილდოს სახით შვებულებაში გავუშვი, არ მახსოვს, ევროპულ ქვეყანაში ახალქალაქის და ნინოწმინდის პოლიციის უფროსები. თქვენ იცით, რომ 8-ში საქართველოში შეწყდა ავიაფრენები. ისინი იმყოფებოდნენ ევროპულ ქვეყნებში, ორივე, და ისინი თავის სამუშაო ადგილებს დაუბრუნდნენ, ეროვნებით სომხები, საქართველოს პოლიციელები, ახალქალაქის და ნინოწმინდის პოლიციის უფროსები, საკუთარ სამუშაო ადგილებს დაუბრუნდნენ 8-ში საღამოს. მათ მოახერხეს, ასე ვთქვათ, ერევანის მეშვეობით ჩამოსვლა ევროპიდან და ბევრი ქართველი, ალბათ, მოგეხსენებათ, მაშინ არ დაბრუნებულა საქართველოში, ბევრი ქართველი, შეიძლება, დატოვა საქართველო და ამ ადამიანებმა, როგორც თავისი ქვეყნის პატრიოტებმა, ჩათვალეს ვალდებულად, რომ ყოველგვარი მიზეზის გარეშე, მათ ჰქონდათ შვებულება 15 აგვისტომდე, რაც არის, მე მგონი, კარგი ნიშანი, საქართველოს ისტორიაში ასეთი რამე პირველად მოხდა, როდესაც, ასე ვთქვათ, აი ასეთი, უმცირესობის წარმომადგენლებმა ასეთი თავი გამოიჩინეს პროქართულ ორიენტაციაში.

**თაგმჯდომარე.** ბატონ ლევანს.

**ლ.ვეფხვაძე.** გამადლობთ. ბატონო ვანო, თქვენ ოპოზიციის მხრიდან პასტების სროლა ახსენეთ. არა მგონია, რომ ისეთი შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოგვმართოთ, როგორც ... და საჭირო, შესაბამისად, გახდეს ამ პასტების გამოყენება.

რაზე მინდა, მინდა დაუბრუნდე წინარე პერიოდს, კონფლიქტის წინარე პერიოდს. ერთი ტენდენცია, რაც შეიმჩნევა ყველა იმ, ასე ვთქვათ, სახელმწიფო მოხელეს თუ მინისტრს შორის, რომელიც აქ იმყოფებოდა, იყო წინასწარ, ასე ვთქვათ, გარკვეული მოლოდინი იმისა, რომ მსგავსი ინტერვენცია, ასეთი მასშტაბებით არ ან ვერ შეიძლება განხორციელებულიყო საქართველოს ტერიტორიაზე. თუმცა, ყველა, მათ შორის, თქვენი მოხსენების წინა პერიოდი ზუსტად იმის ლოგიკური, ასე ვთქვათ, ჯაჭვია, რომ ეს ყველაფერი მზადდებოდა, დაწყებული თებერვლიდან იმიტომ, რომ რაც მოვისმინეთ, 7 და 8 აგვისტოს დღეებამდე, რაც მოვისმინეთ, თავისთავად ეს ყველაფერი იყო იმის ნათელი, ასე ვთქვათ, მაგალითი, როგორ უნდა აწყობილიყო ეს ლოგიკური ჯაჭვი, ლოგიკურ დასასრულამდე როგორ უნდა მისულიყო. თუმცა, თქვენ ბრძანეთ, ბატონო ვანო, რომ მხოლოდ 10%, 7-შიც დილასაც კი მხოლოდ 10% გქონდათ იმის მოლოდინი, რომ მსგავსი ტიპის ინტერვენცია ან სამხედრო კონფლიქტი განხორციელდებოდა. რატომ იყო ასეთი ანუ წინასწარ მსგავსი ინფორმაცია, რატომ არ ხდებოდა შესაბამისი დამუშავება. ბატონმა ბეჟუაშვილმა თქვა, რომ ჩვენო, ჩვენი უწყება ელოდებოდა ინტერვენციას, მაგრამ ელოდებოდა ოქტომბერ-ნოემბერში. თუ თქვენ გქონდათ მსგავსი ინფორმაცია აგვისტოსთან მიმართებაში ან, თუ არ იყო ეს ინფორმაცია, რატომ იყო ასეთი მოლოდინი, ასე ვთქვათ, ოპტიმიზმი? ეს ერთი კითხვა, რაც მინდოდა მე თქვა.

მეორე კითხვა. თქვენ 7-ში 2 საათზე იმყოფებოდით გუბერნატორებთან ბატონ ტყემელაშვილთან ერთად შეხვედრაზე, თუმცა, იქ თქვენ არ გითქვამთ იმ სამხედრო კოლონის შესახებ არაფერი, რომელიც უკვე გადაადგილდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე როკის გვირაბის გავლით. ეს ინფორმაცია თქვენ იმ მომენტში არ გქონდათ თუ ამ ადამიანებთან იმ შეხვედრაზე თქვენ ეს ინფორმაცია არ თქვით. ლოგიკურად მერე გრძელდება ჯაჭვი, რომ თქვენ ამ შეხვედრის მერე მიდიხართ უკვე გორში, სადაც არის პრეზენტაცია, როგორც

თქვენ ბრძანეთ სამხედრო გეგმის და უკვე აქედან ჩნდება კითხვა. პირადად თქვენ როდის, რა ვითარებაში მიიღეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გაცემულია კონკრეტული ბრძანება ამ სამხედრო ოპერაციის დაწყების შესახებ, თუმცა სამხედრო ოპერაციის დაწყების შესახებ ბრძანება არის გაცემული 12-ის ნახევარზე და ხომ არ არის ...შეუთავსებლობა. სამხედროებს გეგმა უკვე მომზადებული ჰქონდათ მანამ, სანამდე ისინი მიიღებდნენ მთავარსარდლისგან კონკრეტულ სამპუნქტიან, ასე ვთქვათ, დავალებას. გმადლობთ.

**თაემჯდომარე.** ბატონ ნიკას და...

**ვ. მერაბიშვილი.** გავცემ თუ შეიძლება, რომ არ დამავიწყდეს. აქ მე მინდა გითხრათ, რომ ესეთი გეგმები, რომელ გეგმებზეც ჩვენ ეხლა ვსაუბრობდით, ესეთი გეგმები არ დგება ნახევარ საათში და 15 წუთში. ესეთი გეგმები მუდმივად არსებობს და მუდმივად იხვეწება თავდაცვის სამინისტროში. ასეთი გეგმები თავდაცვის თუ ნებისმიერი ღონისძიების გეგმები ყოველთვის ნებისმიერი მიმართულებით არამარტო თავდაცვის, ნებისმიერი საფრთხის მიმართულებით ეს გეგმები არსებობს, აქედან გამომდინარე იმ სიტუაციაში იყო კონკრეტული, ზოგადად შემუშავებული, წინასწარ შემუშავებული გეგმის დახვეწა და გამდიდრება იმ სადაზვერვო, ახალი სადაზვერვო, უფრო სწორად დამატებითი ოპერატიული ინფორმაციით, რომელიც იმ შემთხვევაში გაგვაჩნდა შინაგან საქმეთა სამინისტროს. ამიტომ იმის თქმა, რომ, მე მინდა გითხრათ, რომ მინიმუმ, მე მახსოვს მინიმუმ 5-ჯერ მაინც ყოფილა შემთხვევა, როდესაც ჩვენ რაღაც სამხედრო გეგმა განგვიხილავს ყველა დამაბულობის სიტუაციაში, მაგრამ ეს გეგმები არის ზოგადი გეგმა, რომლის ამოქმედების ალბათობა ყოველთვის არის ძალიან დაბალი. ამიტომ ამ გეგმების განახლება მუდმივად მიმდინარეობს, ამიტომ ასე არ არის, რომ ბრძანება გაიცა 12-ის ნახევარზე და გეგმა როგორ დაიწერა, როგორ იყო წინასწარ გეგმა. ეს, ზოგადი გეგმები არსებობს. იმ გეგმების მერე დახვეწა და მისი ამოცანების განსაზღვრა ხდება კონკრეტული დავალების მიცემის შემდეგ. ამიტომ ამაში ახალი მე მგონი არაფერი არ არის.

რაც შეეხება მე როდის გავიგე რუსული ტანკების შემოსვლა. მე გავიგე ზუსტად 15 წუთის შემდეგ, რაც ეს სატელეფონო საუბარი შედგა. ეს სატელეფონო საუბარი შედგა, ამ საუბარს პირდაპირ ერთ, ასე ვთქვათ, "ონლაინ რეჟიმში" უსმენდა ოსურის მცოდნე ჩვენი თანამშრომელი და ეს აი, ეს სატელეფონო საუბარი მე დამიკავშირეს, რაზეც მთავარი ყურადღება, სხვათა შორის, როდესაც მე ეს მითხრეს, სანამ ეს მერე წერილობით მოვიდოდა, წერილობით მოვიდა 2 საათის შემდეგ არა საუბარი, არამედ ამონაწერი ამ საუბრის შესახებ, ზეპირი ამონაწერი იყო არამარტო ის, რომ რუსული ტანკები შემოდიან, მათი რაოდენობა, უფრო ის იყო, რომ რუსებმა აიღეს კონტროლი საზღვრის. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი. არასდროს რუსებს კონტროლი, ასე ვთქვათ, რუსეთ-საქართველოს თუ რუსეთ-ოსეთის პირობითად საზღვარზე რუსეთს არასოდეს არ აუღიათ, ეს არ აუღიათ ასე 2004 წელში, როცა გარკვეული დამაბულობები, არც 2005-ში, არც 2006-ში და არც 2007-ში. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც უკვე რუსებმა პირდაპირ დაიწყეს ამის გაკონტროლება და სწორედ ამის გამო მე დამირეკეს.

მე მინდა გითხრათ, რომ ეს ინფორმაცია აქედან 15 წუთში გაეცნო უშიშროების საბჭოს წევრების დიდ უმრავლესობას და ამ ეტაპში მე უკვე ეჭვი არ მეპარებოდა რომ დაწყებულია აგრესია. მე როცა ვთქვი, რომ რატომ ეგონა 10%-იანი ალბათობა, ის, რომ 8-ში დაიწყებოდა 2-ში მეგონა, რომ ეს იყო ... მეც ვფიქრობდი, რომ, ალბათ, რუსეთი ვერ გაბედავს საერთაშორისო მდგომარეობის გამო საერთაშორისო იმიჯის გამო, რა თქმა უნდა, შეიძლება, გარკვეულწილად, ესეც შეცდომა შეიძლება იყო ის, რომ რუსეთი ვერ გაბედავს ასეთ აგრესიულ ქმედებას, მე მინდა გითხრათ, რომ რუსეთმა, თქვენ იცით, რომ როცა, ასე ვთქვათ, აჭარას ვათავისუფლებდით, მაშინ რუსეთის სამხედრო დივიზია იდგა აჭარაში და, უნდა ვთქვათ, რომ მაშინ ვერ გაბედა რუსეთმა მისი გამოყენება ჩვენს წინააღმდეგ.

მე მინდა გითხრათ, რომ ჩვენ როცა კოდორის ოპერაცია განვახორციელეთ იქ, აფხაზეთში და იდგა აფხაზეთში ჯარები რუსის ჯარები იდგა და მაშინაც შეეძლოთ მათ, ასე ვთქვათ, მცირე მაინც, ანუ იყო ეტაპები, როდესაც პუტინმა ეს გადაწყვეტილება მიიღო. ანუ რუსეთმა ეს გადაწყვეტილება მიიღო. ახლა თუ თქვენ, რომელიმე თქვენთაგანი თვლიდა, რომ, ასე ვთქვათ, რუსეთი ასეთ იგნორირებას გაუკეთებდა საერთაშორისო აზრს, ასეთი აგრესიულად მოიქცეოდა, მოდი, ასე ვთქვათ, დიდი უმრავლესობით, რომლისთვისაც მოულოდნელი იყო. დიდ უმრავლესობას არ ეგონა რომ რუსეთის ტანკები 21 საუკუნეში მაგისტრალზე იმოდრავებდნენ, თუმცა ერთი ინფორმაცია და ეს ინფორმაცია, რა თქმა უნდა, ჩვენ გვქონდა და მეორე იყო, რომ როდის მოველოდით ჩვენ ამას. მე კიდევ გითხარით 2-ში ან 3-ში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, როცა არ იყო დაწყებული არც ევაკუაცია, არ იყო დაწყებული არც მასობრივი შემოყვანა. ასეთი დამაბულობი კერები ხშირად ხდებოდა საქართველოში და ზოგჯერ ეს კერები მთავრდებოდა.

მინდა გითხრათ, რომ როდესაც მათი ჯარების შემოყვანა ხდებოდა ცხინვალში და გალში აფხაზეთში გაზაფხულზე, მაშინაც საკმაოდ დამაბულობი სიტუაცია იყო, მაშინაც ძალიან

ვინერვიულობდით ჩვენ, მაშინაც ჩვენ, ასე ვთქვათ, ჩვენ დასვლელ პარტნიორებს ვატყობინებდით ამის შესახებ, ყოველდღიურად, მაშინაც ვაფიქსირებდით ამ დარღვევებს, რასაც ვაკეთებდით იგივე 2-ში და 3-ში. მაგრამ ახლა შემოიყვანეს 5000-მდე ჯარისკაცი აფხაზეთში მასში, ივნისში, მაგრამ ისინი ხომ არ გადმოსულან, ასე ვთქვათ, შეტევაზე არც ერთ ქართული სოფლისთვის არ შეუტევიან, ასე ვთქვათ, მასობრივად არ დაუბომბიათ, არც კოდორი არ დაუბომბიათ, თუმცა ეს გეგმები ჰქონდათ.

რატომ გადაიფიქრეს მათ აფხაზეთში ამ ოპერაციის ჩატარება და რატომ შემდეგ ოსეთში, ამის შესახებ ახლა მე პასუხის თქმა გამიჭირდება, რითი იყო განპირობებული. ამიტომ ახლა ეს ვარაუდების თემაა, რა თქმა უნდა, ჩვენ ყველანი ვფიქრობდით, რომ ომი შეიძლება ყოფილიყო. მისი ალბათობა არ იყო 100%-იანი, მისი ალბათობა იყო 50%-იანი. როდის იქნებოდა ეს სამხედრო ოპერაციები ამის თქმა, რა თქმა უნდა, იქნებოდა ძალიან ძნელი, თუმცა კიდევ ერთხელ გეუბნებით, იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც მე თქვენ წარმოგიდგინეთ ამის დასკვნა კეთდებოდა, თუმცა ჩვენ გვიჭირდა თქმა, როდის განხორციელდებოდა ეს ოპერაცია.

**ლ.ვეფხვაძე.** ბატონო ვანო, ამ ჩანაწერთან დაკავშირებით კიდევ დავბრუნდები იმიტომ, რომ რამოდენიმე სკეპტიკოსი დასავლელი ჟურნალისტის ინფორმაცია წავიკითხე და მათი კითხვა არის ზუსტად ეს, რატომ იყო დაკარგული ეს ჩანაწერი ერთი თვის განმავლობაში, სად იყო ეს ჩანაწერი?

**ი.მერაბიშვილი.** მინდა გითხრათ, რომ ეს ჩანაწერი განხორციელდა გორში ჩვენს მიერ გადამტანი, ასე ვთქვათ, გორში მყოფი გადამტანი, ასე ვთქვათ, ოპერატორების მეშვეობით. და ეს ჩანაწერი, იმ დროს არ მოხდა მისი, ასე ვთქვათ, დაარქივება, ასე ვთქვათ. იმიტომ, რომ მაშინ გვიხდებოდა ძალიან დიდი რაოდენობის ინფორმაციის დამუშავება. ეხლა წარმოიდგინეთ, 7-ში საღამოს რა ინფორმაციის, ჩვენ როგორც დავთვალეთ ამ დროისთვის იყო, ჩვენ გვქონდა 4000-ზე მეტი საინტერესო ჩანაწერი. ხაზს ვუსვამ, საინტერესო ჩანაწერი, ანუ ის ჩანაწერი, რომელიც მოსმენილი იყო ყურით, მაგრამ არ იყო, ასე ვთქვათ, დოკუმენტირებულად გაკეთებული. საომარი ოპერაციების დროს და ოპერაციების შემდეგ მოხდა ევაკუაცია ამ დანაყოფის და შემდეგ ჩვენ დავიწყეთ ძეგნა, ასე ვთქვათ, ამ ჩანაწერის.

მინდა გითხრათ, რომ ამ ჩანაწერს ჩვენ, მართლა, ვეძებდით დიდი ხნის განმავლობაში იმიტომ, რომ მთავარი მიზანი იყო ის, რომ ეს იყო ოსურ ენაზე. ჩვენ გვყავს საკმაოდ შეზღუდული რაოდენობით ოსურის მცოდნე სპეციალისტები და ამ ჩანაწერის პოვნა დიდ რაოდენობაში მხოლოდ მოსმენის შემდეგ, ასე ვთქვათ, ხდებოდა, ამიტომ გარკვეული დრო დასჭირდა ამ მოსმენიების ძეგნას, მოძებნას, თარგმანს და მის, ასე ვთქვათ, შემდეგ დაფიქსირებას. მაგრამ, კიდევ ერთხელ გეუბნებით, ეს არის ფაქტი. ვისაც არ უნდა ამის დაჯერება იმას, ასე ვთქვათ, ვერ დააჯერებ, მაგრამ ეს არის ფაქტი, ეს არის დაფიქსირებული საერთაშორისო კომპანიის სერვერზე, ეს არის დაფიქსირებული . . .

**თამეჯდომარე.** ბატონო ვანო, დავაზუსტებ ერთ საკითხს სანამ ბატონი ლევანი . . . ჩანაწერებთან დაკავშირებით, რომ არ შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ თითქოსდა ხდება ყველა ჩანაწერების მოსმენა სანქციის გარეშე. თქვენ რომ დაადასტუროთ, რომ, აქ თქვენ აღნიშნეთ, რომ გადამტანის საშუალებით ხდებოდა საბრძოლო მოქმედებების . . .

**ი.მერაბიშვილი.** არა, არა, ის ოპერატორები ისხდნენ გორში.

**თამეჯდომარე.** დიახ, ამის თქმა მინდა, რომ დავაზუსტოთ, რომ შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოსდა მთლიანად ჩანაწერები და ხდება ეს არასანქცირებულად.

**ი.მერაბიშვილი.** ჩვენთან ყველაფერი ხდებოდა სანქცირებით და ვისაც საჭიროა იმისი ხდება მთლიანად. მაგრამ, მე მინდა კიდევ ერთხელ ვთქვა, რომ რესურსები შინაგან საქმეთა სამინისტროში არის საკმაოდ შეზღუდული, ამიტომ ჩვენი მოქალაქეების გარკვეულ ნაწილს, მცირე ნაწილს, აქვს გაზვიადებული წარმოდგენა ჩვენი სპეცსამსახურების რაოდენობის.

**თამეჯდომარე.** ამიტომაც ვაზუსტებ ამ საკითხს, ბატონო ლევან.

**ი.მერაბიშვილი.** კი ბატონო.

**ლ.ვეფხვაძე.** მე დასავლურ მედიაში გამოქვეყნებულ, ასე ვთქვათ, თემატიკას განვაგრძობ. თქვენ ბრძანეთ, რომ ცხინვალში გამოყენებულ იქნა სპეცდანიშნულების რაზმები.

**ი.მერაბიშვილი.** დიახ.



**ლ.ვეფხვაძე.** თავისთვად, ასე ვთქვათ, ამ სპეცდანიშნულების რაზმების აღჭურვა, სამხედრო აღჭურვაში არ იგულისხმება ტანკები. თუმცა, დასავლურ მედიაში ძალიან ხშირად, რამოდენიმე პუბლიკაცია იყო და ვიდეო, ასე ვთქვათ, სიუჟეტებიც იყო, გამოჩნდა, ასე ვთქვათ, ინფორმაცია, რომ ქართული მხარე იყენებდა სამოქალაქო პირობებში ანუ ქალაქში იყენებდა ტანკებს. შეგიძლიათ დაასაბუთოთ ანუ იყენებდა თუ არა ქართული მხარე ტანკებს ან რა სამხედრო ნაწილები იყო...(ხმა ადგილიდან) სპეცდანიშნულების რაზმების შეიარაღებაზე არ არის ტანკები.

**ი.მერაბიშვილი.** რამოდენიმე ერთეული სამხედრო, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ტექნიკა, მათ შორის, ტანკი იქნა გამოყენებული შესასვლელებთან საცეცხლე წერტილების ჩასაქრობად. მათი რაოდენობა, მე თუ არ ვცდები, არ აღემატებოდა 5-ს ერგნეთის მიმართულებით. მინდა გითხრათ, რომ ტანკის გამოყენება დასახლებულ პუნქტში არის ნაკლებად ეფექტური და, შესაბამისად, მისი გამოყენება მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ პრაქტიკულად არ მომხდარა, რაზეც მეტყველებს ის "ჰუმან რაიტ ვოტჩის" და სხვ საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები, რომ იყო მშვიდობიანი მოქალაქეებში ცხინვალში, იყო მინიმალური დანაკარგი. მე თუ არ ვცდები, ოფიციალურად, მთელი ამ სამხედრო ოპერაციების დროს დაფიქსირებულია 134 მშვიდობიანი მოქალაქის, ხაზი მინდა გავუსვა, გარდაცვლილი მოქალაქე. მინდა გითხრათ, რომ 95% მშვიდობიანი მოქალაქის, ვინც მაშინ ცხინვალში იყო, არ იყო მშვიდობიანი მოქალაქე ანუ მათი უმრავლესობა, იმის გამო, რომ ქალები და ბავშვები გასულელები იყვნენ, ზრდასრული მამაკაცების აბსოლუტური უმრავლესობა ამა თუ იმ ფორმით იყო გასაიდუმლოებულ ფორმირებაში ან, მინიმუმ, იმ დროს ატარებდა სამხედრო ფორმას. მათი გარჩევა, ასე ვთქვათ, მოქალაქისა და სამხედროსი ძნელი იქნებოდა. კი, რამოდენიმე ტანკი იქნა გამოყენებული ამ ოპერაციაში. მაგრამ მთელი ოპერაცია, 90% იყო სპეცდანიშნულების რაზმები, თუმცა, არ იგულისხმება, რომ 90% იყო პოლიციის დანაყოფების. ასე ვთქვათ, იყო, თუ არ ვცდები, გარკვეულ ეტაპზე თითქმის თანაბარი წარმომადგენლობა, ...40-60%-ზე იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმების, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ ტყვიამფრქვევებით და მსუბუქი შეიარაღებით. თუმცა, კიდევ ერთხელ გეუბნებით, გარკვეული ადგილები, მაგალითად, როგორც იყო თავდაცვის სამინისტროს შენობა, როგორც იყო უშიშროების შენობა, სადაც გამაგრებული იყო და ბაზები იყო, ამავე დროს "აკაციის" წინააღმდეგ გამოყენებულ შორი მანძილის არტილერია ჩვენი მხრიდან და კორექტირებას უკეთებდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები იმიტომ, რომ იქ რამოდენიმე შენობა მსხვილკალიბრიანი ქვემეხებით წინასწარ ევაკუაციის, წინასწარ მის გარშემო მშვიდობიანი მოქალაქეების, და ჩვენი ჯარების გამოყვანის შემდეგ ხდებოდა ამ სიმაგრეების წინააღმდეგ წერტილოვანი დარტყმების განხორციელება, და ეს ხორციელდებოდა მთელი 8, და 8-ში და 9 რიცხვის განმავლობაში.

**თამაჯდომარე.** ნიკა ლალიაშვილს, ბატონ დიმიტრი ლორთქიფანიძეს, და ბატონი აკაკი მინაშვილი.

\_\_\_\_\_ მე 2 შეკითხვა მაქვს ბატონო ვანო. ხომ არ ფიქრობთ თქვენ უკვე ამ გადასახედიდან, რომ საბრძოლო ოპერაციაში მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების ქვედანაყოფების მონაწილეობა, რომლებმაც ბრწყინვალე შედეგი აჩვენეს, თუ მათ ექნებოდათ საარტილერიო და ჰაერსაწინააღმდეგო მხარდაჭერა, ბევრად უფრო ეფექტური იქნებოდა, ვიდრე სრულიად მოუქნელი სამხედრო ბრიგადების გაშლა, რომლებსაც როგორც აღმოჩნდა, პრაქტიკულად, არ გააჩნდათ სათანადო მართვისა და კომუნიკაციის სისტემები, ანუ, საერთო შედეგი იგივე გვექნებოდა, იმ განსხვავებით, რომ ჩვენ გვექნებოდა ნაკლები დანაკარგი. და მეორე. უშვებთ თუ არა თქვენ, რომ სამხედრო მარცხმა შესაძლოა გამოიწვიოს იმედაცრუება, ერთგვარი ფრუსტრაცია, შეიარაღებულ ძალებში ოფიცერთა შემადგენლობაში, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას მოწინააღმდეგის სპეცსამსახურების მიერ საქართველოს სამხედრო მოსამსახურეების გადაადგილების მიზნით, მათი ოპერატიული დამუშავების მიზნით და ამ ფონზე დღის წესრიგში უნდა დადგეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სამხედრო კონტრაზვერვის სტრუქტურული გაძლიერება და ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურება. გმადლობთ.

**ი.მერაბიშვილი.** კი, ბატონო. პირველ შეკითხვასთან დაკავშირებით, მინდა გითხრათ, რომ მე ვერ დავყოფდი ასე რომ ვთქვათ, პოლიციის, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების ..... თავდაცვის წარმატებული, თავდაცვის სისტემის დანაყოფები წარუმატებელი, შეგიძლია მაგალითი მოვიტანოთ თავდაცვის სამინისტროს, ვთქვათ, იგივე თუნდაც მე-4 ბრიგადის სხვა დანაყოფების გმირული საქციელები და, მინდა გითხრათ, გამოგიტყდეთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში იყო შემთხვევა, როდესაც ...შინაგან საქმეთა სამინისტროს გარკვეულ დანაყოფებში ჩვენ მოგვიწია, ასე ვთქვათ, გარკვეული საკადრო ცვლილების განხორციელება. ამიტომ მოდით, ნუ განვასხვავებთ რაღაც ხაზს ნუ გავავლებთ.

მეორე. ღია სამხედრო ოპერაციების სპეცდანიშნულების გამოყენებას საერთოდ აზრი არა აქვს და სპეცდანიშნულების .....მომზადებულია სხვა ამოცანის შესასრულებლად და მისი არტილერიით, ავიაციით გამაგრება სრულიად შეუძლებელია, ის საერთოდ გამოდის, ასე ვთქვათ, სამხედრო სტრატეგიის სფეროდან და ასეთ ამოცანებს ვერ დაისვამს ვერც ერთი კვალიფიციური სახელმწიფო ყველას გააჩნია საკუთარი ამოცანა, სახელმეთო ჯარებს, ქვეითებს გააჩნია სხვა ამოცანა და სხვა შეიარაღება, სპეცდანიშნულებას ...სხვა ამოცანები

გააჩნია და სხვა შეიარაღება გააჩნია და მათი, ასე ვთქვათ, გაიგივება არის, წარმოდგინეთ ეხლა, ის, რომ მსხვერპლი იყო ნაკლები სპეცდანიშნულების რაზმებში. ეს არის იმით გამოწვეული, გარკვეული წვრთნა იმით, თვითგადარჩენის, იმიტომ, რომ სპეცდანიშნულების, საკმაოდ კარგად არიან მომზადებულები, ასე ვთქვათ, კარგად დაცულები და მძიმედ, კარგად დაცულები.

ამავე დროს, მინდა გითხრათ, რომ მთავარი პლიუსი, რაც იყო იმ სპეცდანიშნულების რაზმების, რომლებმაც გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს, მათ ჰქონდათ გარკვეული გამოცდილება. მე მინდა გითხრათ, რომ, მე მინდა გითხრათ, ერთი ციფრი მოგიტანოთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მარტო სამხრეთ ოსეთში, ომამდე დაკარგა 17 კაცი და ომში დაკარგა 14 კაცი. ანუ ეს ნიშნავს იმას, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის სულ ომი იყო ყოველთვის და ისინი გამოცდილები არიან. ხშირად მეთაურების შერჩევაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰქონდა გარკვეული უპირატესობა იმიტომ, რომ კონკრეტულ ოპერაციებში შეტაკებების დროს ჩნდება ადამიანის, მეთაურის ხასიათი. ამიტომ ჩვენ გარკვეული ფორა გვქონდა იმისათვის, რომ წაგვეხალისებინა წარმატებული ოფიცრები და არ მიგვეცა საშუალება, ასე ვთქვათ, გაუბედავი ან არაინიციატივანი მეთაურებისთვის წინ წაწეულიყვნენ და მსხვერპლის შემცირება იმანაც გამოიწვია, ეს ადამიანები ყოველდღიურად .... ეს ხალხი ომში ცხოვრობდა. განსაკუთრებით ის რაზმები, რომლებიც შიდა ქართლის სპეცდანიშნულების რაზმი, აფხაზეთში არსებული სპეცდანიშნულების, ისინი დღესაც ომში ცხოვრობენ. აი, ეხლაც დგანან პოზიციებზე, ეხლაც ელოდებიან იქ ბომბის შემოგდებას, თავდასხმას და ამიტომ ეხლა მათ რომ უფრო მეტი ეფექტურობა ექნებათ ამ შეტაკებაში ფაქტია. მაგრამ სამხედრო ოპერაციაში ესეთი ძალები არიან უსუსურები და მათი გამაგრება არტილერიით და, ასე ვთქვათ, ავიაციით ან ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებებით, მე მგონი, არ გამოვა.

რაც შეეხება, შეიძლება ... ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ამიტომ არის აუცილებელი, მე ვფიქრობ, რომ საზოგადოების კონსოლიდაცია და კონსენსუსი მთელი პოლიტიკური სპექტრის ისეთი პრინციპების გარშემო, როგორც არის თავდაცვა და ჯარი, რომელიც თუ პოლიცია შეიძლება კიდევ განიხილო, ასე ვთქვათ, თუმცა რაღაც სასწაული უნდა მოხდეს რაღაც პოლიტიკური ორიენტაციების და თავდაცვის სამინისტრო ამ შემთხვევაში არ უნდა იქნეს განხილული, მე მგონია, პოლიტიკური მოსაზრების გამო, როგორც პოლიტიკური სამინისტრო და შეიარაღებული ძალები. ამიტომ ყველა ჩვენთანაა უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ არ შევლახოთ პატივი და ღირსება იმ ოფიცრების და სამხედროების, რომლებიც მართლა გმირულად იბრძოდნენ. რა თქმა უნდა, მაქსიმალურად უნდა ვიმუშაოთ იმისათვის, რომ დავადგინოთ ის პოლიტიკური ფიგურები და არა მარტო პოლიტიკური ფიგურები, ვინც თავისი უღირსი საქციელით ზიანი მიაყენეს საქართველოს უსაფრთხოებას.

რაც შეეხება სამხედრო კონტრდაზვერვას, მე მინდა გითხრათ, რომ სამხედრო კონტრდაზვერვა ფუნქციონირებს შინაგან საქმეთა სამინისტროში და ის ყოველთვის ფუნქციონირებდა, ყოველთვის მუშაობდა და დღესაც აგრძელებს ის მუშაობას. თუმცა, რა თქმა უნდა, ამ სამხედრო კონტრდაზვერვამ სტრატეგია შეიცვალა მაშინ, როცა ოქრუაშვილი იყო შინაგან საქმეთა მინისტრი, გადავიდა, ასე ვთქვათ, ფარული ინფორმაციის მოპოვებაზე ნაცვლად ღია ინფორმაციაზე, რომელიც იქამდე იყო და სამხედრო კონტრდაზვერვას და კონტრდაზვერვას. ფლობს სრულ ინფორმაციას თავდაცვის სამინისტროში არსებული საქმიანობის შესახებ. თუმცა ეს არ ხორციელდება ძველი ტრადიციული საბჭოთა მეთოდით როგორც არ იყო, ეგრეთ წოდებული, "ასობები" სადაც ხდება, ასე ვთქვათ, იქ ღია კაბინეტების ან კაბინეტების შექმნა სამხედრო კონტრდაზვერვის კაბინეტების შექმნა სამხედრო ნაწილებში ესეთ რამეს ადგილი არა აქვს. სხვა საშუალებებით ჩვენ მოვიპოვებთ ინფორმაციას თავდაცვის სამინისტროში არსებული, როგორც სამხედრო, ისე მორალური, ისე პოლიტიკურ შეხედულებებთან დაკავშირებით.

**თავმჯდომარე.** ბატონ დიმიტრი ლორთქიფანიძეს.

**დ.ლორთქიფანიძე.** ბატონო მინისტრო, ჩემი კითხვა ეხება კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებას, დაკავშირებულს კოდორის ხეობასთან. კომისიამ გამოკითხა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, ბატონი მალხაზ აქიშბაია, რომელმაც განაცხადა, კომისიას განუცხადა, რომ 8 აგვისტოს გაემგზავრა თბილისიდან კოდორის ხეობის მიმართულებით, მაგრამ მიზეზთა და მიზეზთა გამო, რაზეც, რა თქმა უნდა, იმსჯელებს კომისია, ვერ შეძლო მან კოდორის ხეობაში ჩასვლა. მანვე განაცხადა, რომ არ იცნობს ზუსტად, არ ფლობს ინფორმაციას, უფრო სწორად, ზუსტად იმ პიროვნების თანამდებობის შესახებ, რომელიც მან დაასახელა გვართ, ეს გახლავთ, ვინმე ქარჩაიძე, რომელიც ხელმძღვანელობდა საერთო საორგანიზაციო საქმეს, მათ შორის, მოსახლეობის ევაკუაციას. თუმცა აღსანიშნავია, რომ კოდორის ხეობაში ამ დროს იმყოფებოდა, მისი ინფორმაციით, მთავრობის წევრი, ბატონი ჯაჭვლიანი. ჩემი კითხვა შემდეგში მდგომარეობს – შეაფერხა თუ არა აღნიშნული საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა, ბატონი მალხაზ აქიშბაიას არყოფნამ კოდორის ხეობაში და კონკრეტულად, ვინ არის ბატონი ქარჩაიძე? გმადლობთ.

**ი.მერაბიშვილი.** დიახ, პოლკოვნიკი, სიმონ ქარჩაიძე არის შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ

დავალებათა მთავარი სამმართველოს შტაბის უფროსი და ჩემს მიერ იგი დანიშნული იყო, ამავე დროს, კოორდინატორად ყველა პოლიციური დანაყოფის კოდორის ხეობაში. მე მიინდა ჩამოვთვალო, ამ დროს კოდორის ხეობაში, გარდა ამ, ასე ვთქვათ, დანაყოფისა, იმყოფებოდა კრიმინალური პოლიციის სპეციალური . . . . . . ბატალიონის კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ნავთობსადენის დაცვის გენინსპექციის და სხვადასხვა სამეურნეო სამსახურები და მთელი კოორდინაცია იყო ამის ხელში.

ამავე დროს, ჩენ გვქონდა, ასე ვთქვათ, გეგმა, წინასწარ შემუშავებული, რომ ნებისმიერი სამხედრო გართულების ან ნებისმიერი დაძაბულობის შემთხვევაში, ყველა მმართველობის ყველა ფუნქცია გადმოდიოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში იმიტომ, რომ იქ, ასე ვთქვათ, ადმინისტრაციული, ასე ვთქვათ, ფუნქციებს ჩვენ ვიღებდით ჩვენს ხელში იმიტომ, რომ სამხედრო ოპერაციების დროს იქ, სადაც პრაქტიკულად, მოწყვეტილია, ასე ვთქვათ, მიმდინარეობს, შეუძლებელი იყო, ასე ვთქვათ, იქ ესეთი კოორდინაციული საბჭოს გაკეთება და ყველაფერი ერთ ხელში იყო მოხვედრილი, მითუმეტეს, კომუნიკაციის საშუალება, მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს გააჩნდა იქ ადგილზე.

სიმონ ქარჩაძე არის გამოცდილი სამხედრო, რომელიც პირველი აფხაზეთის ომის დროს სერიოზულ ოპერაციებში იღებდა მონაწილეობას და მას გააჩნია დიდი გამოცდილება. ის არის საკმაოდ, ასე ვთქვათ, შედარებით ასაკიანი ადამიანი, ასე ვთქვათ, და მას ენდო ესეთი საპასუხისმგებლო ფუნქცია. იგი ხელმძღვანელობდა მთელი ამ წლების განმავლობაში იმ გამაგრებების იმ პრინციპების მშენებლობას, რომელიც იქ აშენდა და მან, ასე ვთქვათ, იმ ამოცანებს გაართვა თავი, რაც მას ჰქონდა დაკისრებული. სამწუხაროდ მათ მოუწიათ ამ იმის დატოვება მაგრამ ეს ფაქტი, რომ, პრაქტიკულად, არც ერთი დაღუპული, არც ერთი მიტოვებული მოქალაქე არ დარჩენილა კოდორში, ეს მეტყველებს მის კარგ ორგანიზებაზე იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში, ჩვენი მთავარი ამოცანა იყო მოქალაქეების გადარჩენა. არც ერთი მოქალაქე არ ჩარჩენილა იქ და არავინ არ გარდაცვლილა გზაზე.

**ა.მინაშვილი.** ბატონო ვანო, მე მიინდა 3 შეკითხვა დაგისვით, ზოგადად უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. პირველი. რა იყო საუბარი, იმასთან დაკავშირებით რუსული რეგულარული არმია აპირებდა თბილისში შემოსვლას – ეს განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა საფრანგეთის. ჰქონდა თუ არა საქართველოს ხელისუფლებას თბილისის დაცვის გეგმა იმ დღეებში? მე მესმის, რომ წინასწარ გეგმა შეიძლება არ ყოფილიყო, მაგრამ იმ დღეებში მოხდა თუ არა ოპერატიულად ამ გეგმის შემუშავება? მეორე. თქვენ ახსენეთ, ძალიან საგულისხმო ფაქტი. თუ არ ვცდები საომარი ვითარების დროს პრეზიდენტი საკაშვილი იმყოფებოდა რეგიონში. ვინ უზრუნველყოფდა პრეზიდენტის დაცვას ამ შემთხვევაში და რამდენად მიზანშეწონილი იყო მთავარსარდლის ყოფნა საომარ ვითარებაში ამ დროს და რისკს ხომ არ შეიცავდა ეს ქვეყნისთვის? და მესამე კითხვა. ასევე არის საუბარი იმასთან დაკავშირებით, რომ რუსული არმია მოადგა ლარსის საბაჟო გამშვებ პუნქტს. არის თუ არა ეს ინფორმაცია მართალი?

**ი.მერაბიშვილი.** კი, ბატონო, რაც შეეხება პრეზიდენტის გადაადგილებას კონფლიქტურ ზონაში, მიინდა გითხრათ, ეს არ ყოფილა ერთადერთი შემთხვევა. რამდენჯერ მოხდა ეს გადაადგილება მათ შორის..... ისა, ზუგდიდშიც იყო ჩასული პრეზიდენტი. მის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა პრეზიდენტის დაცვის სამსახური, საფრთხეს შეიცავდა, რა თქმა უნდა, შეიცავდა. მაგრამ მაშინ ეს საკითხი საერთოდ არ იხილებოდა.

რაც შეეხება თბილისთან შეტევას. მიინდა, რომ თბილისის დაცვის გეგმა, ასე ვთქვათ, კონკრეტული დაცვის გეგმა ზოგადი, რა თქმა უნდა, ყველა ..... დაცვის გეგმა, არსებობს გენშტაბში, მაგრამ კონკრეტული იმ სიტუაციაში, ჩვენ იქამდე არ გაგვაჩნდა კონკრეტული გეგმა, კონკრეტული დაგეგმარებით, გეგმა, შემუშავება დაიწყო ..... საფრთხე შეიქმნა და დაიწყო აქ გეგმის კეთება იქიდან გამომდინარე, რა სამხედრო ნაწილები იმყოფებოდა, რა შეიარაღება იმყოფებოდა იმ დროს თბილისში. და პრაქტიკულად მე მიინდა გითხრათ, რომ დაახლოებით 12-ში, სადამოსთვის უკვე საქართველოს შეიარაღებულ ძალებს და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰქონდათ, მოდი ასე ვთქვათ, გარკვეული რაოდენობის მობილიზებული სამხედრო შენაერთები და ამავე დროს სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება, რათა შეეჩერებინათ რუსული აგრესორების შემოსვლა თბილისში.

ეხლა რამდენად წარმატებით განხორციელდა ეს, ამის თქმა წინასწარ, არის, პრაქტიკულად, შეუძლებელი. ამავე დროს, მე მიინდა გითხრათ, რომ თუმცა უნდა გითხრათ, რომ ეს საფრთხე იყო საკმაოდ სერიოზული სამხედრო ... თუ ვიტყვით, ასე ვთქვათ, ამისი ერთადერთი შემთხვევითი იყო ის, რომ ზურგი არ ჰქონდათ ჩვენს მოწინააღმდეგეს არ ჰქონდა სერიოზულად ზურგი გამაგრებული ცხინვალში. იმიტომ, რომ უახლოესი რკინიგზის სადგური იყო, ასე ვთქვათ, თბილისიდან 300 კილომეტრში ანუ ვლადიკავკაზში. მე, პირადად, ვნახე ჩემი თვალით ლარსზე რუსული, მინიმუმ 50, რაც ჩანდა 50 – ერთეულიანი კოლონა ბრონეტექნიკის.

მე მიინდა გითხრათ, რომ ჩვენმა დანაყოფებმა, ჩვენ ჩავხერგეთ, ავაფეთქეთ გზები, რომელიც დაღესტნიდან

გადმოდიოდა და იქაც შევნიშნეთ დაახლოებით 400 – კაციანი დანაყოფი დაღესტან – საქართველოს საზღვარზე და ჩვენს მიერ იქნა, ასე ვთქვათ, ის გზა აფეთქებული. დღესაც ის გზა ჩაკეტილია. ამავე დროს ჩვენ ლარსის და დაღესტნის მიმართულება, ყველა შემთხვევაში ეს საკითხი, ფაქტია, რომ ისინი აპირებდნენ შემოსვლას თუ ის მიმართულებები საკმარისი არ იქნებოდა. ამავე დროს ჩვენი ინფორმაციით, გამოირიცხული არ იყო ფოთიდან სამხედრო დესანტის გადმოსხმა რაღაც, თუმცა მისი მასშტაბები არ იქნებოდა ისეთი სერიოზული, როგორც სხვა მიმართულებით წამოსვლა. მე მიმაჩნია, რომ ყველაზე სერიოზული შემოტევა არა ლარსზე, არამედ დაღესტნის მიმართულება იქნებოდა, იმიტომ, რომ ლარსი შეზღუდულია გეოგრაფიულად გარკვეულწილად.

**თავმჯდომარე.** ბატონო მინისტრო, თქვენი ინფორმაციებიდან ცალსახად ჩანს, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტი ძალიან ეფექტურად გაწვდიდათ ინფორმაციებს და, თუ შეიძლება ითქვას, ეხლა არის თუ არა შანსი დამაბულობის და სამხედრო ოპერაციის განმეორების. იმ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, რომელსაც ფლობს შსს?

**გ.მერაბიშვილი.** რაიმე კონკრეტულის თქმა ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია. მე შემიძლია ვთქვა, რომ აი დღეს, რომ გვქონდეს ჩვენ რაიმე სერიოზული ინფორმაცია უახლოეს დღეებში სამხედრო ოპერაციის განხორციელების, ნაკლებ სავარაუდოა და მთავარი არგუმენტი ამ შემთხვევაში მაინც კლიმატური პირობებია. იმიტომ, რომ ეხლა არის ზამთარი. თუმცა ყველაზე სერიოზული საფრთხე არის ის, რომ ასე... გარკვეული ბაზები, გარკვეული მომარაგება აქვთ განხორციელებული უკვე ცხინვალში, იქ განლაგებული გარკვეული ჯარის რაოდენობა. დღეს არსებული იქ რაოდენობა რაც არის ჯარების, არ არის საკმარისი ძალიან ფართომასშტაბიანი ოპერაციის განხორციელებისათვის. მისი შევსება დასჭირდება რუსებს, თუ ისინი დააპირებენ. თუმცა, მცირე, არამასშტაბური ოპერაციის განხორციელება ამ ძალებითაც შეუძლიათ, მინდა გითხრათ, რომ ჩვენ გვაქვს საკმარისი საშუალება, როგორც ინფორმაციის მოპოვების, ასევე პირველადი შეკავების და უახლოეს დღეებში მე ნაკლებად სავარაუდოდ მიმაჩნია. თუმცა, როგორც აღმოჩნდა ასეთი ტიპის პროგნოზების კეთება ძალიან ძნელია დღევანდელი რუსეთის პოლიტიკიდან გამომდინარე.

**ლ.ვეფხვაძე.** ბატონო ვანო, თქვენ ახსენეთ კოდორის ხეობა. თქვით, რომ იქ იყო კონკრეტული ადამიანი, ბატონო ქარჩაიძე, რომლის, ალბათ, ერთ–ერთი დამსახურებაცაა ისიც, რომ იქ არც ერთი, ასე ვთქვათ, მშვიდობიანი მოქალაქე არ შერჩა და არ გახდა ძალადობის მსხვერპლი. თუმცა, იგივეს ვერ ვიტყვით გორის რაიონის სოფლებზე, სადაც ათეულობით ჩვენი მოქალაქე შერჩა იმ პროცესების მერე იმ ე.წ. ბუფერულ ზონებში და გახდა ძალადობის მსხვერპლი. თუ იყო მსგავსი რაიმე გეგმა გორის რაიონის სოფლებთან მიმართებაში ან თუ იყო ვინმე პასუხისმგებელი იმაზე, რომ კონფლიქტის ასეთი მიმართულებით განვითარების შემთხვევაში სწორედ ის მოახდენდა, ის იქნებოდა პასუხისმგებელი სამოქალაქო პირების ევაკუაციაზე? ეს პირველი კითხვა.

მეორე კითხვა შეეხება, ისევ დავუბრუნდები მე გენშტაბში თქვენს შეხვედრას 7–ში. თქვენ გაეცანით გეგმას, ამ გეგმაზე, სავარაუდოდ, მოწინააღმდეგე რა, ანუ, რა მინდა ვიკითხო, ის მასშტაბები, რაც შემდგომ ვნახეთ, იმ მასშტაბებზე იყო თუ არა გათვლილი ის გეგმა, რომელიც იგეგმებოდა ჩვენს გენერალურ შტაბში, ანუ იყო თუ არა გათვლა იმ ზომის ინტერვენციაზე ჩვენი სამხედრო მოქმედება?

და მესამე, თქვენ გექნებოდათ, ალბათ, მუდმივი კონტაქტი ბატონ პრეზიდენტთან, მუდმივი კავშირი, ინფორმაციის მიწოდება. თქვენ ნახეთ ეს გეგმა, თქვენ გქონდათ თქვენი ინფორმაცია და ცხადია, დაგირეკავდათ პრეზიდენტი 12–ის ნახევრამდე და გკითხავდათ, რომ ბატონო ვანო, აი, თქვენ რას მირჩევთ. თქვენი რჩევა როგორი იყო იმ მომენტში, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?

**ი.მერაბიშვილი.** პირველი. რაც შეეხება გეგმის ადეკვატურობაზე მოწინააღმდეგის რაოდენობასთან დაკავშირებით. მე მინდა გითხრათ, რომ იმ დროს ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია, ინფორმაციაზე დაყრდნობით, ეს გეგმა ითვალისწინებდა მთელი თავდაცვის სამინისტროს, მთელი შეიარაღებული ძალების მაქსიმალური რაოდენობის ჩართვას ამ ოპერაციაში. ანუ. ის იყო გათვლილი მაქსიმალურ რაოდენობა მტრის ძალაზე.

**ლ.ვეფხვაძე.** არა, დავაზუსტებ, ეტყობა კითხვა ვერ გამოვთქვი კარგად. ჩვენი მხრიდან გასაგებია, იმათი მხრიდან რაზე იყო . . .

**ი.მერაბიშვილი.** ზუსტად მაგაზე მინდა საუბარი, ანუ იყო გათვლილი მოწინააღმდეგის მხრიდან მაქსიმალურ რაოდენობაზე. ანუ, ის ინფორმაცია, რომელიც ჩვენ გვქონდა მათი რაოდენობის შესახებ, მოწინააღმდეგის რაოდენობის შესახებ, მათი ნეიტრალიზაციისათვის საჭირო იყო მთელი ჩვენი ძალების ჩართვა. აქედან გამომდინარე, რაც მეორე შედეგად მივიღეთ ამაზე, ამის ადეკვატური იყო თუ არა ეს დაგეგმარება, უკვე ეს აზრს კარგავს იმიტომ, რომ ჩვენი გეგმა იყო მაქსიმალურად ყველა ჩვენი დანაყოფის, საშუალების, ჩართვა. ეს საკმარისი იქნებოდა თუ არ იქნებოდა იმ ძალების, რომელიც მეორე მხარეს იყო, ეგ უკვე მეორე საკითხია. ჩვენ

რომ გვქონოდა ინფორმაცია, რომ 10-ჯერ მეტი ჯარი წამოვიდოდა, 10-ჯერ მეტი შეიარაღება, ჩვენ მაინც მის წინააღმდეგ ამ რაოდენობის, ამ ტაქტიკის, ამ რაოდენობის შეიარაღებას გამოვიყენებდით. ამიტომ, შენ როცა შენს მაქსიმალურ დანაყოფებს რთავ ამ ოპერაციაში, ამ შემთხვევაში უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს, მე მხედველობაში მაქვს დაგეგმარების პერიოდში, მნიშვნელობა აღარ აქვს მოწინააღმდეგის რაოდენობას. თუმცა, მინდა გითხრა, რომ უკვე იმ დროისათვის იყო ძალიან დიდი რაოდენობა მოწინააღმდეგის შეიარაღების, ძალიან ბევრი შემოვიდა. ამავე დროს მინდა გითხრა, რომ ჩვენი ინფორმაციით, მინიმუმ, ორი ამდენი მომზადებული დანაყოფი იყო უშუალო სახლოვეს დარჩენილი იმ დროს, როდესაც გარკვეულად, ასე ვთქვათ, შენელდა სამხედრო კონფონტაცია საქართველოს ტერიტორიაზე. ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, ჩვენმა მოწინააღმდეგემ საქართველოში შემოიყვანა სამჯერ უფრო მეტი ძალა, ვიდრე მას თეორიულად შეიძლება დასჭირვებოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების და საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში.

რაც შეეხება ევაკუაციის გეგმას, მე მინდა გითხრა, რომ მთავარი ამოცანა ოპერაციის დაწყების წინ იყო ევაკუირება იმ ადამიანების, რომლებიც იყვნენ ალყაში და მათი რაოდენობა იყო საკმაოდ სერიოზული. ეს იყო, მინიმუმ, 15 000 დიდი ლიახვის ხეობაში და დახლოებით 10 000 პატარა ლიახვის ხეობაში და, ასე ვთქვათ, მთავარი აქცენტები, როგორც ჩვენი, ისე ადგილობრივი მმართველობის ორგანოების იყო, პირველ რიგში, მათი ევაკუაცია და, მოდი, ვაღიაროთ, რომ მათი ევაკუაცია მეტ-ნაკლები, ასე ვთქვათ, წარმატებით განხორციელდა. ანუ ის ფანჯარა, რომელიც ჩვენმა შეტევამ გახსნა, ვთქვათ, ორდღიანი ფანჯარა, საკმარისი გახდა, რომ დიდი ნაწილი, ასე ვთქვათ, იმ ადამიანების, ვინც ცხოვრობდნენ დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში, გამოვიდა. იქ დარჩა, როგორც წესი, ხანშიშესული ადამიანები, რომელთა დიდი უმრავლესობა შემდეგ შიმშილისაგან და უსახლკარობისაგან დაიხოცა, რადგანაც მათი, ამ სახლების დიდი უმრავლესობა განადგურებული იქნა ჩვენი მოწინააღმდეგეების მიერ.

რაც შეეხება შემდგომ ევაკუაციას, შემდგომი ევაკუაცია, მე მახსოვს, რომ ხორციელდებოდა, მაგრამ მასა, რაოდენობა საევაკუაციო ზონის იყო იმდენად ფართო, რომ ამას, ასე ვთქვათ, ორგანიზებულად ამის განხორციელება იქნებოდა შეუძლებელი. არ არსებობდა ამდენი ტრანსპორტი, თუმცა, უნდა ვთქვათ, რომ გორისა და მისი მიმდებარე ტერიტორიები 3 დღის განმავლობაში მოხდა სერიოზული ევაკუაცია, სერიოზულად შემცირდა აქ რაოდენობა მოსახლეობის. მე კიდევ ერთხელ გეუბნებით, აქ ცხოვრობდა, მინიმუმ, 300-400 ათასი ადამიანი ამ ე.წ. ბუფერულ ზონაში და მათი ორგანიზებული ევაკუაცია, პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნებოდა. ისევე, როგორც ჩვენ მაქსიმალურად შევეცადეთ, რომ არ მომხდარიყო ევაკუაცია ზუგდიდის, სენაკის, წალენჯიხის, ჩხორწყის მოსახლეობის. პირიქით, ჩვენ, ასე ვთქვათ, მაქსიმალურად ვცდილობდით, რომ პოლიციელების დაყენებას რუსი, ასე ვთქვათ, ოკუპანტების გვერდით, რომ არ ყოფილიყო პანიკა იმიტომ, რომ პანიკა შეიძლება გამოეწვია მასობრივ ევაკუაციას, მასობრივ ევაკუაციას გამოეწვია გარკვეული მსხვერპლი, გამოეწვია პანიკა, რომელიც შემდეგ გადაედებოდა სხვადასხვა რეგიონებს. ამიტომ ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობდით, რომ ეს განგვეხორციელებინა რბილად და მოდი, ვთქვათ, რომ მთავარი მსხვერპლი, დიდი მსხვერპლი გამოეწვია დანაკარგების, ასე ვთქვათ, ამ ბუფერულ ზონებში იყო გამოწვეული, ასე ვთქვათ, ოსი ბანდიტების მიერ რუსი სამხედროების ხელშეწყობით, ანუ . . . . . ყურადღება არ მიაქცის მათ ქმედებებს და მთავარი მსხვერპლი, რომელიც ჩვენ განვიცადეთ ამ რეგიონებში, იყო გამოწვეული სწორედ, ბანდიტური დაჯგუფებების ქმედებასთან დაკავშირებით, რაც ჩვენ, გარკვეულწილად, შევზღუდეთ აფხაზეთში. აფხაზეთში, პრაქტიკულად, თუ არ ჩავთვლით ერთ-ორ დასახლებულ პუნქტს დროები, იქ აფხაზი ბანდიტები შემოვიდნენ განმუხურში, რამოდენიმე სოფელში რამოდენიმე დღით. სხვა რეგიონში ჩვენმა პოლიციამ მოახერხა ის, რომ არც ერთი ბანდიტური დაჯგუფება აფხაზური არ გადმოსულა სამეგრელოს ტერიტორიაზე. სამწუხაროდ, ბევრ ტერიტორიაზე გორის რაიონში ამის გაკეთება ვერ მოხერხდა იმიტომ, რომ ჩვენ რამოდენიმე პოლიციელი დაკვარვეთ გორში და ამიტომ იქ, პოლიციის დარჩენა ვერ მოხერხდა და ამის საშუალება არ მოგვეცა არც რუსმა, ასე ვთქვათ, სამხედროებმა. განსაკუთრებით აგრესიულობით გამოირჩეოდნენ რუსი აგრესორები გორის რეგიონში იმიტომ, რომ ეს იყვნენ ის ოფიცრები, რომლებმაც დაკარგეს საკუთარი მებრძოლები ამ ომში და ამიტომ მათი აგრესიულობა გაცილებით უფრო სერიოზული იყო, ვიდრე იმ ჯარისკაცების, რომლებიც დასავლეთ საქართველოში იყვნენ. დასავლეთ საქართველოში, მათი აგრესიულობა, როგორც წესი, ქურდობით და ყაჩაღობით იყო გამოწვეული და ის. . . აქვე შევითხვა იყო აგიტაციასთან დაკავშირებით, ბოდიში, მე პასუხი ვერ გავეცი. ვთქვათ, იქ რაღაც, საუბარი სეპარატიზმის გაღვივება და ა. შ. ასეთი მცდელობები იყო, მაგრამ ეს იყო ძან უსუსური. წარმოიდგინეთ, პროკლამაციები რუსულ ენაზე იბეჭდებოდა და არ იყო არავითარი შენიღბული და, ასე ვთქვათ, უშუალოდ რუსები არიგებდნენ ამ პროკლამაციებს, რამაც არავითარი გავლენა არ იქონია საზოგადოებრივ აზრზე არც სამეგრელოში და არც გორის რაიონში.

————— ბატონო ვანო, ის მესამე კითხვა იყო ჩემი კიდევ, თქვენს რჩევასთან დაკავშირებით იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც 7-ში სადამოს გქონდათ. თქვენი რეკომენდაცია რა იყო იმ მომენტში. სამი მარტივი პასუხი შეიძლება ყოფილიყო, ხომ? მიშა, უნდა დავიწყოთ, მიშა, ჯერ არ გვინდა, ცოტა ხანი მოვიცადოთ და მიშა, არ გვინდა, აზრი არა აქვს. ამ სამიდან, დაუშვავთ, რომელი ურჩიეთ თქვენ.

**ი. მერაბიშვილი.** იმ დროს მე რასაც ვფიქრობდი, იმას ვფიქრობ, რომ ჩვენ სხვა გამოსავალი არ გვქონდა.

ერთადერთი, შეიძლება ამ გადმოსახედიდან გვეფიქრა, რომ ჩვენ ცოტა დავაგვიანეთ. ძნელი იქნებოდა წარმოსადგენად, როგორ შეიძლებოდა ... ყოფილიყო ეს ვთქვათ, ჩვენ ერთი დღით ადრე, ასე ვთქვათ, ანუ სანამ შემოვიდოდნენ რუსის ჯარები, იქამდე რომ დაგვეკავებინა ეს ტერიტორია, რა შედეგს მივიღებდით, ეს კიდევ საკითხავია. თუმცა რუსული აგრესიის მასშტაბები მასში მონაწილე სამხედროების რაოდენობა, გეოგრაფია შეტევის, მაინც გვაძლევს საფუძველს, რომ შედეგი ყველა შემთხვევაში ამ ეტაპზე იქნებოდა მსგავსი იმ შედეგს, რაც ეხლა დასრულდა ნებისმიერი წარმატების ან უფრო მეტი წარმატების შემთხვევაშიც კი.

**თავმჯდომარე.** ბატონო ვანო, აი თქვენ ეხლა ძალიან საინტერესო რამე თქვით, რომ ერთ-ერთი „ალბათ, ნუ, შეცდომა არა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, სხვანაირად განვითარდებოდა მოვლენები, ჩვენ, რომ ერთი დღით ადრე დაგვეწყო ეს, ამ ოპერაციის განხორციელება. აი დღევანდელი გადასახედიდან იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც დღეს თქვენ გაქვთ სამხედროების მოქმედება, თქვენი სპეცდანიშნულების დანაყოფების, ადგილობრივი თვითმმართველობის თუ ა.შ. აი მთელი ეს სპექტრი, რაც ერთი დიდი ჯაჭვია დღევანდელი გადასახედიდან აი თუ არსებობს რაიმე ისეთი, რაც თქვენ მიგაჩნიათ, რომ მაშინ იქნა დაშვებული შეცდომა. თუ შეგიძლიათ შეცდომებზე ისაუბროთ. აი, რა შეცდომები იყო მაშინ დაშვებული 7-მდე, 7-ის მერე და აი უკვე 14 - ის მერე, დავუშვათ.

**ვ.მერაბიშვილი.** აი ამაზე შეგვიძლია ჩვენ ვისაუბროთ დაახლოებით 20 საათი. მთავარი აღმოჩენა ჩემთვის იყო ის, რომ ბევრი ისეთი საკითხი, რაც მეჩვენებოდა, რომ ჩვენ კარგად არ ვიყავით ქართველები ორგანიზებულები ისეთ საკითხებში, ჩვენ აღმოჩნდით უფრო ორგანიზებულები. ბევრი ისეთი ადამიანი, რომელიც მე მიმაჩნდა, რომ ის არ იყო მან კარგად მომზადებული, აღმოჩნდნენ, რომ ხშირ შემთხვევაში სწორედ ისეთი ადამიანები უფრო მომზადებულები აღმოჩნდნენ და გამოავლინეს საკუთარი ნიჭი, ასე ვთქვათ. იყო შემთხვევები, რა თქმა უნდა, როდესაც მე მიმაჩნდა, რომ ამ საკითხში ჩვენ ძლიერები ვიყავით, ამ საკითხებში ჩვენ კარგი ხალხი გვყავდა, ასე კარგად მომზადებული, ფსიქოლოგიურად მომზადებული... აღმოჩნდა, რომ ჩვენ ნაკლებად, სუსტად ვიყავით მომზადებული. ეს არის ცხოვრება და ამაზე უსასრულოდ შეიძლება საუბარი. ყველა დანაყოფს თავისი შენიშვნები აქვს, ყველა, ასე ვთქვათ, ორგანოს, სახელმწიფო ორგანოს, რა თქმა უნდა, თავისი დასკვნების გამოტანა შეუძლია, მაგრამ ესეთი რაღაც გამოყოფა აქვს, კონკრეტული რაღაც ფაქტის, მე გამიჭირდება, იმიტომ, რომ ჩემთვის ეს იყო გაკვეთილი, როგორც ყველა თქვენთაგანისათვის და „ალბათ, მომავალში ჩვენ ამ შეცდომებს, რომელიც შეიძლება ჩვენ დავუშვით, გათვლებს, რომელიც ჩვენ გავაკეთეთ, გადავხედავთ და მივიღებთ, შესაბამის დასკვნებს გამოვიტანთ ამ გაკვეთილიდან, რომელიც ჩვენ ყველამ ერთად მივიღეთ.

**თავმჯდომარე.** ბატონო ვანო, ჩვენი კომისიის ერთ-ერთი მიზანია შევაფასოთ კონკრეტული ადამიანების, თანამდებობის პირების ადეკვატურობა ან გადაწყვეტილების შესაბამისობა იმ სიტუაციასთან რაც იყო. მე კითხვა შეცდომებზე მაგიტომ დავისვით, რომ ხომ არ მიგაჩნიათ, რომ კონკრეტული თქვენი აზრით, თქვენი გადმოსახედიდან კონკრეტული თანამდებობის პირი თუ არსებობს ვინმე, რომელმაც, თქვენი აზრით, იმ მომენტში დაუშვა შეცდომა ან ადეკვატური არ იყო, ან მიზანმიმართულად რაღაც წინასწარი განზრახვით ჩადიოდა დანაშაულს. და ამას მოვაცოლოთ კიდევ ერთი თემა. თუ არსებობს ადამიანები, რომლებიც თქვენი კონტრდაზვერვის მიერ არიან დაკავებული საოუკუპაციო ძალებთან თანამშრომლობის მოტივით.

**ი.მერაბიშვილი.** პირველ საკითხზე მინდა გაცეთ, რომ რაიმე სერიოზული ინფორმაცია მაღალი თანამდებობის, სერიოზული მაღალი თანამდებობის პირთან დაკავშირებით, რომლებმაც თავიანთი ქმედებით ანტისახელმწიფოებრივი ქმედება განახორციელა, ასეთი ინფორმაცია ამ შემთხვევაში, ამ წუთებში, მე არ გამაჩნია და არა მაქვს რაიმე საფუძვლიანი ეჭვი კონკრეტული თანამდებობის პირის წინააღმდეგ, რომ ის, იმ დონის პოლიტიკოსისა, თანამდებობის პირის შესახებ, რომლის განხილვა შეიძლება აქ ხდება, შეიძლებოდეს.

რაც შეეხება კონკრეტულ პირებთან დაკავშირებით, კონტრდაზვერვის დეპარტამენტს აქვს თუ არა დაკავებული. ჩვენ არა გვყავს ამ ეტაპზე დაკავებული არავინ, თუმცა მინდა გითხრათ, რომ ამ დროში საკმაოდ ბევრი ადამიანი გამოიკვეთა, რომელიც აქამდე ჩვენ არეალში არ იყო მოხვედრილი, და დღესაც ვაგრძელებთ მათ წინააღმდეგ თვალთვალს, რათა ვაკონტროლებდით რუსეთის ...დაზვერვის სამსახურების მოქმედებას. მე მინდა გითხრათ, რომ მას შემდეგ, რაც ამ ოპერაციის შემდეგ რუსეთის სადაზვერვო ქმედება საქართველოში თითქმის გაათმაგდა, ალბათ. რამოდენიმე ხანში ისინი უფრო გააძლიერებენ ჩვენ წინააღმდეგ ქმედებას.

მე მიმაჩნია, რომ მათი სპეცსამსახურების მუშაობა საქართველოში უფრო რთული გახდება ამის შემდეგ, ვიდრე იყო აქამდე, რადგანაც მათ გარკვეული გაკვეთილები გამოიტანეს, იმ გარკვეული მარცხების შემდეგ, რომელიც მათ ჰქონდათ შარშან, შარშანწინ. თქვენ გახსოვთ რამოდენიმე ათეული მათი სპეცსამსახურების წარმომადგენლები ჩვენ საქართველოდან გავაძევეთ, მაგრამ, დღეს მათი აქტიურობა უკვე თვალნათელია, მით უმეტეს, რომ იმ ბუფერული, იმ ზონებიდან, როგორც არის სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში, საკმაოდ დიდი

რაოდენობით სპეცსამსახურის წარმომადგენლები მუშაობენ ამ ზონებში.

მე მინდა ხაზი გავუსვა ერთ გარემოებას, რომ ძალიან აქტიურად ხდება ეგრეთ წოდებული რუსი მესაზღვრეების ჩაყენება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საზღვარზე და შეიძლება ეს ზოგიერთს გაუკვირდეს, არ მიაქციოს ამას მნიშვნელობა, რა მნიშვნელობა აქვს იქ თავდაცვის სამინისტრო იქნება რუსეთის, თუ მესაზღვრეები. მე მინდა შეგახსენოთ, რომ რუსეთში მესაზღვრეები ეს არის "ფეცსბეს" ანუ უშიშროების სამსახურის ნაწილები და მთავარი პრინციპი, ასე ვთქვათ, გასამხედროებული ნაწილი და მთავარი მიზანი იქ მესაზღვრეების ჩაყენების და ამ მესაზღვრეების იქ ყოფნის, არის სწორედ დივერსიული და სადაზვერვო საქმიანობის წარმოება და არა ფიზიკურად ტერიტორიების დაცვა. იმიტომ, რომ სრულიად გაუგებარია რატომ უნდა არსებობდეს რამოდენიმე დანაყოფი იქ – თავდაცვა, მესაზღვრეები და ა.შ. და ა.შ. მათი მთავარი ამოცანა იქნება საქართველოს წინააღმდეგ სადაზვერვო საქმიანობის განხორციელება. მაგრამ, მე ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ ჯერ შეგვწევს ძალა თავიდან ავიცილოთ ის საფრთხეები, რომელიც ჩვენ რუსეთიდან შეიძლება მოველოდეთ უახლოეს, მოკლე ხანებში.

**დ.ლორთქიფანიძე.** ბატონო მინისტრო, ძალზე დიდია ინტერესი იმ პირთან დაკავშირებით, რომელიც, ასევე, იღებდა მონაწილეობას აგვისტოს მოვლენებთან მიმართებაში, ეს გახლავთ როინ შავაძე, თუ შეგიძლიათ გვითხრათ იმაზე მეტი, ვიდრე აქამდე ცნობილია საზოგადოებისთვის ამ პიროვნებასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში მე ამ კითხვას ვსვამ გამომდინარე იმ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან, რის გამოც ჩვენთან კომიტეტშიც, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში ხშირად შემოდის განცხადება. გმადლობთ.

**ი.მერაბიშვილი** იმ ოფიციალური განცხადების, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააკეთა ამ საკითხთან დაკავშირებით, მე არაფრის დამატებით თქმა არ შემიძლია. ჩვენ არ გავგაჩნია არავითარი ინფორმაცია ამ ადამიანის რაიმე სახის რუსეთთან ან ოკუპანტებთან თანამშრომლობის შესახებ და ამის შესახებ ჩვენ არაერთხელ გავაკეთეთ ზეპირი განცხადება და უფრო სრული განცხადება ჩვენს ვებგვერდზე არის განთავსებული და მე კიდევ ერთხელ შემიძლია ეს გავიმეორო.

**თამაჯლომარე.** ბატონო ივანე, შეიძლება თუ არა აი ამ ინფორმაციიდან, რაც ინფორმაციაც ჩვენ დღეს მივიღეთ, რასაც თქვენ ფლობდით, შეიძლება თუ არა ამ პროვოკაციის თავიდან აცილება თუ, ვთქვათ, თუ ის აქ ცალსახად ჩანს, იგივე რაკეტების გამოყენება ... თუ რა მზადება მიმდინარეობდა, ცალსახად ჩანს თუ იმ ინფორმაციის საფუძველზე, რაც გვქონდა, აი თქვენ როგორ ფიქრობთ, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი, შესაძლებელი იყო თუ არა ეს ამ საფრთხე, ეს საფრთხე საქართველოს აცილებოდა.

**ი.მერაბიშვილი.** მე გეტყვით, რომ ამ საფრთხის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება იყო უფრო მეტი აქტიურობა დასავლეთის, მსოფლიო ჩვენი მეგობრების, ჩვენი მსოფლიოს თანამეგობრობის და მათი უფრო მეტი ზეწოლა რუსეთის წინააღმდეგ. იმიტომ, რომ მე ეხლა ვყვებოდი დინამიკას, როგორ ვითარდებოდა მოვლენები პირველიდან მოყოლებული და მე ვახსენე კოკოითის განცხადებები, რომ ის აპირებს ქართული სოფლის გაწმენდას ანუ ჩვენ ეს ოპერაცია, ვთქვათ, რომ არ განგვეხორციელებინა, ვთქვათ 8–ში არ დაგვეწყო, მე დაგიხატავთ სურათს როგორ იქნებოდა, ვთქვათ 9–ში, 10–ში ან 11–ში, შეიძლება 17–ში.

ამ რუსული ჯარების დახმარებით, კოკოითის მეთაურობით, ბრჭყალებში, მოხდებოდა ოკუპაცია პირველ ეტაპზე დიდი ლიახვის ხეობის სოფლების, დაპატიმრება იქ ადგილობრივი მოსახლეობის და ტრადიციული კოკოითისეული განცხადება, რომ მან გაწმინდა ხალხის მოთხოვნით, გაწმინდა ქართული სოფლები. იქ რამოდენიმე ათეული ქართველი ბანდიტი ან პოლიციელი ან, ასე ვთქვათ, განცხადება გაკეთდებოდა, ხდებოდა მერე გამოცხადება, რომ აი, მათი მშობლები მოვიდნენ და წაიყვანონ, დატყვევებული იმების, რაღაცების, დაჩოქება, იქ გადარჩენილი ვინმე. ანუ, გამოვიდოდა, რომ ეს რუსებმა კი არ შეუტიეს, ასე ვთქვათ, აიღეს ქართული სოფლები, არამედ ოსებმა გაათავისუფლეს ოსური სოფელი, ესე ვთქვათ, რომელიც რუკაზე ჩანს, როგორც ეს ტერიტორია ისევე, როგორც მოხდა თუ გახსოვთ 2004 წელს.

ანუ, ყოველ შემთხვევაში, მოხდებოდა, გამოჩნდებოდა ასე, რუსეთი დახატავდა სურათს, რომ პირველად ქართველებმა დაიწყეს აგრესია იმიტომ, რომ რუსეთი არ გამოჩნდებოდა მაშინაც კი, როცა ის მთლიანად, ასე ვთქვათ, გამოდევნიდა ქართველებს ქურთადან, თამარშენიდან, ერედვიდან თუ სხვადასხვა სოფლებიდან. ანუ, ეს გარდაუვალი იყო იმიტომ, რომ მოდი, ამოვიღოთ დინამიკა, არც ერთი განცხადება, რომელიც კოკოითს გაუკეთებია, არ ყოფილა, რომელიც მას არ შეუსრულებია. იმიტომ 2–დან მოყოლებული 7–ის ჩათვლით, ყველა განცხადება კოკოითთან დაკავშირებით, რომ იგი აპირებს გაწმინდოს ქართული სოფლები, ის რუსული ჯარის მეშვეობით აუცილებლად განახორციელებდა, ბრჭყალებში, თუ, რა თქმა უნდა, ჩვენ ამ პროცესში არ ჩავერევით და ჩვენ ამ პროცესში ჩარევა ყველა შემთხვევაში მოგვიწევდა იმიტომ, რომ ჩვენ ვერ დავუწყებდით ყურებას, რომ იქიდან ათასობით ქართველის დახვერტა, ქართველების გამოძევება საკუთარი სახლიდან, ქართული ტერიტორიების ოკუპაცია. ჩვენ ვერ დავუშვებდით იმას,

რომ ღიად მომხდარიყო რუსული შენაერთების მიერ ქართული ტერიტორიების გასუფთავება და თან, რაღაცა, ხაზის გასმა მინდა, ეს მოხდებოდა ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის მთავრობის სახელით.

**თავმჯდომარე.** ბატონო ვანო, რაც შეეხება სიტუაციას, ახალგორთან დაკავშირებით. რა ზრახვები გააჩნია, ეს, იგივე სეპარატისტულ რეჟიმს და რუსეთის ფედერაციას? რატომ ხდება დღეს, როდესაც ახალგორი არ შედის იმ საზღვრებში, რა საზღვრებისაც ოკუპირებული აქვთ დღეს და ბუფერული ზონა, რეალურად და იმ შეთანხმებებით, რომელიც არის, ოღონდ, ხელმოწერილი, შეთანხმებული საქართველოს პრეზიდენტისა და სარკოზის შორის, რა ღონისძიებებს ატარებენ საოკუპაციო ჯარები ახალგორში და რა ზრახვების გამოხატვა ხდება მათი მხრიდან ამ ეტაპზე? და რა არის მიზეზი იმისა, რომ ისინი არ ტოვებენ ბუფერულ ზონას, რომელსაც ახალგორი ჰქვია?

**ი.მერაბიშვილი.** ..... დაფიქსირებულია ორი დარღვევის კერა, ასე ვთქვათ, ცალსახად, დარღვევის კერა, სარკოზი – მედვედევის შეთანხმების, კერძოდ 7 აგვისტოს, მდგომარეობასთან.

**თავმჯდომარე.** თუ მდგომარეობის დაბრუნებასთან დაკავშირებით?

**ი.მერაბიშვილი.** დაკავშირებით. ეს საკითხია პერევის საკითხი, რომელიც. ასე ვთქვათ, გარკვეული მცირე პროგრესი მიმდინარეობს ამ მიმართულებით, ჩვენი შეიარაღებული პოლიციის სპეცდანიაციები არიან უშუალოდ პერევთან 50 მეტრის დაშორებით რუსების და ოსების ეგრეთ წოდებული სასაზღვრო ჯარებთან და იმედს გამოვთქვამთ, რომ საერთაშორისო ზეწოლა შედეგს გამოიღებს და, ასე ვთქვათ, საჩხერის რაიონის სოფელ პერევში აღდგება წესრიგი და ეს არის ნული – ახალგორის რაიონი, მინდა გითხრათ, რომ იქიდან მასობრივად ...

**თავმჯდომარე.** მე დავაზუსტებდი, ბატონო ვანო, კოდორის ხეობაც ფიქსირდება თუ არა. .... შეთანხმებული .....

**ი.მერაბიშვილი.** არა, კოდორიც ხეობა ფიქსირდება, მაგრამ აქ ლაპარაკი გვაქვს, სადაც მიმდინარეობს აქტიური საუბარი ....

**თავმჯდომარე.** დიახ.

**ი.მერაბიშვილი.** ზეწოლა რუსეთის მხარეზე ამ საკითხის სასწარაფოდ გადაწყვეტასთან დაკავშირებით. აი, ესეთი საკითხი, ესე დავსვათ საკითხი. პირველი, ამ შემთხვევაში, დგას პერევი, მეორე – დგას ახალგორი და მესამე – კოდორის ხეობა. რაც შეეხება ახალგორს, ახალგორში რუსული შენაერთების რაოდენობა უფრო მეტი იყო ორი კვირის წინ ვიდრე დღეს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მათ სერიოზულად შეამცირეს იქ დანაყოფის რაოდენობა. ალბათ, ზამთრის მოახლოებასთან დაკავშირებით მათ გათვითცნობიერებული აქვთ, რომ იქ ხალხის კვებით და ..... ახალგორში გაუჭირდებათ. ადგილი აქვს მასობრივ ყაჩაღობას ახალგორის რაიონში და ამ ბოლო დროს ძალიან იმრავლა ახალგორის ოსური, ეთნიკურად ოსი მოქალაქეების გამოსვლამ, ასე ვთქვათ, ახალგორის რაიონიდან, რადგანაც მათთვისაც გაუსაძლისი მდგომარეობაა ახალგორის რაიონში.

მინდა გითხრათ, რომ მინიმუმ, 300 ეთნიკურად ოსი საქართველოს მოქალაქეების გამოსვლა მოხდა ახალგორის რაიონიდან. მე ვფიქრობ, რომ რუსეთისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ახალგორის, ასე ვთქვათ, კონტროლი იმიტომ, რომ იგი აღიარებს რა სამხრეთ ოსეთს მის საზღვრებში, რომელიც იყო, ასე ვთქვათ, საბჭოთა კავშირის დროს და რუსეთი მაქსიმალურად შეეცდება ამ ტერიტორიის შენარჩუნებას. მე ვფიქრობ, რომ დასავლელი ჩვენი პარტნიორები, საერთაშორისო დამკვირვებლები, მაქსიმალურ ზეწოლას განახორციელებენ, არ შეწყვეტავენ ზეწოლას რუსეთის მხარეზე, რათა ეს სადავო საკითხები იყოს გადაწყვეტილი ცივილიზებულად და საერთაშორისო წესების შესაბამისად.

**დ.ლორთქიფანიძე.** ბატონო მინისტრო, შეიძლება ეს კითხვა უნდა დამესვა მე თავის დროზე გენერალური შტაბის ხელმძღვანელის წინაშე, მაგრამ შეიძლება გამომჩნა ეს კითხვა. თუ გაქვთ ინფორმაცია, თუ შეგიძლიათ რომ გვითხრათ იმიტომ, რომ შეიძლება საზოგადოების გარკვეული ნაწილი არ ფლობდეს ინფორმაციას თუ რა მასშტაბებს ეხება საკითხი, როცა საუბარია ამ 58–ე არმიისაზე. რამდენადაც ზოგადად არის ჩემთვის ცნობილი, არმია შედგება დივიზიებისგან, დივიზიები შედგებიან პოლკებისგან და ა. შ. და ა. შ. თუ შეიძლება, რომ ამის შესახებ ორიოდე სიტყვით გვითხრათ?

**ი.მერაბიშვილი.** 58–ე არმიის შემადგენლობაში შედის 80 ათასი სამხედრო მოსამსახურე. მაგრამ მე კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ, რომ 58–ე არმიის გარდა, როგორც მინიმუმ, 58–ე არმიის დანაყოფების მხოლოდ, ანუ მთელ ამ შენაერთში, რომელიც საქართველოში შემოვიდა 58–ე არმია არის მხოლოდ 20% მთელი იმ დანაყოფის, მთელი პირადი შემადგენლობის. და მინდა გითხრათ, ასეთი რამე, 58–ე არმიის მეთაური ხრულოვი იქნა



დაჭრილი, ქართული თავდაცვის სამინისტროს მოიერიშეების მიერ. ეს არის რუსეთის ისტორიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველი შემთხვევაა, როდესაც არმიის მეთაური უშუალოდ მოხვდა ცეცხლის ქვეშ და დაიჭრა. ასეთი ფაქტი არ არსებობს რუსულ ისტორიაში, შეგვიძლია, ვთქვათ, მეორე მსოფლიო ომის მერე ასეთი ფაქტი არ მომხდარა და ყველაზე მეტი დანაკარგი და ყველაზე მეტი გაქცეული არის 52-ე არმიიდან. აქედან გამომდინარე, ყველაზე ცუდად საკუთარი თავი ამ ომში რუსული არმიიდან მხოლოდ 52-ე არმიამ აჩვენა. 52-ე არმია იყო მთავარი იმედი რუსული სამხედრო მანქანის, მაგრამ, მის გარდა კიდევ ერთხელ გეუზნებით, სხვა დივიზიები, სხვა არმიები, სხვა შენაერთები იქნა ჩართული ამ ფრონტში. პრაქტიკულად, ევროპული ნაწილი რუსეთის ევროპული ნაწილი და რუსეთიდან სამხრეთით ყველა სამხედრო რჩეული ნაწილი იქნა გადმოსული საქართველოში. ამიტომ 52-ე არმია იყო მხოლოდ მცირე ნაწილი იმ დაჯგუფებისა, რომლის მეშვეობითაც განახორციელა აგრესია რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ.

**თავმჯდომარე.** გაბაშვილს სურდა რაღაც საკითხი.

**გ.გაბაშვილი.** არა, მე უბრალოდ, დაზუსტება მინდოდა. ოსები, რომელიც ახალგორიდან გამოდიან ისინი ცხინვალში გადიან როგორც დევნილები თუ თბილისში, აქეთ მოდიან?

**ი.მერაბიშვილი.** რომლებიც, ახლა, ცხინვალში გადიან, რა თქმა უნდა, ეხლა ის ჩვენი... მასზე ინფორმაცია ნაკლები გვაქვს. ისინი გადმოდინან აქეთკენ მცხეთის რაიონში და, ასე ვთქვათ, თბილისში და ა.შ. ისინი, დღეს ბევრი მათგანი თბილისში და მცხეთის თუ დუშეთის რაიონში იმყოფება იმ სხვა ლტოლვილებთან ერთად, რომლებიც ამ რეგიონებიდან არიან. გვინდა ვთქვათ, რომ ასე ვთქვათ, პრაქტიკულად, ნულოვანი თანამშრომლობაა ახალგორის ოსური წარმოშობის ოსებსა და, ვთქვათ, ოკუპანტ რუსებს შორის. მინდა გითხრათ, რომ მათ ვერც კი მონახეს ადგილობრივი მოქალაქე, რომელიც ადმინისტრაციულ ხელმძღვანელად დაინიშნებოდა ახალგორში და ყოფილი გამგებელი ანუ გამგებელი, რომელიც დანიშნეს ახალგორის ოკუპაციიდან ერთ კვირაში დაბრუნდა ვლადიკავკაზში. იმან გააგრძელა, ასე ვთქვათ, მაღალსართულიან კორპუსში ლიფტორის თანამდებობაზე მუშაობა.

**თავმჯდომარე.** ბატონო დიმიტრი.

**დ.ლორთქიფანიძე.** ბატონო მინისტრო, კითხვა, რომელიც მინდა დაგისვთ ჩემი მხრიდან არაერთხელ გაუღერებულა. გარკვეულ იუმორსაც იწვევს ჩემს კოლეგებში. კი, მაგრამ მე ეს კითხვა უნდა დაგისვთ თქვენ. მეტსაც გეტყვი, მე გარკვეულწილად ვემზადებოდი კიდევაც ამ შეკითხვისთვის და საშუალება მომეცა, რომ სხვადასხვა უწყებათა ხელმძღვანელი პირების გამოკითხვის შედეგად კიდევ უფრო გამემდიდრებინა წარმოდგენა, თუ რა მდგომარეობაშია დღეს საქართველოში სამოქალაქო თავდაცვის სისტემა. კითხვა თავისი შინაარსით შემდეგში მდგომარეობს, თქვენი სტრუქტურული ქვედანაყოფი თქვენდამი რწმუნებული სამინისტროსი გახლავთ საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტი. მე მაინტერესებს, ზოგადად რამდენად პასუხობს აღნიშნული დეპარტამენტი ქვეყნის სამოქალაქო თავდაცვის წინაშე არსებულ გამოწვევებს, ამავე დროს მინდა შეგახსენოთ, რომ დაზვერვის დეპარტამენტის შეფმა, რომელიც ადრე წარმოადგენდა საგარეო უწყებას, მე მას დავუსვი შეკითხვა იმ საერთაშორისო კონვენციის ნორმების შესრულებასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს სამოქალაქო თავდაცვის საკითხებში საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 13 ოქტომბერს რატიფიცირებულ ხელშეკრულებას, მან განაცხადა რომ კონკრეტულ კონვენციებთან მიმართებაში, კონკრეტული უწყებები არიან პასუხისმგებელი პირები და სავარაუდოდ, მან დაასახელა, რომ ამ კონვენციასთან დაკავშირებით სწორედ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უნდა ყოფილიყო პასუხისმგებელი. თუმცა მოგვიანებით, ჩვენ მიერ კომისიის მიერ წარმოდგენილი იქნა და მოპოვებული იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილება 2008 წლის 21 მარტის, რომელიც ეხება საგანგებო სიტუაციათა მართვის სამთავრობო კომისიის შექმნას. ეს კომისია შეიქმნა აგვისტოს მოვლენების დაწყებამდე, მოვლენებამდე 4- თვე –ნახევრით ადრე, მაგრამ ყველამ ღია ეთერში საჯაროდ მოვისმინეთ ბატონი ყოფილი პრემიერ-მინისტრისგან, ბატონი ვლადიმერ გურგენიძისგან, რომ ისევ და ისევ მიზეზთა და მიზეზთა გამო კომისიამ ვერ შეძლო შეკრება და მუშაობა. აქედან გამომდინარე, ჩვენ კიდევ ერთხელ დავინტერესდით, არსებობდა თუ არა, სხვადასხვა უწყებებს ჰქონდათ თუ არა თავისი კონკრეტული სამოქმედო გეგმები. ჩვენთვის მეტად სასიამოვნო აღმოჩენა იყო ბატონი ალექსანდრე კვიციანიშვილის მიერ წარმოდგენილი სამოქალაქო თავდაცვის გეგმა და ამას წინათ, ჩვენ მოვიპოვეთ, ოღონდ ეს გახლავთ მე მინდა გითხრათ, რომ ეს არის ბლანკი, რომელზეც გამოსახულია სამოქალაქო თავდაცვის გეგმა, მარჯვენა მხარეს არის გამოსახული – ვამტკიცებ სამოქალაქო თავდაცვის უფროსი, მინისტრი, დაწესებულების ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ხოლო მარცხნივ – შეთანხმებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტის დირექტორი. არსებობს აი ასეთი დოკუმენტი. მე მართალი გითხრათ, ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ, რომ ეს დოკუმენტი შეთანხმებულია თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. აი ასეთი კომპლექსური კითხვა მაქვს ზოგადად სამოქალაქო თავდაცვასთან დაკავშირებით და კონკრეტულად, ამ ფაქტთან დაკავშირებითაც, თუ შეიძლება რომ გვიპასუხოთ. გმადლობთ.

**ი.მერაბიშვილი.** დიდი მადლობა. კონკრეტულ ამ ფაქტთან დაკავშირებით მე მინდა გითხრათ, რომ დღეს

მოქმედი ნორმატიული აქტებით ჩვენი საგანგებო სიტუაციათა ....დეპარტამენტი ახორციელებს კოორდინაციას ყველა სახელმწიფო უწყების და სამინისტროს მატერიალური რეზერვების და სამოქალაქო, ასე ვთქვათ, განსაკუთრებულ სიტუაციებში, ასე ვთქვათ, გასატარებელი ღონისძიებების გეგმასთან დაკავშირებით .აქ შედიან არა მარტო სამინისტროები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და ყველა სამინისტროს გააჩნია საკუთარი გეგმა. მეტ –ნაკლები ,ესე ვთქვათ, ინტენსიურობით ეს დაწყებული ჯანდაცვის სამინისტროდან ადგილმომართულების ორგანოებიდან, ეს იქნება, თავდაცვის სამინისტრო, გარემოს დაცვის სამინისტრო, და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. განახლება,... ეს გეგმა მიმდინარეობს, გეგმიურად მიმდინარეობს ამაზე მუშაობა ეს არის, ჩვენი რუტინა, ყველა სამინისტროს გააჩნია საკუთარი ხელშეუხებელი რეზერვები და ჩვენ ,ასე ვთქვათ, ხშირად, არის საუბარი,რომ ამ, საქართველოში არ უნდა... მარტივი რეზერვების რაღაც საწყობი, რომელშიც ინახებოდა გარკვეული ნივთები . მე მინდა გითხრათ, რომ ჩემი მინისტრობის დროს ერთ–ერთი,რითაც ძირითადად დაკავებული ვიყავით, რომ ეს ტერიტორია, რომელიც არსებობდა დიდუბეში, ეს იყო ბოლოს, ალბათ 75 წელს, შევსებული ბოლო, ასე ვთქვათ ნივთები, რომელიც შეტანილი იქნა ამ საწყობში იყო 75 წელს, თუ არ ვცდები. 99% აქ იყო ჯართი ან სხვა გაფუჭებული ნივთები არც ერთი მათგანი არ იყო ვარგისი, გარდა მარილისა და მინდა გითხრათ, რომ მარილიც შარშან იყო რეალიზებული . თუ გახსოვთ, კრიზისი იყო საქართველოში გარკვეული მარილის, მაშინ მოხდა რეალიზაცია იმ მარილის, თუმცა ამ მარილის ხარისხიც, ეხლა არ იყო იდეალური. არც ერთი ნივთი, რომელიც ამ ბაზაზე იყო შენახული, არ აკმაყოფილებდა არავითარ ელემენტარულ მოთხოვნას. შემდეგ ჩვენ მიერ იქნა გადაწყვეტილი, სტატისტიკაში, ჩვენ ამაზე როცა ვმსჯელობდით, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ერთი ბაზის შექმნა, ასეთი ბაზის შექმნა, შენარჩუნება სრულიად უაზროა. ამიტომ ყველა უწყებას, ყველა სამინისტროს დაევალა საკუთარი ხელშეუხებელი მარაგების გაკეთება , როგორც დაწყებული მედიკამენტებიდან, დამთავრებული საწვავით, კვების პროდუქტებით და ასე შემდეგ. სამინისტროებს უნდა განეხორციელებინათ მუდმივი განახლება ამ, ასე ვთქვათ, პროდუქტების, ნივთების თუ მედიკამენტების. თვითონ მოგეხსენებათ დღეს თანამედროვე მოთხოვნიდან გამომდინარე ყველა სპეციალურ პროდუქტს ან ნივთს გააჩნია საკუთარი შენახვის პირობები და შეუძლებელი იქნებოდა ერთიან სტრუქტურაში ამის შენახვის პირობების უზრუნველყოფა. მე მინდა გითხრათ, რომ ჯანდაცვის სამინისტრო ამ მიმართულებით ერთ–ერთი ყველაზე აქტიური იყო და ჯანდაცვის სამინისტროს ხელშეუხებელი რეზერვების საკმაოდ დიდი მარაგი გააჩნდა და მისი მხოლოდ 3%-ის, თუ არ ვცდები, 5%-ის, გამოყენება მოხდა ამ საომარი ოპერაციების დროს, რაც მის მაღალ მომზადებულობაზე მეტყველებს. მსგავსი შედეგები ჰქონდა იგივე თავდაცვის სამინისტროს ხელშეუხებელ რეზერვებს. მე მინდა გითხრათ, რომ ომის პერიოდში, ძალიან აქტიურად იმუშავა სამთავრობო კომისიამ, რომელმაც მოამარაგა მთელი საქართველოს ტერიტორია ყველა ტიპის პროდუქტისა, პროდუქტით, განსხვავებით ჩვენი მეზობლებისაგან. მოგეხსენებათ სომხეთში, პრაქტიკულად, შეიქმნა დეფიციტი ყველა პროდუქტზე და რიგები გაჩნდა. საქართველოში ,პრაქტიკულად, რიგები არ ყოფილა არც ერთი დასახელების პროდუქტზე, საერთოდ არ ყოფილა ასეთი რიგები მიუხედავად იმისა, რომ იყო გაწყვეტილი კავშირი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის, არც აღმოსავლეთ საქართველოში და არც დასავლეთ საქართველოში, არც ერთ რაიონში ,არც ერთი დეფიციტი არ შექმნილა, არც ნავთობზე, არც ბენზინზე, არც საკვებ პროდუქტებზე, არც ელექტროენერგიაზე. მე მინდა ვთქვა,რომ ამ უწყებებმა, ყველა უწყებამ ამ მიმართულებით ძალიან კარგად იმუშავა და მე პირადად მინდა გითხრათ, რომ მე ვარ გაკვირვებული, რომ ქართულმა სახელმწიფომ შეძლო, რომ არც ერთ რაიონში არ ყოფილა არაფრის დეფიციტი. მოგეხსენებათ, პატარა ჭორის გავარდნასაც კი რეგიონებში ხშირად მოჰყვება ხოლმე გარკვეულ პროდუქტებზე დეფიციტის შექმნა, მაგრამ ეს იყო პირველი შემთხვევა, სადაც, სხვათა შორის, ომის დროს საქართველოში ყველგან ყველაფერი იყიდებოდა ფიქსირებულ ფასად, ვალუტა იყო მყარად ფიქსირებული და ,ალბათ, თქვენ ვერც ერთ ფაქტს ვერ მომიტანთ, რომ სადმე რამე ჩავარდნა იყო ან მედიკამენტების ან კვების პროდუქტების, ან საწვავის მიმართებაში. ამ სქემამ კარგად იმუშავა და მომავალშიც, მე მგონი, ამ მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ, რომ ესეთი რეზერვები შეიქმნას არა ერთ ადგილას და არა ერთ უწყებაში, არამედ სხვადასხვა უწყებებში და სხვადასხვა ადგილას. რაც მთავარია, რეგიონებისთვის უნდა იყოს გადანაწილებული იმიტომ, რომ კრიზისულ სიტუაციაში სწორედ კომუნიკაციის პრობლემა ხდება ხოლმე. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს მაინც საკანონმდებლო, ასე ვთქვათ, ინიციატივის შედეგია. მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ გვაქვს ალებული ვალდებულება, ნატოს სტანდარტებიდან გამომდინარე ავაწყოთ ჩვენი საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტი და ,ალბათ, ჩვენ მომავალში ამ გეგმის შემუშავების დროს ნატოს სტანდარტებით უნდა ვიმუშაოთ, რადგანაც საბოლოო მიზანი ჩვენი არის ნატოში გაწევრიანება და ერთ–ერთი მთავარი პირობა ჩვენი ნატოში გაწევრიანების იქნება, ჩვენთან არსებული ანალოგიური სტრუქტურების ნატოსთან მისადაგება, რათა ჩვენ არ გვქონდეს რაღაც გამორჩეული სხვა ტიპის სისტემა, რომლის გადაკეთებაზეც შეიძლება მერე ფული დაგვებარჯოს ან გარკვეული ბარიერი იყოს ნატოში გაწევრიანებისათვის. უფრო დაწვრილებით ამასთან დაკავშირებით ჩვენ შეგვიძლია მოსაზრებები მოგაწოდოთ.

**დ.ლორთქიფანიძე.** დიდი მადლობა პასუხისთვის. ბატონო მინისტრო, მიუხედავად ამისა, მე მაინც, გამომდინარე იქიდან, რომ ვმუშაობდი ამ საკითხზე, მაქვს კიდევ რაღაც ინფორმაციები და მინდა თქვენ

შეგეკითხოთ, რომ არსებობს თქვენი სამინისტროს ხსენებული დეპარტამენტი, საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტის პარალელური სტრუქტურა ქალაქის სამსახური ასეთი, საგანგებო სიტუაციათა მართვის საქალაქო სამსახური. რამდენად საჭიროა ეს ორი პარალელური სტრუქტურა რომ არსებობდეს ერთმანეთთან? გარდა ამისა, მინდა შეგახსენოთ, რომ რამდენადც მე მაქვს ინფორმაცია არა 75-ში არამედ 86 წელს იქნა შეტანილი. ბოლო რეზერვების განახლების პროცესი მოხდა, ეს არის "თბილკონტრაქტის" მიერ განხორციელებული, ოღონდ ეს ვგულისხმობ ქ.თბილისს.

**ი.მერაბიშვილი.** რა იქნა შეტანილი?

**დ.ლორთქიფანიძე.** ბატონო?

**ი.მერაბიშვილი.** რა იქნა შეტანილი?

**დ.ლორთქიფანიძე.** რეზერვების განახლების პროცედურა განხორციელდა ბოლო, 1986 წელს. ამ პერიოდშიც და მომდევნო ხანსაც ფუნქციონირებდა ქალაქის მერიასში შპს, ასეთი გახლდათ, "თბილკონტრაქტი", რომელიც გაუქმებულ იქნა. ანუ საქართველოში არის თუ არა დღეს ესეთი ლოჯისტიკური სამსახური, რომელიც იზრუნებს განახლებაზე ამ რეზერვების? თქვენ სრულიად მართებულად ბრძანეთ, რომ საჭიროა მომავალში, მაგრამ მე ხაზი გავუსვი იმას, რომ დღესდღეობით ვფიქრობ ამ მიმართულებით საკმაოდ სერიოზული ...

**თაგმჯდომარე.** ბატონ ლევანს სურდა...

**ი.მერაბიშვილი.** მაშინ დავაზუსტებ, მე გითხარით, რომ ვიმუშავებთ ამ მიმართულებით, რომ ჩვენს მიერ შემშავებული მეთოდის იყოს ნატოს სტანდარტების შესაბამისად. ამ მიმართულებით ჩვენ მზადა ვართ სათანამშრომლოდ. რაც იყო, განმარტებას გავაკეთებ, რომ ანალოგიური სტრუქტურა არსებობს ქალაქში, ანალოგიური სამსახური არსებობს ყველა რაიონში. იმიტომ, რომ ჩვენთან არსებული ეს დეპარტამენტი არის ძალიან მცირერიცხოვანი. იგი ეწევა მხოლოდ კოორდინაციას სხვადასხვა უწყებებში თვითმმართველობის ორგანოებში არსებული სამსახურების. უფრო მეტიც, ამ დეპარტამენტში შედის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური, რომელშიც მუშაობს რამოდენიმე, 25 კაცი ჩვენთან. იგი არის მხოლოდ სტანდარტების დამწესებელი და კოორდინატორი მთელი საქართველოს მასშტაბით არსებული სახანძრო სამსახურების. ყველა სახანძრო სამსახური არის მუნიციპალური და, ჩვენი, სამინისტროში არსებული დეპარტამენტიდან მხოლოდ კოორდინატორი და არა განხორციელებელი ამ საქმის, ამ ტიპის მუშაობის, ჩვენ, მზადა ვართ, ამ მიმართულებით აქტიურად ვიმუშაოთ თქვენთან ახალი კანონის შემუშავებაში.

\_\_\_\_\_ ბატონო ვანო, ძან მოკლე კითხვა მაქვს, რატომ დაევალა, თქვენ როგორ ფიქრობთ, შინაგან საქმეთა სამინისტროს, აი ამ სახლების აშენება? რატომ მაინცდამაინც შინაგან საქმეთა სამინისტროს?

**ი.მერაბიშვილი.** იმიტომ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს გამოცდილება ძალიან მოკლე ვადაში, ასე ვთქვათ, სერიოზული მშენებლობის განხორციელების, მინდა გითხრათ, რომ პირველად შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა კოდორში იქ სახლების აღდგენა, სახლების მშენებლობა, ასე ვთქვათ, ბუნკერების გაკეთება. თქვენ იცით, რომ იქ იყო კინოთეატრი, ბანკი სხვა სამთავრობო და, ასე ვთქვათ, პოლიციური დანაყოფები მშენებლობა და მაშინ ამან გაამართლა, ყველა არაორდინალური სიტუაცია, ვისაც გადაწყვეტილების მიღების, ოპერატიულად, როცა საქმე ეხება მრავალი ათას მოქალაქეს, მრავალ ათას კონტრაქტორს, მე მგონი, შინაგან საქმეთა სამინისტრო არის ერთადერთი სამინისტრო საქართველოში, რომელსაც რეგიონალურ და ჭრილში აქვს საკმაოდ მაღალი ინფორმაცია. შინაგან საქმეთა სამინისტრო ყველაზე ინფორმირებული, ასე ვთქვათ, სამინისტროა იმ ადამიანების შესახებ, ვინც არიან ლტოლვილები. შინაგან საქმეთა სამინისტროს გააჩნია ყველაზე მეტი წარმომადგენლობა რეგიონებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს გააჩნია ყველაზე მეტი გამოცდილება ოპერატიულად და სწრაფად მიიღოს გადაწყვეტილება.

მე მინდა გითხრათ, რომ საპატიო მისია 15 დეკემბერს ან 20 დეკემბერს, როცა ყველა სახლში შესახლდება ლტოლვილი დასრულებული იქნება და მე ამით ვიქნები მოხარული. ჯერ ერთი, რომ ყველა იძულებით გადაადგილებული პირი იქნება საკუთარ ჭერქვეშ და მეორეა, ეს ფუნქცია აღარ იქნება შინაგან საქმეთა სამინისტროს. მე იმედი მაქვს, რომ, ასე ვთქვათ, ეს შედის ყველა პარტიოტი ქართველის ინტერესში, რომ რაც შეიძლება ჩქარა დამთავრებულიყო ეს სახლები. თუ ამ გადაწყვეტილებამ გაამართლა, მე მგონი, თქვენც ამას თქვენთვისაც არ იქნება ეს ცუდი და თუ არ გაამართლა, თქვენ გეყოლებათ ადამიანი, რომლის დასჯა შეგეძლებათ ამ დავალების არშესრულების გამო. გაგიადვილდებთ დამნაშავეს პოვნა.

**თაგმჯდომარე.** ბატონო ვანო, მე ცალსახად მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ შსს, რომელიც ამ სახლების მშენებლობით არის დაკავებული და თქვენ აღნიშნეთ თუ რატოა ეს დაკავებული, კარგი იქნებოდა, რომ ეს

კომპეტენცია გადანაწილებულიყო გარკვეულ უწყებებზე, რომლის სისტემაშიც შედის ეს და ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, იმიტომ, რომ ჩვენ, ფაქტიურად, ამ პროცესში ვნახეთ, რომ ეფექტური მიდგომა საბრძოლო მოქმედებების დროს ჯანდაცვის სამინისტრო და შსს-ს ჰქონდათ ზუსტი დაგეგმარება გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, რომლის მუშაობამაც აჩვენა ეს ყველაფერი. ქალბატონმა ხათუნამ აღნიშნა, რომ მშენებლობის სამინისტრო არ არის, მაგრამ არის სხვა სამინისტროები, როგორც არის ეკონომიკის სამინისტრო.

აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, კომისიის დასკვნებში ასახული იქნება ყველა ის ქმედებები, ის ინფორმაციები, რაც ჩვენ მივიღეთ. მე მინდა გთხოვოთ თქვენ, რომ ის მასალა, რაც თქვენ დღეს წარმოადგინეთ, რომ გადმოგვცეთ კომისიას იმ ფორმატშივე, რა ფორმატშიაც თქვენ გაგაჩნიათ, იმიტომ, რომ ამას ძალიან დიდი, თქვენი მოხსენების ფორმატზეა საუბარი, ამას ძალიან დიდი და პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ამას ავსახავთ, განსაკუთრებით ტაქტიკური იარაღების გამოყენების საკითხს ავსახავთ, აუცილებლად, კომისიის დასკვნაში. ეს პირდაპირი მინიშნებაა იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიარაღება იყო გამოყენებული აგრესიასთან დაკავშირებით. ეს არის პირდაპირი მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, თუ რა საფრთხეში იმყოფებოდა მშვიდობიანი მოსახლეობა და ის ინფორმაცია, რაც თქვენ აღნიშნეთ უცხოელი დამკვირვებლების ყოლაზე იარაღის გაყიდვასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რუსეთის ფედერაციის მხრიდან ხდებოდა საქართველოს მოქალაქეების გამოყენება, როგორც რაღაც ლაბორატორიაში მყოფი, არ მინდა ვიხმარო ეს სიტყვა, რაც ისეთი, საცდელი ადამიანების სახით, ცხოველების სახით, რომელიც, რომელზედაც ხდებოდა ტაქტიკური იარაღის გამოყენება.

აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია ეს ინფორმაცია, რა ინფორმაციაც ჩვენ მივიღეთ. მე, თუ კითხვები, კომისიის წევრებს კითხვები არა აქვთ, ფაქტიურად, ჩვენ ძალიან, კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, დიდი ინფორმაცია მივიღეთ. და აქედან გამომდინარე, ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ თუ გაჩნდა გარკვეული შეკითხვები ამ მიმართულებით, ჩვენ ვითანამშრომლებთ თქვენთან და მივიღებთ სხვა ინფორმაციებს და კიდევ ერთხელ გიხდით დიდ მადლობას მობრძანებისათვის.

კომისიამ დღეს დაამთავრა მუშაობა. კომისიის მუშაობა გაგრძელდება ხვალ 3 საათზე და ჩვენ მოვუსმენთ ბატონ გრიგოლ ვაშაძეს და ბატონ დავით კეზერაშვილს და ამის შემდგომ, უკვე კომისია იმსჯელებს მუშაობის გაგრძელების სხვა გრაფიკზე. დიდი მადლობა კიდევ ერთხელ მობრძანებისათვის.

**ი. მერაბიშვილი.** დიდი მადლობა.